# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 9 თებერვალი 2004 №27 (2046) ფასი 50 თეთრი



REUTERS

# ანრი მიშელმა საქართველო გამორიცხა

## მიზეზი: კლუბი და ფული. უფრო ფული

*საქართველო ჩემგან შორსაა — საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის ყოფილი კანდიდატის, ფრანგი ანრი მიშელის ეს სიტყვები მრავალმნიშვნელოვანია, თუმც, მგონია, ბატონკაცურად ნათქვამი არ უნდა იყოს. ანრი მიშელი საქართველოს ნაკრების სავარაუდო მწვრთნელთა სიიდან შეგვიძლიათ საბოლოოდ ამოშალოთ: საქართველო მისთვის დამთავრებული საქმეა. ჩვენი საფეხბურთო ცხოვრების ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ანრი მიშელთან გუშინდელი საუბრისას გავარკვიეთ...*



— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ჩემი მოლაპარაკება საბოლოოდ დამთავრებულია და აღარ განახლდება. კლუბში, „რაჯა კასაბლანკაში" ვრჩები და საქმეს აქ გავაგრძელებ.

*— გამორიცხულია, რომ საქართველოს ნაკრები ჩაიბაროთ?*

— დიახ, გამორიცხულია. მოლაპარაკება ქართველებთან საბოლოოდ დამთავრებულია.

*— რატომ? რამ შეგიშალათ ხელი?*

— ორი დიდი პრობლემა იყო: კლუბი და ფული.

*— კი მაგრამ, ვიცით, რომ კლუბიდან თქვენი გათავისუფლება პრობლემა არ იყო.*

— არ იყო, მაგრამ... უმთავრესი მაინც ფულის საკითხია.

*— ესე იგი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ანაზღაურებაზე ვერ შეუთანხმდით?*

— ჩათვალეთ, რომ ასეა, თუმც ისე არ იფიქროთ, თითქოს ქართველებისადმი რაიმე საპრეტენზიო მქონდეს, პირიქით, ჩვენს შორის მოლაპარაკება საკმაოდ კორექტულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

*— ახლა საქმეს მაროკოში გააგრძელებთ?*

— დიახ, ახლო მომავალში სამსახურის გამოცვლას არ ვაპირებ. „რაჯა კასაბლანკაში" ვიმუშავებ.

*— ხომ არ იცით, საქართელოს ფეხბურთის ფედერაციას ამჟამად რომელ მწვრთნელთან აქვს მოლაპარაკება?*

— წარმოდგენა არ მაქვს. არ ვიცი.

*— მაშ, გამოდის, უნდა დაგემშვიდობოთ?*

— დიახ, ასე გამოდის. ვწუხვარ, რომ ჩვენი შეთანხმება არ შედგა. საქართველოს ნაკრებს წარმატებებს ვუსურვებ.

**კობა ინასარიძე**

ცნობისთვის: ანრი მიშელი საქართველოს ნაკრების გაწვრთნისთვის წელიწადში მხოლოდ ხელფასად 700 ათას ევროს ითხოვდა, პლუს პრემიას თითოეულ მოგებულ მატჩზე. მოკლედ მისი „შენახვა", სხვა ხარჯებიანად, წელიწადში მილიონნახევარი ევრო ჯდებოდა.

# ზაზა ფაჩულია შაკილს აუხტა

*„ორლანდო მეჯიქის" ქართველი ცენტრი ზაზა ფაჩულია თამაშიდან თამაშამდე იზრდება, მწვრთნელიც სულ უფრო ხშირად აყენებს სკამიდან, ჩანს, პირველ ცენტრად ამზადებს. ზაზამაც „ტორონტოსთან" და „ნიუ ჯერსისთან" ზედიზედ ორჯერ მოინავრა ათ ქულაზე მეტი, სულ რამდენიმე საათის წინ კი, აი, ამ მონსტრ შაკილ ონილთან ქულებში დუელი „მხოლოდ" 6:20 წააგო*


REUTERS

„რომა" ხარობს, ტრეზეგე დარდობს



# ვაი იუვეს!

## ბებერ ქალბატონს 0:4 მოხვდა

# თუთუმლუ ისევ საქმეშია

## თურქი ამბობს, ჟორდანიამ თბილისში დამიძახაო

მაშ, ანრი მიშელი აღარ გამოდის? როგორც ჩანს, დასკვნები ჯერაც ნაადრევია, ყოველ შემთხვევაში, თურქ აგენტ ბაირამ თუთუმლუსთან გუშინდელმა სატელეფონო საუბარმა ასე უნდა გვაფიქრებინოს.

*— თქვენს მიერ წამოწყებულ შესაძლო გარიგებაზე ახალს რას გვეტყვით?*

— 11 თებერვალს თბილისში ჩამოვდივარ.

*— ანუ მიშელის თაობაზე მოლაპარაკებები დასრულებული არ არის?*

— მე თბილისში ჩემი ინიციატივით არ ჩამოვდივარ.

*— მერაბ ჟორდანიას მოწვევით ჩამოხვალთ?*

— დიახ და მე და ჟორდანია ერთობლივ პრესკონფერენციასაც მოვაწყობთ.



**დავით თავართქილაძე**

*შოტლანდიის ლიგის თასის ნახევარფინალიდან არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსი“ ედინბურგის „ჰიბერნიანმა“ მატჩისშემდგომი პენალტებით დაიფრინა. გუშინ კი „რეინჯერსმა“ შოტლანდიის ასოციაციის თასის მეოთხე ეტაპზე სტუმრად „კილმარნოკს“ 2:0 მოუგო და მეორე გოლი სტუმართა კარში არველაძემ გაიტანა. შოთას ეროვნულ ნაკრებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა*



„კილმარნოკთან“ გუშინდელი გოლი არველაძეს პირველმა ეგილ ოსტენსტადმა მიულოცა

# შოთამ პენალტი ჩოლარიასაც დაურტყა

— „ჰიბერნიანთან“ პენალტების სერიაში ხელი მოგეცარა, მაგრამ „კილმარნოკთან“ მაინც შენ იკისრე 11-მეტრიანის შესრულება — პენალტი შენი წაქცევისთვის რომ არ დანიშნულიყო, მაინც გაბედავდი დარტყმას?

— რატომ ვერ გავბედავდი?! პენალტი ბევრს გაუცუდებია, მაგრამ მერე მაინც დაურტყამთ. ამჯერად ძალაზე კი არა, შესრულებაზე დავარტყი, თუმც ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და მერეღა შევიდა კარში.

— გამარჯვება ძნელ ბრძოლაში მოიპოვეთ?

— არა, ეს არ იყო გაჭირვებით მოგება, ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით.

— ზედიზედ მეორე მატჩია, ზურაბ ხიზანიშვილი სასტარტოში ვერ ხვდება, „კილმარნოკთან“ კი შეცვლაზეც არ უთამაშია — ტრავმა ხომ არ არის ამის მიზეზი?

— არა, ზურას ტრავმა არა აქვს. მისი კონკურენტი, მორის როსის და ჰენინგ ბერგის გარდა, ახლა უკვე ფრანკ დე ბურიცაა.

— თასის მომდევნო ეტაპზე „რეინჯერსის“ მეტოქე ვინ იქნება?

— „სელტიკი“ და ალბათ ეს მატჩი გადაწყვეტს თასის მომავალ მფლობელს — სელტიკელებს 6 მარტს ვესტუმრებით.

— ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ, რომელსაც მწვრთნელი ჯერაც არ ჰყავს. ფეხბურთის ფედერაციის გენდივანმა ვალერი ჩოლარიამ განაცხადა, ნაკრებს, კვიპროსის ტურნირზე რომ ჩავა, თემურ ქეცბაია და ივო შუშაკი დახვდებიანო. როგორ ფიქრობ, ეს რას უნდა ნიშნავდეს?

— თუ კვიპროსზე ქეცბაია და შუშაკი დაგვხვდებიან, მაშინ დამდეგი შესარჩევი ციკლისთვის საბერძნეთში რომ ჩავალთ, გუგუშვილს ვთხოვოთ გვიმწვრთნელოს და ალბათ უარს არ გვეტყვის. როცა დანიაში დავაპირებთ ჩასვლას, მორტენ ოლსენს დავურეკავ და აუცილებლად დაგვეხმარება, ხოლო როცა თურქეთში მოგვიწევს თამაში, მოგეხსენებათ ჩემი კავშირები თურქეთში და იქაც რალაც გვეშველება — იქნებ, შესარჩევი ციკლი როგორმე გადავაგოროთ.

**დავით თავართქილაძე**

# გახოკიძემ გაიტანა
## ნავსიც წვიმას გაატანა

როგორც იქნა, „ტვენტეს“ ქართველმა ლეგიონერმა გიორგი გახოკიძემ ნავსი გატეხა და ენსხედელთათვის თავისი პირველი გოლი გაიტანა. ეს ამბავი შაბათს მოხდა „ტვენტე“ — „ზვოლეს“ მატჩის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე. ქართველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე, ენსხედელებმა 2:0 მოიგეს და გახოკიძის წილი პირველ გოლშიც იყო, რაკილა ჯარიმიდან ჩაწოდებით საგოლედ დაასვა ბურთი თავზე შავკანიან ნკუფოს. ჩვენებურის გოლს კი ჰოლანდიელი ჟურნალისტები ალბათ ცალკე გამოარჩევენ...

გოგა გახოკიძეს გუშინ ენსხედეში შევეხმიანეთ...

— როგორც იქნა, გავიტანე. ნოემბრიდან მოყოლებული, თითოეული მატჩისას სამი-ოთხი შანსი ყოველთვის მქონდა, მაგრამ ნაღდად დათარსული ვიყავი, ისეთ ბურთებს ვაფუჭებდი. „ზვოლესთან“ კი ნავსი გავტეხე და თანაც ძალიან ეფექტური გოლი გამოვიდა. მატჩის შემდეგ ყველა ამბობდა, ტურის გამორჩეულ გოლთა ხუთეულში უეჭველად მოხვდებაო.

— ასეთი რა გოლი იყო?

— თანაგუნდელმა მოედნის ცენტრთან ახლოს მომცა პასი. ათმეტრიან მონაკვეთში ორი მეტოქე მოვატყუე და ოცდაათიოდე მეტრიდან მეკარეს თავზე გადავუგდე ბურთი, მართლაც კარგი გოლი იყო.

— ამ მატჩამდე „ფეიენოორდთან“ 120-წუთიანი სათასო ომი გქონდათ, „ზვოლესთან“ არ გაგიჭირდათ?

— პირველ ტაიმში მართლაც ვერაფერი მოვუხერხეთ მეტოქეს, ამაში ამინდიც იყო დამნაშავე. თამაშს თავსხმა და ქარი დაერთო, თუმც მეორე ტაიმში წვიმამ გადაიღო და ჩვენც ხელ-ფეხი გაგვეხსნა, ორზე მეტიც უნდა გაგვეტანა, მაგრამ მეკარემ თავი გაიგიჟა.

— ამ მოგების მერე საუეფასთასო ზონაში ხართ...

— ჰო, მეხუთეზე ვართ, თანაც უშუალო კონკურენტმა „ჰერენვენმა“ შინ წააგო და ჩვენ შორის უკვე სამი ქულაა სხვაობა. „ტვენტე“ ჰოლანდიის თასის ნახევარფინალშიცაა და, წესით, ევროსაგზურის მოპოვება არ უნდა გაგვიჭირდეს.

**პაატა ქმანტალიანი**



„ზვოლესთან“ მატჩში ტვენტელებმა გახოკიძის ლამაზი გოლითაც გაიხარეს



რომა — იუვენტუსი. გაიხარა და გაიხადა: ტურინელთა განადგურებაში ანტონიო კასანომ წილი ორი გოლით დადო

### იტალია
სერია A. XX ტური
რომა 4:0 იუვენტუსი

### ესპანეთი
პრიმერადივიზიონი XXIII ტური
სარაგოსა 2:1 სოსიედადი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXI ტური
ბელენენსეში 0:2 ბენფიკა

### მექსიკა
კლაუსურა. IV ტური
ირაპუატო 2:1 მონტერეი
პუებლა 1:1 ატლანტე

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი. XXIII ტური
ტრუა 0:1 სენტ ეტიენი

### ბელგია
იუპილერლიგა. XXI ტური
მუსკრონი 3:1 გენკი



გიო ახვლედიანის სკვერი

# ვინ არის ჩვენი მწვრთნელი?

მითხარი, ვინ არის შენი ნაკრების მწვრთნელი და გეტყვი, ვინ ხარ შენ.

ამ კვირა საღამოს მე ის ვიცი, რომ ანრი მიშელი არ არის საქართველოს ნაკრების მწვრთნელი. სიმართლე ითქვას და, არც არასდროს ყოფილა.

ანრი მიშელი კარგი მწვრთნელია, სახელიანიც, გამოცდილიც და მოგზაურიც, მაგრამ თვითონ თქვა, რომ ჩვენთან აღარ ჩამოვა. მთელს ამ საინტერესო ინტრიგაში, ანუ იმაში, რომ ბარე სამ თვეს მიშელი ჩვენი მწვრთნელი გვეგონა, ყველაზე შთამბეჭდავი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებს კვლავ არა ჰყავს მწვრთნელი.

მერაბ ჟორდანია პარიზშია და ეგებ ლონდონშიც. იმასაც ამბობენ, მიშელ პლატინის ელაპარაკებაო და იმასაც, რომან აბრამოვიჩსო. აბრამოვიჩი თვითონაც ეძებს მწვრთნელს. ეტყობა, ერთად მოძებნა უფრო მოსახერხებელია. თუმცა, ჩვენ არც ის ვიცით, მართლა ელაპარაკება თუ არა ჟორდანია აბრამოვიჩს და არც ის, ლონდონშია თუ პარიზში ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი.

ჩვენ ვიცით, რომ ანრი მიშელი არ არის ჩვენი მწვრთნელი. ანუ, ჩვენ მწვრთნელი არ გვყავს.

შემოდგომამდე კი არის მწვრთნელის შესარჩევი დრო, მაგრამ ნაკრები კვიპროსზე იკრიბება და რატომ, ძნელი სათქმელია: მწვრთნელი არ ჰყავს. ამბობენ, თემურ ქეცბაია ავარჯიშებს, ანდა ივო შუშაკიო, თუ მანამდე მწვრთნელი არ დაინიშნებაო.

ვინ უნდა დაინიშნოს? ქეცბაია, შუშაკი, ალენ ჟირესი, პელე, თუ კლაუდიო რანიერი?

ეს ჩვენთვის უცნობია. პასუხი იცის მხოლოდ ქარმა, ანდა მიშელ პლატინიმ. ამ შემთხვევაში, ქარი და მიშელ პლატინი ერთია.

მიშელთან ურთიერთობის სამი თვის თავზე გაირკვა, რომ მისი აგენტი თურქი თუთუმლუა, თურქეთი კი საქართველოს მეტოქეა შესარჩევ ჯგუფში. ამიტომ მიშელი ჩვენ არ გვაწყობს, თან მიშელს ფული სჭირდება (ასე თქვა). კარგი, მაგრამ ვინ? მიშელზე ჯვარი კი არ დაგვიწერია.

ახლა ვიფიქროთ შუშაკზე, ოღონდ ზაფხულიდან. რომან აბრამოვიჩი სწორედ ასე ფიქრობს სვენ გორან ერიკსონზე, მაგრამ შუშაკზე ფიქრის პარალელურად ვიფიქროთ ქეცბაიაზე. ზაფხულამდე ხომ შორია. ასევე შეგვიძლია ვიფიქროთ ჟირესზე და სხვა ფრანგებზე. ყველაზე ვიფიქროთ. ამ ფიქრში კი ზაფხულიც მოვა და შუშაკზე ფიქრის დაწყებაც შეიძლება. ზაფხულამდე კი ვიფიქროთ ყველაზე... ხუმრობთ, ახალგაზრდავ? ვხუმრობ, აბა, რა. სახუმაროა, თუმცა არც არის სახუმარო.

რა თქმა უნდა, ჟორდანიას პატიმრობამ უკან დაგვწია, მაგრამ ზაფხულამდე ისედაც შეგვძლებია ფიქრი — კვიპროსზე რაღაცას ვაგორავებთ, აპრილში გერმანიაში წავითამაშებთ, ზაფხულში კი მოლდოვასთან გვაქვს ამხანაგური.

ჰეი, ვინ არის ჩვენი მწვრთნელი? მგონი, პლატინიმაც არ იცის.

ჩემი ჭკუით, მწვრთნელი თბილისში ცხოვრობს და ნამდვილად აღარ ჰქვია ანრი მიშელი. მითხარი, ვინ არის შენი ნაკრების მწვრთნელი და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არ მითქვამს!
## ბურდულს ხელი თბილისიდან ეშლება



*ესპანეთში მყოფი კიევის „დინამო“ ამ ქვეყნის მესამე ლიგის გუნდების დაბრიყვებასა და ვარჯიშს განაგრძნობს. ამხანაგურ მატჩებში მხოლოდ ალეკო ამისულაშვილი თამაშობს. ლადო ბურდულმა კი სრული დატვირთვით ვარჯიში ორი დღეა, რაც განაახლა. ესპანეთშიც ამიტომ შევეხმიანეთ, თუმცა სათქმელ-საკითხავი ჯერ თავად ფეხბურთელს ჰქონდა...*

— აქ სულ ორი-სამი ჟურნალისტი მირეკავს, მერე ვიგებ, რომ თბილისში სხვადასხვა და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. კიევში კი თბილისიდან, ფაქტობრივად, ყველანაირი ინფორმაცია მოდის. არ მინდა, ვინმეს მოგონილი ინტერვიუს გამო გუნდში საქმეები გამიფუჭდეს.

— სერიოზული პრობლემები შეგექმნა?

— სერიოზული არა, მაგრამ მაგრძნობინეს, რომ იციან, რაც თბილისში იბეჭდება. მეც ავუხსენი, რომ ხანდახან ქვეყნდება ინტერვიუ ჩემთან, რომელიც მე არ მიმიცია.

— ახლა შენს საქმეებზეც გვითხარი, მით უმეტეს, გუნდთან ერთად ვარჯიში დაიწყე...

— დავიწყე და მიხაილიჩენკოსგან პირველი კომპლიმენტებიც დავიმსახურე. მან სისწრაფე და ფლანგური ჩაწოდებები შემიქო. ერთ-ერთი ილეთის შესრულებისას მოვიდა და თავად ამიხსნა, როგორ უნდა მემოქმედა. მერე გუნდი სამეულებად დაჰყო და სხვადასხვა კომბინაციებზე გვამუშავა. ის სამეული, რომელშიც მე ვიყავი, მიხაილიჩენკომ საუკეთესოდ დაასახელა. მოკლედ, ორჯერად ვარჯიშებში მეც ბოლომდე ვიტვირთები.

— ამ ყბადაღებულმა კიევურმა ვარჯიშებმა ხომ არ მოგქანცა?

— რომ ვთქვა, რაღაც ზებუნებრივად მძიმე დატვირთვები აქვთ-მეთქი, მართალი არ ვიქნები. თუ გულიანად შეასრულებ ყველაფერს, ნებისმიერი გუნდის ვარჯიშისას დაიღლები. სისწრაფით კლუბში ერთ-ერთ საუკეთესოდ ვითვლები. „დინამოს“ პრეს-ატაშე პოლოკოვსკი ვითომ გამეხუმრა, როგორ უძლებ კიეველთა სპრინტს სამჯერ სამასი მეტრიო. მე აქეთ გავაშაყირე, თბილისში ხორვატი მწვრთნელი გვყავს და ორჯერ ოთხასს მეტრს გვარბენინებდა-მეთქი. თვალები შუბლზე აუვიდა და ისღა მკითხა, ამდენს როგორ უძლებდითო?

— კორეის საუკეთესო კლუბ LG-სთან სათამაშოდ თუ ემზადები?

— აუცილებლად. კორეელებს ხვალ ორჯერ, თბილისის დროით 5 და 7 საათზე ვხვდებით და ერთ-ერთ სპარინგს რომ ნაღდად ვითამაშებ, ვიცი.

— კონტრაქტზე ამ მატჩის შემდეგ ხომ არ დაგელაპარაკებიან?

— არა. კონტრაქტზე მოგვიანებით დავილაპარაკებთ, ამაში დარწმუნებული ვარ. კიეველები სანაკრებოდ კვიპროსის ტურნირზე მიშვებენ, ჩემთან ერთად ამისულაშვილიც მოდის. იქიდან კიევში ვბრუნდები და ალბათ მაშინ ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

— ალექსიძემ გვითხრა, რომ „როსტოვს“ შენი გადაბირების იმედი ჯერაც არ გადაუწურავს...

— ვიცი, როსტოველები პირდაპირ კონტრაქტზე ხელის მოწერას მთავაზობენ. თუმცა არ ვჩქარობ. კიევის ვარიანტი, ფაქტობრივად, ბოლომდეა მიყვანილი და არ მსურს, უკეთეს მომავალზე უარი ვთქვა.

**დავით ერაძე**

# პატარა და მარტო
## კოროლალიძე შუშაკთან სიამოვნებით მიდის

*ესენგეს თასის დასრულებისთანავე რიგის „სკონტოს“ ქართველმა ყოჩმა ლევან კოროლალიძემ რამდენიმე დღით თბილისს მოაშურა, ახლა კი ის ისევ რიგაშია და საახლსეზონოდ ემზადება.*

*მოსკოვურ ტურნირამდე ლევანი იმედოვნებდა, რუს სელექციონერებს თავს მოვაწონებ და გუნდსაც გამოვიცვლიო. მართლაც, „სკონტოს“ ქართველი ლიდერის თამაშზე აუგს, აბა, ვინ იტყვის, მაგრამ ფაქტია – კორლალიძემ ნადილი ვერ აისრულა.*

*ლევანს გუშინ ლატვიაში შევეხმიანეთ...*



— ლევან, ესენგეს თასზე დაშავებული ფეხი მოირჩინე?

— დღესაც ინდივიდუალურად ვივარჯიშე და არაფერი მტკენია. ხვალიდან უკვე გუნდს შევუერთდები. სანერვიულო არაფერია.

— არც ის, რომ ისევ „სკონტოში“ ხარ?

— რას ვიზამ, ასეც ხდება.

— რა ხანია, „სკონტოს“ დატოვებაზე ფიქრობ. ნუთუ არანაირი ვარიანტი არ გაქვს?

— სერიოზული მართლა არაფერი გამოჩენილა. ჩემი მენეჯერი მიხეილ ძოძუაშვილი მეუბნება, რაღაც წინადადებები არისო, მაგრამ კონკრეტული არაფერი ჩანს.

— უცნაურია, ესენგეს თასზე ერთ-ერთი საუკეთესო იყავი...

— მეც მაგას ვჩივი. მოსკოვში ცუდად ნაღდად არ მითამაშია, მაგრამ აქედან რა გამოვიდა?! ისევ რიგაში ვარ. გასინჯვაზე კი არსად წავალ. ამაში დროის ხარჯვას „სკონტოში“ თამაში მირჩევნია.

— ესე იგი, ლატვიაში დარჩენას შეგუებული ხარ?

— მთლად ასე ვერ ვიტყვი. რაღაცის იმედი კიდევ მაქვს, მაგრამ... რუსული კლუბები თუ რამეს შემოგთავაზებენ, პირველ რიგში იმას მოითხოვენ, გუნდს შეკრებაზე გაჰყვე, ეს კი არ მიღირს. სისულელეა, რაღაც ვამტკიცო და მერე უარი რომ მითხრან, ჰაერში დავრჩე. ასეთ შეცდომას არ დავუშვებ. თუ ვინმეს დავაინტერესებ, საქმეში ჩემ ნახვასაც შეძლებს. თან რუსები, ხომ იცი, როგორები არიან: ორმეტრიანი თუ არ ხარ და 24 საათი ვერ ირბენ, ყურადღებას არ გაქცევენ. მე კი ასეთ ფეხბურთს ვერასდროს ვითამაშებ. რა ვქნა, პატარა ვარ...

— და რას აპირებ?

— ქვეყანა თუ დაიქცა, ერთი წელი კიდევ მაქვს „სკონტოსთან“ კონტრაქტი და დავრჩები. თან მერე უფრო გამიადვილდება სხვა გუნდში გადასვლა. არ დაგიმალავ და, რუსეთზე მეტად გული ევროპისკენ მიმიწევს. მირჩევნია, მაგალითად, ჰოლანდიაში ვითამაშო. მენეჯერიც მეუბნება, ნაკრებში დამკვიდრდი და ინგლისური კლუბი ჩემზე იყოსო. ლატვიიდან ინგლისში წასვლა დიდი პრობლემა არაა. ნაკრებში თამაშისთვის დამატებითი სტიმული ისედაც არ მჭირდება — ყოველთვის მზად ვარ, ჩემი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ვითამაშო. ასეთი განწყობით მივდივარ ახლა კვიპროსულ ტურნირზეც. ჰო, მართლა, მწვრთნელის ამბავი გაირკვა?

— ან ივო შუშაკი, ან ვინმე სხვა. მიშელი თითქოს უარზეა.

— არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ მოხარული ვიქნები, თუ შუშაკს დანიშნავენ. ამ კაცმა კარგად იცის ქართული ფეხბურთი და თან საკმაოდ მაღალი დონის მწვრთნელიცაა. ესენგეზე თბილისის „დინამომ“ რაც ითამაშა, ყველაზე მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი იყო ჩემთვის. ეს კი შუშაკის დამსახურებაა. გული მწყდება, რომ ეს „დინამო“ თითქმის დაიშალა. და კვიპროსზე ვინ იქნება მწვრთნელი?

— თუ სხვისი დანიშვნა არ მოესწრო, მაშინ შუშაკი და თემურ ქეცბაია. შუშაკსაც ალბათ იქ გაიცნობ.

— ძალიან კარგი. კვიპროსზე რამდენიმე დღეში ჩავალ. ლატვიის ნაკრები იქ ჩარტერული რეისით მიფრინავს და მეც გავყვები.

— ზურაბ მენთეშაშვილი უკვე შეუერთდა „ალანიას“?

— არა, ზურა ხვალ ან ზეგ დაგვტოვებს. დავრჩი მარტო...

**კახა შალამბერიძე**

# EXCLUSIVE




მოგესალმებით, ახალგაზრდებო! მე გახლავართ საქართველოს სასოფლო-საგარეუბნო ყოფისა და კულტურის სამინისტროსთან არსებული სპორტული ჟურნალისტიკის ფაკულტეტ-ინსტიტუტ „ექსკლუზივის“ რექტორი და დეკანი, კათედრის და გამგე პროფესორი როხელიო კალანდაძე, ხოლო თქვენ — სტუდენტები (ჰა, ჰა) და თუ კარგად მოიქცევით, კიდევ ხუთ წელიწადს ასეთებად დარჩებით. ახლა, რას ნიშნავს კარგად მოქცევა, ამაზე მომავალში გესაუბრებით, ჯერჯერობით კი მინდა პირველი სექტემბერი მოგილოცოთ და აქვე გიპასუხოთ კითხვაზე — ნუთუ დღეს, 9 თებერვალს პირველი სექტემბერია?

წესით, როგორც მოქალაქეებს, ასეთი კითხვა მართლაც შეიძლება გაგჩენოდათ, მაგრამ თქვენ, ახალგაზრდებო, იმ წამიდან, რაც „ექსკლუზივის“ კედლებში შემოხვედით, მოქალაქენი აღარ ხართ, თქვენ, მართალია, მხოლოდ სპორტული, მაგრამ მაინც ჟურნალისტები ხართ და, შესაბამისად, დღეს ის თარიღია, რომელიც თავად გნებავთ.

გამომეტყველებაზე გატყობთ, ვერ მიხვდით, რაც ვთქვი... ძალიან კარგი, ეს იმის დასტურია, რომ დარგი სწორად აირჩიეთ და ამიტომ თქვენთან მუშაობას აზრი ნამდვილად აქვს. აი, რომ გეთქვათ, დღეს პირველი სექტემბერი კი არა, ჩვიდმეტი ნოემბერიაო, ხელებს ავწევდი და პოლიტიკური ჟურნალისტიკის ინსტიტუტში გადაგიყვანდით, ხოლო ზედაც დამამტკიცებელი საბუთები რომ მოგეყოლებინათ, სატელევიზიო პოლიტიკური ჟურნალისტიკის უნივერსიტეტში გექნებოდათ ადგილი გარანტირებული.

თუმცა, არც თქვენს მიერ არჩეული დარგია ცუდი. მთავარია, ყველაფერი დამიჯეროთ და პროფესიის სიღრმეებში ჩამომყვეთ. დაწყებით კი, აი, რით დავიწყოთ: ჩვენს ფაკულტეტ-ინსტიტუტს „ექსკლუზივი“ ჰქვია, რაც ახალგაზრდებო, საზღვარგარეთული სიტყვა გახლავთ და ლექსიკონებში ასეა განმარტებული:

1. მხოლოდ ერთ გაზეთში დაბეჭდილი პუბლიკაცია
2. საგანგებო რამ (უფლება, პატენტი, ინტერვიუ, სხვა)
3. გულჩათხრობილი, მარტოსული
4. ის, რასაც სხვაგან ვერ ნახავ
5. გამონაკლისი

მაშ, თუ ასეა, იქნებ რომელიმე თქვენგანმა მითხრას, რატომ ჰქვია ჩვენს ფაკულტეტ-ინსტიტუტს „ექსკლუზივი“? ყოჩაღ, დაახლოებით მართალი ბრძანდებით.

ერთი სიტყვით, თუ ბეჭდვით ორგანოში ვმუშაობთ და იქ ვაქვეყნებთ პუბლიკაციას, რომელიც სხვას არ აქვს, ესე იგი, ექსკლუზივს ვაქვეყნებთ. მაგალითად, ინტერვიუ მეზობლის ბავშვთან ექსკლუზივია და თუ ვინმე იტყვის, რომ ასე არ არის, ამ საზღვარგარეთული სიტყვის განმარტებას ვაჩვენებთ.

აქ, ახალგაზრდებო, ყველაფერი ლოგიკას ემორჩილება. კერძოდ, ნებისმიერი პუბლიკაცია თავისებური ექსკლუზივია, რადგან ის მხოლოდ ერთია, გაიგეთ?

ნუ კარგი, მაგალითს მოგიტანთ: ვთქვათ, ფეხბურთის კლუბ „აღმოსავლეთ საქართველოს“ ცენტრალური თავდამსხმელი ეზუხბაია, ცენტრალური ნახევარმცველი ქუჩულორია ან ცენტრალური მცველი ლაბარტყავა მატჩისშემდგომ ინტერვიუს სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტებს აძლევენ. თუ ეს კორესპონდენტები ინტერვიუს შემდეგ ერთად არ გამოთვრებიან და შედარებით ფხიზლის დაწერილს ყველა რედაქციაში არ ჩამოატარებენ, მეორე დღეს ქართველი მკითხველი რამდენიმე ექსკლუზივს მიიღებს.

თუმცა აქ შევჩერდეთ. პირველ ლექციაზე, ახალგაზრდებო, სიტყვა ექსკლუზივის ზოგადი განმარტებით შემოვიფარგლოთ, რადგან, ერთი რომ, არ მინდა, გადაგღალოთ და მეორე, ინტერვიუს ჟანრზე რამდენიმე ცალკე ლექციის წაკითხვას ვაპირებ. ასე რომ, დღეს საკმარისია.

ჰო, მართლა, თუ ვინმე სიტყვა ექსკლუზივს ვერ დაიმახსოვრებს, დაანაწევრეთ. „ექს“ საქართველოში პრეზიდენტის წინ იხმარება-ხოლმე...

ზზზზ (გაისმა ასეთი ზარი)

ახალგაზრდებო, კიბეებზე ფრთხილად!

***რექტორი და დეკანი, კათედრის და გამგე***
*როხელიო კალანდაძე*

# ბაშიაჩუკები თურქმენბაშობაზე

ქუთაისის „ტორპედო" რომ აშხაბადში „პრეზიდენტის თასზე" სათამაშოდ გაემგზავრა, უკვე გაუწყეთ. რიონისპირელები ისე წავიდნენ თურქმენეთში, არ იცოდნენ, ვისთან მოუწევდათ თამაში. გუშინწინ კი ამასაც მოება თავი — ტურნირის ორგანიზატორებმა მონაწილე 8 გუნდი ორ ჯგუფად დაყვეს და კალენდარიც შეადგინეს.

„ტორპედო" A ჯგუფში მასპინძელ ბალკანაბადის „ნებიტჩისთან", ირანულ „აბუმუსლიმთან" და უკრაინულ „ვორსკლასთან" მოხვდა.

აქვე B ჯგუფის შემადგენლობასაც გაგაცნობთ: „ნისა" (აშხაბადი, თურქმენეთი), „ფლორა" (ესტონეთი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი, რუსეთი), „ავიატორი" (ტაჯიკეთი).

ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდები 17 თებერვალს მესამე ადგილისთვის შეერკინებიან ერთმანეთს, ლიდერები კი 19 თებერვალს ფინალში ითამაშებენ.

ამგვარად, მოსკოვის ლოკომოტივის ქუთაისურ წყვილს, პოროშინახალკაცს, თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ თამაშის შესაძლებლობა აქვს, თუ, რა თქმა უნდა, ორივე მეტოქე ჯგუფიდან გავიდა.

მატჩების განრიგი A ჯგუფში:

**12 თებერვალი**
**აბუმუსლიმი — ვორსკლა**
**ტორპედო — ნებიტჩი**

**13 თებერვალი**
**ვორსკლა — ტორპედო**
**ნებიტჩი — აბუმუსლიმი**

**15 თებერვალი**
**ტორპედო — აბუმუსლიმი**
**ვორსკლა — ნებიტჩი**

# ვიტელთა რუმინული მარცვლები

ანთალიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" გუშინ პირველი საკონტროლო მატჩი ითამაშა. ვიტელთა მეტოქე რუმინეთის B დივიზიონის „ვისლაუ" გახლდათ და 2:2 — ასე დასრულდა საკონტროლო ჯახი.

რუმინელები ტაიმის შუაწელში დაწინაურდნენ, მაგრამ რევაზ გოცირიძემ გიორგი დეკანოსიძის პასით შესვენებამდე გაათანაბრა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ოთარ მარცვალაძემ ორი მეტოქე ჩამოიცილა და „ვიტ ჯორჯია" დააწინაურა, თუმც მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ზვიად ლაბაძემ მეტოქე საპენალტოდ წააქცია და რუმინელებიც წაგებას გადაურჩნენ. ვიტელთა რიგებში მიკროტრავმების გამო არ უთამაშიათ ლაშა ნოზაძეს, ალექსანდრე ინწკირველსა და ვლადიმერ გოჩაშვილს.

მომდევნო შეხვედრას „ვიტ ჯორჯია" რუმინეთის A დივიზიონის ანუ უმაღლესი ლიგის „ოცელულთან" 11 თებერვალს ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**

# ვოლინს ქართველები სამარაქოდ უნდა

*როგორც ჩანს, უკრაინის ჩემპიონატს კიდევ ერთი ამბიციური კლუბი შემატება. ლუცკის „ვოლინს" მდიდარი მეპატრონე გამოუჩნდა და ახალი გუნდის შენებაც დაიწყო. შედეგის მომჯასაც ქართული სულსწრაფულობით არ ეშურებიან. ამბიციური გეგმების განხორციელებას მხოლოდ 2005 წლის სეზონიდან იწყებენ. მომავლის გუნდში ქართველებიც ფიგურირებენ. „ვოლინში" ამჟამად ირაკლი ვაშაკიძე და თემურ მალანია იმყოფებიან. გუშინ მათ ვოლინურ პერსპექტივებზე ვესაუბრეთ...*



**ირაკლი ვაშაკიძე:** „ვოლინში" ამჟამად სამი ჩვენებური ვართ — მე, გონჩაროვი და მალანია. კლუბს სერიოზული გეგმები აქვს. მის გაქანებას „არსენალისას" არც შევადარებ. ჩამოსვლის დღესვე სავარჯიშო და სათამაშო ფორმები მოგვცეს, რაც „არსენალისთვის" წარმოუდგენელი ფუფუნება იყო. პირობებითაც ეს გუნდი საგრძნობლად სჯობს კიევურს.

**— ალბათ იმედი გაგიცრუვდა, „არსენალიდან" მოულოდნელად „ვოლინში" რომ აღმოჩნდი...**

— კიევიდან თურქეთში მივფრინავდით, თვითმფრინავში „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ მითხრა, „ვოლინთან" მოლაპარაკება გვქონდა და მათ თქვენი გადაბირების დიდი სურვილი აქვთ. ნუ ინერვიულებ, ჩვენ ერთნი ვართ და მათ ჩვენი დახმარება სჭირდებათო. როგორც გავიგე, „ვოლინი" აბსოლუტურად ახალ გუნდს აკეთებს. ძირითადი გუნდის მხოლოდ შვიდი ფეხბურთელი დატოვეს, დანარჩენი გაუშვეს, ვინაიდან კლუბის ხელმძღვანელობამ ისინი ჩაწყობილ თამაშში ამხილა. გროზნიმ ისიც მითხრა, ლუცკელებს სერიოზული მეპატრონე გამოუჩნდათ და რასაც ფეხბურთელს შეპირდებიან, უპრობლემოდ შეუსრულებენო.

**— „ვოლინში" ალბათ ყველაზე გამოცდილი ფეხბურთელი შენ იქნები...**

— არა. როგორც გითხარი, სერიოზულ გუნდს აკეთებენ და სამი სერბი ფეხბურთელი, თანაც გამოცდილები, უკვე ჩამოიყვანეს. მათ საკმაოდ დაალაგეს გუნდის თამაში, ეტყობათ, კარგი ფეხბურთელები არიან. ძველი შემადგენლობის შვიდი მოთამაშის გარდა გუნდთან ერთად რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელიც ვარჯიშობს.

**— ქართველებით კიდევ ხომ არ არიან დაინტერესებული?**

— ჩემთვის კონკრეტულად არაფერი უკითხავთ, თუმც, როგორც გავიგე, გამორიცხული არ არის, ჩვენებურები კიდევ შემოგვიერთდნენ.

**— „არსენალისგან" ძალიან განსხვავებული ვარჯიშები გაქვთ?**

— „ვოლინი" უფრო ძალისმიერ და გამძლეობაზე დამყარებულ ფეხბურთს თამაშობს, ამიტომაც გაცილებით დიდი დატვირთვები გვაქვს. სამჯერადი ვარჯიშებიდან თითოეული 20-წუთიანი მატჩით სრულდება. მთავარ მწვრთნელს, ვიტალი კვარციანს ეტყობა, რომ საქმე იცის. თითოეულ ფეხბურთელს თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას აძლევს. კვარციანთან ვისაუბრე და მაგრძნობინა, რომ ახალი გუნდის ჩამოყალიბებაში ვჭირდები. თურქეთში 19 თებერვლამდე ვრჩებით, 9, 11 და 12 თებერვალს ამხანაგურ მატჩებს გავმართავთ ყაზახეთის, კორეისა და რუსეთის კლუბებთან.

**— ჩანს, საბოლოოდ შეეგუე ახალ გუნდში დარჩენის პერსპექტივას?**

— არც მთლად ასეა საქმე. 11 ან 12 თებერვალს თურქეთში ჩემი მენეჯერი, ივანე ჯულელი ჩამოვა და საბოლოოდ გაარკვევს, დავრჩები „ვოლინში" თუ ისევ „არსენალში" გადავალ. როგორც გითხარი, პირობების მხრივ ლუცკელებს ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირთ, უბრალოდ, „არსენალში" გაცილებით გამოცდილი შემადგენლობაა და გული ამაზე მწყდება.



**თემურ მალანია:** „ვოლინში" ივანე ჯულელის დახმარებით მოვხვდი. მართალია, თავიდან მეც „არსენალში" ვიყავი, მაგრამ კონკურენცია დიდი იყო და „ვოლინში" გადმოვედი. აქ დიდ ფიზიკურ დატვირთვებს გავუძელი და ახლა კარგ ფორმაში ვარ. როგორც ირაკლიმ გითხრათ, ლუცკელებს ახალი გუნდის შექმნა სურთ და მადაც სერიოზული აქვთ. უნდათ, რომ 2005 წლის სეზონიდან გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდეს.

**— შენ თავდამსხმელად გათამაშებენ?**

— არა, კვარციანმა მითხრა, ბევრს მოძრაობ და მოედანსაც კარგად ხედავ, ამიტომ ნახევარდაცვაში უფრო გამოგვადგებიო. ცენტრში წინწაწეულ ნახევარმცველად ვთამაშობ.

**დავით ერაძე**

*დეკემბერში საქართველოს კლუბთა და ლეგიონერთა ნაკრებების შეხვედრაში ლეგიონერთა გუნდში ითამაშა თბილისის „ამერის" ფეხბურთელმა დიმიტრი ვერემჩუკმა. ფედერაციამ საქართველოში 11 უცხოელი ვერ შეკრიბა, თორემ თბილისში დაბადებულ და გაზრდილ ვერემჩუკს ლეგიონერის სტატუსი არაფრით ერგებოდა*



## დიმიტრი ვერემჩუკი: ჩვენი მოგებები ჩვენი შეცდომებია

ყოფილი თსუ-ელი და ბათუმის დინამოელი ვერემჩუკი ერთ ხანს ყაზახურ გუნდებში თამაშობდა და რაკი ყაზახეთი საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეა, საუბარიც სანაკრებო ამბებით დავიწყეთ.

ინტერვიუ ფეხბურთელს „ამერის" თურქულ შეკრებაზე გამგზავრების წინა დღეს ჩამოვართვით.

**— დიმიტრი, ყაზახეთში დიდხანს თამაშობდი. ახლა ყაზახეთი საქართველოს ნაკრების მეტოქეა. როგორ ფიქრობ, რა მოხდება?**

— თანამეგობრობის თასზე რაც მოხდა, იგივე. „დინამომ" ყაზახურ გუნდს გადაუარა. დარწმუნებული ვარ, სანაკრებო მატჩებშიც იგივე განმეორდება.

**— ესე იგი, არ ვინერვიულოთ?**

— თუ ვიფიქრებთ, ამათ დამარცხებას რა უნდაო, ვერ მოვუგებთ, მაგრამ საქმეს სერიოზულად თუ მივუდგებით, საქართველოს ნაკრებს ყაზახეთის დამარცხება არ გაუჭირდება.

**— ძლიერი მხარეები რა აქვთ?**

— ფიზიკურად ძლიერები და გამძლეები არიან. ეს ჩვეულებრივი ამბავია — როცა გუნდის ტექნიკური არსენალი მწირია, აქცენტს ფიზიკაზე აკეთებენ. სხვათა შორის, ამ სეზონისთვის მზადება რომ დავიწყეთ, „ამერის" ფეხბურთელთა უმრავლესობას დიდი დატვირთვების გაძლება უჭირდა. მე ეს პრობლემა არ მქონია, რადგან ყაზახეთში მეტს რას გვაკეთებინებდნენ.

**— შენი თანაგუნდელები ახლა როგორ უძლებენ დატვირთვებს?**

— პროგრესი ყველას აშკარად დაეტყო. როცა საწვრთნელი პროცესი სწორად ტარდება, სხვანაირად არც შეიძლება იყოს.

**— სეზონისწინა და ახლანდელ „ამერს" შორის რა განსხვავებაა?**

— რომელი ერთი ვთქვა. ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები დღითიდღე იზრდებიან. ზოგმა, ექვსი თვის წინ წელამდე რომ მწვდებოდა, ახლა ლამის გადამისწროს. თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ მატჩების დროს სულ უფრო ნაკლებ შეცდომებს ვუშვებთ. პირველ წრეში ოთხი თამაში წავაგეთ, არადა, არც ერთი იყო წასაგები. საკუთარი შეცდომების გამო დავმარცხდით და არა მეტოქეთა განსაკუთრებული სიძლიერის გამო.

**— შენი ახალი თანაგუნდელი ალეკო კაიდარაშვილი ამტკიცებს, უმაღლეს ლიგაში წლეულსვე გადავალთო...**

— სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელობას ჩვენდამი ასეთი მოთხოვნა არ ჰქონია. მთავარი გუნდის ჩამოყალიბება იყო. მაგრამ ახლა რომ ვუყურებ, უმაღლეს ლიგაში გადასვლა წარმოუდგენლად არ მეჩვენება. და რადგან კაიდარაშვილი ახსენე, დავძენ, რომ მისმა მოსვლამ ყველა ძალიან გაგვახარა. ძლიერი ცენტრფორვარდი გვაკლდა.

**— ისე, ბოლო ამხანაგურ მატჩებში ყველაზე მეტი გოლი შენ გაიტანე...**

— როცა ვხედავ, რომ შეტევის გაგრძელების საუკეთესო ვარიანტი კარში დარტყმაა, ვურტყამ.

**— მგონი, გუნდში ერთადერთი ფეხბურთელი ხარ, ლამის ყველა პოზიციაზე რომ უთამაშია...**

— რომელზეც გინდა — ცენტრალური მცველი, განაპირა მცველი, საყრდენი ნახევარმცველი, გამთამაშებელი, მარჯვენა ნახევარმცველი. ერთი, თავდამსხმელად არ მითამაშია.

**— რატომ გიცვლიან ხშირად პოზიციას?**

— ეს მწვრთნელების საქმეა. ჩემი მოვალეობაა, სადაც მეტყვიან, იქ ვითამაშო. ისე, უფრო საყრდენი ნახევარმცველობა მომწონს.

**კოტე კეკელია**

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XIX ტური

**შალკე 0:0 მიუნხენ 1860**

შალკე: ფ. როსტი, კ. პოულსენი, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, კობიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი, უდე კამპუისი, ვერმანტი, დ. როდრიგესი (ბიომე 63), ასამოა (დელურა 74), ჰანკე (სანდი 56)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მიუნხენ 1860: მ. ჰოფმანი, მათიას ლემანი, კურცი, როდრიგო კოშტა, საარინენი, გიორლიცი, შვარცი (ტისი 9), პოშნერი, ბაიერი (დევიდსი 78), ლაუტი (შროტი 58), კიოიო
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ალტინტოპი, ბიომე, შვარცი, ლაუტი, ტისი, როდრიგო კოშტა
მსაჯი: კემლინგი
61 000 მაყურებელი

**ჰანზა 4:1 ფრაიბურგი**

1:0 დი სალვო (8), 1:1 სანუ (64), 2:1 არვიდსონი (76), 3:1 პლასნეგერი (80), 4:1 ტიკუზუ (90)
ჰანზა: შობერი, პერსონი (პლასნეგერი 73), ტიკუზუ, მიორლე, ჰილი, ლანსი, რასმუსენი, მაული, რიდლევიჩი (კ. მადსენი 84), დი სალვო, პრიკა (არვიდსონი 69)
მწვრთნელი: იური შლიუნცი
ფრაიბურგი: როისი, შ. მიულერი, ბ. დიარა, ბერნერი, კრუპკე (ვილი 46), ბაირამოვიჩი (გუიე-მიენი 82), რაიტერი, ანტარი, ტანკო (კაირო 46), სანუ, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: რიდლევიჩი, ლანცი, კრუპკე
მსაჯი: გაგელმანი
14 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 1:2 ვერდერი**

1:0 სვერკოში (51), 1:1 კლასნიჩი (54), 1:2 ბაუმანი (90)
მიონხენგლადბახი: შტილი, კორზინეცი, ასანინი, შტრასერი, კარნელი, გაედე, კლუგე (ულიხი 46), ბროიხი, კოლკა (ვან ჰუტი 66), სვერკოში, ვან ლენტი (ტ. მარიჩი 74)
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
ვერდერი: რაინკე, უმითი, ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ლისტეში (ბოროვსკი 86), ფ. ბაუმანი, მიკუ, ფ. ერნსტი, კლასნიჩი (შულცი 90), ვალდესი (აილტონი 62)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: გაედე, კრსტაიჩი, სვერკოში, მარიჩი, კრსტაიჩი, სტალტერი, ბაუმანი
გაძევება: კრსტაიჩი (72)
მსაჯი: კოოპი
28 650 მაყურებელი

**ლევერკუზენი 1:2 აინტრახტი**

0:1 ჰერჩი (20), 1:1 ნოივილი (61), 1:2 ამანატიდისი (77)
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟუანი, ლუსიო, ნოვოტნი (კ. ფრიცი 82), პლასენტე, რამელო, ბიროფკა (საჰინი 75), ბაბიჩი, ბ. შნაიდერი, ბერბატოვი, ფრანცა (ნოივილი 46)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
აინტრახტი: ნიკოლოვი, ჰერჩი, პროისი, კრისი, გიუნტერი, შური, ბიურგერი, ჩა (ლექსა 72), შკელა, კროიცი, ამანატიდისი
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
გაფრთხილება: ჰერჩი
მსაჯი: შტაინბორნი
22 500 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:4 დორტმუნდი**

1:0 პეტროვი (36პ), 1:1 იენსენი (42), 1:2 კოლერი (45), 1:3 ფრინგსი (54), 1:4 რიკენი (78), 2:4 ბაიანო (88)
ვოლფსბურგი: იენჩი, ფრანცი, კვატროკი (ფიშერი 82), შნოორი, ვაიზერი, მენსეგეში, კარჰანი (ჰრგოვიჩი 65), ტიამი (შარპეი 39), მ. პეტროვი, კლიმოვიჩი, ბაიანო
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
დორტმუნდი: ვარმუზი, შ. როიტერი, დემელი, ვიორნსი, ნ. იენსენი, ფრინგსი (ბრჟენსკა 90), ფლავიო კონსეისაო, კელი, ოდონკორი (გამბინო 86), კოლერი, ევერტონი (რიკენი 70)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: შნოორი, ჰრგოვიჩი, კვატროკი, ოდონკორი
მსაჯი: ვაკი
25 286 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:1 ბოხუმი**

0:1 კოლდინგი (70), 1:1 რომეო (83)
ჰამბურგი: ვიახტერი, ვიკი, ჰოოგმა, რაინჰარდტი, ჰოლერბახი (კლინგი 66), მაჰდავიკია, იაროლიმი, ა. მაიერი (ტაკაჰარა 46), ბაინლიხი (რანი 71), რომეო, ბარბარესი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ედუ, ცდებელი, ოლისე, ვოში (სტევიჩი 64), ფრაიერი (ვრიეზდე 84), ჰაშემიანი, პ. მადსენი (დიაბანგი 74)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: მადსენი
მსაჯი: შმიდტი
37 667 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 1:0 კიოლნი**

1:0 ლოკვენცი (23)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, კნავსი, ვენცელი, მალცი, რიდლი (მიხაელ ლემანი 58), ნურმელა, ბიელიცა, დომინგეში (კ. კოსოვსკი 84), მ. ხრისტოვი (ჰალილ ალტინტოპი 78), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: კურტ იარა
კიოლნი: ვესელსი, დოგანი, ჩიკონი, სიხონე, ჰაინრიხი (ლოტნერი 75), სტრაიტი (შერცი 67), ო. შრიოდერი, შპრინგერი (კრინგე 46), ვოიგტი, პოდოლსკი, ვორონინი
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
გაფრთხილება: კნავსი, კლოზე, მალცი, სტრაიტი, დოგანი, ჩიკონი
მსაჯი: ალბრეხტი
37 529 მაყურებელი

**ბაიერნი 3:1 ჰანოვერი**

1:0 ბალაკი (10), 2:0 ზე რობერტო (66), 3:0 მაკაი (78), 3:1 სვიტლიცა (82)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი (სანტა კრუზი 80), კ. პიზარო (იერემისი 79)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო (ხაიმე 46), კონსტანტინიდისი, ვინიციუსი, კლებერი, კრუპნიკოვიჩი, დე გუზმანი, შრიოტერი, მატისი (სვიტლიცა 66), შტენდელი (შულერი 33), ბრდარიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ჩერუნდოლო, ბალაკი, დე გუზმანი, ბალაკი, დე გუზმანი
გაძევება: ბალაკი (76), დე გუზმანი (90)
მსაჯი: ფროილიხი
32 000 მაყურებელი

**ჰერტა 1:0 შტუტგარტი**

1:0 ბობიჩი (87)
ჰერტა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ჩაჰედი, დარდაი (მადლუნგი 86), ფატი, ნოინდორფი (კარვანი 80), ჟ. რეინა (პინტუ 78), მარსელინიო, ბობიჩი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბ. ჟივკოვიჩი, ლამი, სოლდო, ტიფერტი (მაისნერი 61), ვრანიეში (ჰელდტი 61), გლები, კურანი, საბიჩი (სტრელერი 75)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ნოინდორფი, შიმუნიჩი, დარდაი, მარსელინიო, ტიფერტი
მსაჯი: კინჰოფერი
39 153 მაყურებელი

# კაიზერის იარას იარამ უმკურნალა



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

კაიზერსლაუტერნი — კიოლნი. სტუმრებს ისეთი ფორმა ეცვათ, მოსაცმელები დასჭირდათ

„ალემანიასთან“ სათასო მეოთხედფინალში გაბითურებულ „ბაიერნს“ კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, მეტიც, ბავარიელები მასხრადაც აიგდეს გერმანელმა მედიელებმა, თუმც ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა გუშინ „ჰანოვერი“ გამოიჭირა და შვებითაც ამოისუნთქა. „ბაიერნს“ ბალაკის ბრწყინვალე თამაშმა მოაგებინა. მიხაელმა დებიუტში დააწინაურა მასპინძლები და ამ გოლის მერე მის გუნდს უპირატესობა აღარც გაუშვია ხელიდან.

მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე ბალაკი მეორე ყვითლით გააძევეს, თუმც მანამდე მიხაელს ზე რობერტოს საგოლედ დატოვებაც მოსწრებული ჰქონდა. 78 წუთზე მასპინძელთა უპირატესობა მაკაიმ კიდევ უფრო სოლიდური გახადა, ამას „ჰანოვერის“ ერთი საპასუხო გოლი კი მოჰყვა, თუმც იქვე სტუმრებიც ათნი დარჩნენ და თამაშიც მორჩა.

გუშინ მოულოდნელად წააგო აქამდე ყოჩაღმა „შტუტგარტმა“. ბოლოადგილოსანმა „ჰერტამ“ თავზე ხელი აიღო და ზედ საფინალო სასტვენის წინ გამარჯვებისა დააჭედა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალოსან მეტოქეს.

ტურის შვიდი მატჩი შაბათს გაიმართა და ამათგან ყველაზე მოსაწყენი „შალკე“ — „მიუნხენი“ იყო. ამ მატჩის შემდეგ აღმოჩნდა, რომ „ხუმარებს“ ბოლო ხუთ თამაშში 13 ქულა დაუგროვებიათ, ეს, რა თქმა უნდა, ძალზედ კარგი შედეგია, მაგრამ „მიუნხენთან“ ვერმოგება მაინც წარუმატებლობად უნდა ჩავუთვალოთ გელზენკირხენელებს, მით უფრო რომ, საშინაო სარბიელზე მოსაგებად ფეხიც არ გაუნძრევიათ ხეირიანად.

წარუმატებლად ითამაშა ლევან ცქიტიშვილის და ალექსანდრე იაშვილის „ფრაიბურგმაც“. „ჰანზასთან“ გასვლაზე ფინკეს ბიჭებმა გაჭირვებით მოახერხეს გათანაბრება, მაგრამ ბოლო თხუთმეტ წუთში ჩაფლავდნენ და კარი სამჯერ ააოხრებინეს როსტოკელებს.

ახალი ცოცხი კარგად გვისო, კურტ იარამ უნდა თქვას, ამ კაცმა ერთი კვირის წინ „კაიზერის“ მესაჭეობა ჩაიბარა და პირველივე მატჩში სამი ქულა აალებინა გერმანიის ოთხგზის ჩემპიონს.

წვიმიან მატჩში კლაუს ტოპმიოლერის „ჰამბურგმა“ ვერაფერი მოუხერხა ამ სეზონის აღმოჩენა „ბოხუმს“ და მხოლოდ ფრეს გამორჩა.

ის დროა, „ლევერკუზენი“ უხეირო სატრანსფერო პოლიტიკას მისტიროდეს. ჰედ-ჰერე წრის ჯანახლების წინ ლევერკუზენელებმა მცველი ინგო ჰერჩი „აინტრახტს“ დაუთმეს და თითზე საკბენადაც გაიხადეს საქმე, რაკილა სწორედ ჰერჩმა გაუტანა გოლი ყოფილ თანაგუნდელებს. ნოივილმა მეორე ტაიმში გათანაბრება კი მოახერხა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე ბერძენი ამანატიდისი გამოხტა და ფრანკფურტელებს სენსაციური გამარჯვება მოუტანა.

ფინანსური კრიზისი არ დაიტყო „დორტმუნდმა“ და „ვოლფსბურგთან“ ფრთაშესხმულმა იბურთავა. „დორტმუნდს“ ხელი არც მას შემდეგ შეშლია, როცა მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. „ვოლფსბურგის“ გოლს დანიელმა ნიკლას იენსენმა ზღაპრული საჯარიმოთი უპასუხა, ტაიმის ბოლოს კი კოლერმაც გაილაღა და მეორე ნახევარში სტუმარს არ გასჭირვებია სათავისო შედეგის მოპოვება.

დრამატული გამოდგა ბუნდესლიდერ „ვერდერის“ ჯახი „გლადბახთან“. „ვერდერის“ მოგება მასპინძელი სვერკოშის გოლის შემდეგ სათუო გახდა, მიუხედავად იმისა, რომ კლასნიჩმა ამ ამბიდან სამ წუთში ალადგინა წონასწორობა, ბრემენელ „მუსიკოსებს“ მაინც ცუდად წაუვიდათ საქმე, რაკილა მსაჯმა კრსტაიჩი დაითხოვა მოედნიდან, თუმც ათკაცა „ვერდერმა“ გერმანული შეუპოვრობით იბრძოლა, ზედ საფინალო სასტვენის წინ გამარჯვებისა შეაგდო და ექვსქულიანი უპირატესობით ალალად ლიდერობს ბუნდესლიგაში.

**პაატა ქვანტალიანი**



REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

კურტ იარა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 19 | 14 | 3 | 2 | 51:21 | 30 | 45 | 10 | 7 | 2 | 1 | 27:12 | 15 | 23 | 9 | 7 | 1 | 1 | 24;9 | 15 | 22 |
| 2 ბაიერნი | 19 | 11 | 6 | 2 | 44:21 | 23 | 39 | 9 | 7 | 2 | 0 | 26:10 | 16 | 23 | 10 | 4 | 4 | 2 | 18:11 | 7 | 16 |
| 3 შტუტგარტი | 19 | 11 | 5 | 3 | 26:8 | 18 | 38 | 10 | 6 | 3 | 1 | 15:5 | 10 | 21 | 9 | 5 | 2 | 2 | 11:3 | 8 | 17 |
| 4 ლევერკუზენი | 19 | 10 | 5 | 4 | 35:20 | 15 | 35 | 9 | 6 | 1 | 2 | 20:9 | 11 | 19 | 10 | 4 | 4 | 2 | 15:11 | 4 | 16 |
| 5 ბოხუმი | 19 | 8 | 6 | 5 | 32:23 | 9 | 30 | 9 | 6 | 3 | 0 | 17:3 | 14 | 21 | 10 | 2 | 3 | 5 | 15:20 | -5 | 9 |
| 6 დორტმუნდი | 19 | 8 | 4 | 7 | 33:28 | 5 | 28 | 10 | 6 | 3 | 1 | 23:11 | 12 | 21 | 9 | 2 | 1 | 6 | 10:17 | -7 | 7 |
| 7 შალკე | 19 | 7 | 7 | 5 | 24:23 | 1 | 28 | 10 | 3 | 5 | 2 | 10:9 | 1 | 14 | 9 | 4 | 2 | 3 | 14:14 | 0 | 14 |
| 8 ვოლფსბურგი | 19 | 8 | 1 | 10 | 37:37 | 0 | 25 | 10 | 7 | 0 | 3 | 26:16 | 10 | 21 | 9 | 1 | 1 | 7 | 11:21 | -10 | 4 |
| 9 ჰამბურგი | 19 | 6 | 6 | 7 | 26:33 | -7 | 24 | 9 | 4 | 3 | 2 | 15:13 | 2 | 15 | 10 | 2 | 3 | 5 | 11:20 | -9 | 9 |
| 10 ფრაიბურგი | 19 | 7 | 3 | 9 | 26:41 | -15 | 24 | 10 | 7 | 1 | 2 | 20:18 | 2 | 22 | 9 | 0 | 2 | 7 | 6:23 | -17 | 2 |
| 11 მიუნხენი | 19 | 6 | 5 | 8 | 20:27 | -7 | 23 | 10 | 5 | 1 | 4 | 12:14 | -2 | 16 | 9 | 1 | 4 | 4 | 8:13 | -5 | 7 |
| 12 ჰანოვერი | 19 | 6 | 5 | 8 | 34:42 | -8 | 23 | 9 | 3 | 4 | 2 | 19:18 | 1 | 13 | 10 | 3 | 1 | 6 | 15:24 | -9 | 10 |
| 13 ჰანზა | 19 | 6 | 4 | 9 | 28:30 | -2 | 22 | 9 | 4 | 1 | 4 | 15:10 | 5 | 13 | 10 | 2 | 3 | 5 | 13:20 | -7 | 9 |
| 14 გლადბახი | 19 | 5 | 4 | 10 | 19:27 | -8 | 19 | 9 | 3 | 3 | 3 | 9:10 | -1 | 12 | 10 | 2 | 1 | 7 | 10:17 | -7 | 7 |
| 15 ლაუტერნი | 19 | 6 | 3 | 10 | 22:33 | -11 | 18 | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 4 | 14 | 10 | 2 | 1 | 7 | 10:25 | -15 | 7 |
| 16 აინტრახტი | 19 | 4 | 4 | 11 | 19:30 | -11 | 16 | 10 | 2 | 3 | 5 | 12:16 | -4 | 9 | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | -7 | 7 |
| 17 კიოლნი | 19 | 4 | 4 | 11 | 16:27 | -11 | 16 | 10 | 4 | 1 | 5 | 11:12 | -1 | 13 | 9 | 0 | 3 | 6 | 5:15 | -10 | 3 |
| 18 ჰერტა | 19 | 3 | 7 | 9 | 16:37 | -21 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | -7 | 9 | 10 | 1 | 4 | 5 | 7:21 | -14 | 7 |

*„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 18 |
| მაქსი (ჰანზა) | 12 |
| მაკაი (ბაიერნი) | 12 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 11 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 10 |

### XX ტური

14 თებერვალი

ჰამბურგი — ვოლფსბურგი
ვერდერი — ლაუტერნი
შტუტგარტი — გლადბახი
ფრაიბურგი — ჰერტა
აინტრახტი — ჰანზა
ჰანოვერი — ლევერკუზენი
ბოხუმი — ბაიერნი
მიუნხენი — დორტმუნდი
კიოლნი — შალკე

## მეორე ბუნდესლიგა

### XIX ტური

**ალენი 0:2 ობერჰაუზენი**

0:1 კაიო (24), 0:2 ველიჩკოვი (45)

**ბურგჰაუზენი 0:0 ნიურნბერგი**

**კარლსრუე 3:0 ოსნაბრიუკი**

1:0 საენკო (18), 2:0 კეისი (25), 3:0 საენკო (35)

**აუე 2:1 ტრირი**

0:1 ვინკლერი (33), 1:1 კურტი (39), 2:1 ნოვესკი (63)
აუე: ჰანელი, ბარტენი, ემერიხი, ნოვესკი, ფ. ბერგერი, მ. ჰაიდრიხი (ჩიპევი 58), კურტი, ტოპმიოლერი, შუბითიძე (იანკი 58), კური (გ. ბერგერი 80), იუსკოვიაკი
გაფრთხილება: კური, შუბითიძე, ტოპმიოლერი
მსაჯი: კირხერი
8 300 მაყურებელი

**არმინია 1:3 ლიუბეკი**

0:1 ზანდი (8), 0:2 ტიუნი (69), 0:3 პლასენრიხი (80), 1:3 ბოაკიე (82)

**დუისბურგი 0:1 უნტერჰახინგი**

0:1 ჰელბიგი (9)

**ფიურტი 2:2 რეგენსბურგი**

1:0 კაილასი (14), 1:1 კრიცერი (29), 1:2 ვილმანი (42), 2:2 რუმანი (57)

**მაინცი 3:2 ალემანია**

0:1 სალუ (26), 0:2 კრონტირისი (44), 1:2 ფრიდრიხი (50), 2:2 ბედიაკო (76ს.კ.), 3:2 ბაბაცი (80)

**კოტბუსი — უნიონი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ობერჰაუზენი | 19 | 10 | 5 | 4 | 34:21 | 35 |
| ნიურნბერგი | 19 | 9 | 5 | 5 | 33:23 | 32 |
| მაინცი | 19 | 8 | 7 | 4 | 30:23 | 31 |
| ალემანია | 19 | 9 | 4 | 6 | 32:30 | 31 |
| კოტბუსი | 18 | 8 | 5 | 5 | 29:25 | 29 |
| უნტერჰახინგი | 19 | 8 | 5 | 6 | 30:28 | 29 |
| კარლსრუე | 19 | 8 | 4 | 7 | 22:24 | 28 |
| არმინია | 19 | 8 | 3 | 8 | 29:24 | 27 |
| ბურგჰაუზენი | 19 | 7 | 6 | 6 | 24:21 | 27 |
| ლიუბეკი | 18 | 6 | 7 | 5 | 30:26 | 25 |
| ფიურტი | 19 | 5 | 8 | 6 | 33:31 | 23 |
| რეგენსბურგი | 19 | 5 | 8 | 6 | 25:26 | 23 |
| აუე | 19 | 5 | 8 | 6 | 21:22 | 23 |
| დუისბურგი | 18 | 5 | 7 | 6 | 23:26 | 22 |
| ტრირი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:33 | 20 |
| ალენი | 19 | 6 | 2 | 11 | 20:32 | 20 |
| უნიონი | 18 | 4 | 5 | 9 | 18:23 | 17 |
| ოსნაბრიუკი | 19 | 4 | 4 | 11 | 18:35 | 16 |

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXIV ტური

# ზღაპარი და ფანტასტიკა

**ვულვერჰემპტონი 1:3 არსენალი**
0:1 ბერხკამპი (9), 1:1 განია (26), 1:2 ანრი (58), 1:3 ტურე (63)
ვულვერჰემპტონი: პ. ჯოუნსი, ირვინი, კრადოკი, ბატლერი, ნეილორი, კ. მილერი, კამერონი, რაე, კენედი, განია, კორტი (ივერსენი 76)
მწვრთნელი: დეივ ჯონსი
არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, ედუ, ჟილბერტო სილვა, ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი (რეიესი 55)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: მილერი, ირვინი, ბერხკამპი
მსაჯი: დოუდი
29 392 მაყურებელი

**ევერტონი 3:4 მანჩესტერ იუნ.**
0:1 საჰა (9), 0:2 ვან ნისტელროი (24), 0:3 საჰა (29), 1:3 ანსუორთი (49), 2:3 ოში (65ს.კ.), 3:3 კილბეინი (75), 3:4 ვან ნისტელროი (89)
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, სტაბსი, ანსუორთი, პისტონე (ნეისმიტი 46), უოტსონი (რუნი 46), გრავესენი, კარსლი, კილბეინი, დ. ფერგიუსონი, ჯეფერსი (რაძინსკი 46)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
მანჩესტერ იუნ: ჰოვარდი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, მ. სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი (კ. რონალდო 80), როი კინი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი, საჰა (კ. ფორჩუნი 73)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: გრავესენი
მსაჯი: ბერი
40 190 მაყურებელი

**ბოლტონი 2:2 ლივერპული**
1:0 ჰანტი (11), 1:1 ჰიიპია (51), 2:1 ჯორკაეფი (58), 2:2 ჯერარდი (69)
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ტომე, ბერნესი, კამპო, ნოლანი, ფრანდსენი (ბა 26; ჩარლტონი 82), ჯორკაეფი, პედერსენი, კ. დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ლივერპული: დუდეკი, ფინანი, ჰიიპია, ანშო, კარაგერი, ლე ტალეკი (დენი მერფი 84), ჰამანი, ჯერარდი, კიუელი, ოუენი, შეირუ (სინამა-პონგოლე 65)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: დევისი, კამპო, ტომე, ფინანი, კიუელი
მსაჯი: ვაილი
27 552 მაყურებელი

**ნიუკასლი 3:1 ლესტერი**
1:0 ამეობი (30), 2:0 ტაგარტი (37ს.კ.), 3:0 ჯენასი (59), 3:1 ფერდინანდი (80)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, ვუდგეიტი, ბერნარი, დაიერი (ამბროზი 69), ჯენასი, სპიდი, ვიანა, შირერი (ბრიჯისი 79), ამეობი (ბელამი 79)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ლესტერი: უოქერი, იმპი (ფ. სინკლერი 62), ტაგარტი, ტეტჩერი, გაპი (ჯ. სტიუარტი 73), დიკოვი, ფროინდი, შიმეკა, დავიდსონი, სკოუკროფტი (ლ. ფერდინანდი 64), მ. ბენტი
მწვრთნელი: მიკი ადამსი
გაფრთხილება: ამბროზი, ტეტჩერი, დიკოვი
მსაჯი: დანი
52 125 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:0 ლიდსი**
1:0 ანხელი (45პ), 2:0 იონსენი (59)
ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, დაბლინი (იონსენი 48), ჯ. სამუელი, სოლანო, ჰენდრი (რიდგუელი 86), ჰიცლსპერგერი, ბერი, პ. ანხელი, ვასელი (კრუჩი 86)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ს. კოლდუელი, მატეო, დომი, პენანტი (ელენონი 63), ბაკე (რიჩარდსონი 86), ს. ჯონსონი, მილნერი, ვიდუკა, ა. სმიტი
მწვრთნელი: ედი გრეი
გაფრთხილება: მელბერგი, დე ლა კრუზი, დომი, ვიდუკა
მსაჯი: რენიე
39 171 მაყურებელი

**ტოტენჰემი 4:3 პორტსმუთი**
1:0 დეფო (13), 1:1 ბერკოვიჩი (39), 2:1 კინი (42), 2:2 ლუა ლუა (73), 3:2 კინი (79), 3:3 მორნარი (84), 4:3 პოიეტი (89)
ტოტენჰემი: კელერი, კარი, ე. გარდნერი, რიჩარდსი, კინგი, ს. დალმა (გ. რიკეტსი 73), ს. დევისი, მ. ბრაუნი, ჯეკსონი, რობი კინი, დეფო (პოიეტი 82)
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
პორტსმუთი: ჰისლოპი, კერტისი, პრიმუსი, მეთიუ ტეილორი, დე ზეუვი, ფეიე (ლუა ლუა 64), ქვოში, ბერკოვიჩი (სტოუნი 85), სმერტინი, შერინგემი (მორნარი 46), იაკუბუ
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: დალმა
მსაჯი: უოლტონი
36 107 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:1 ბლექბერნი**
0:1 სტიდი (39)
მიდლსბრო: შვარცერი, მილსი, საუთგეიტი, რიგოტი, კედრუ, მენდიეტა (ნემეტი 66), პარნაბი (დოუნინგი 46), დორივა, ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა, მაკარონე (ჟობი 46)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ბლექბერნი: ფრიდელი, ბაბელი, ტოდი, შორტი, გრეი, ემერტონი, დუგლასი, ფლიტკროფტი, ნაილი, სტიდი (თუგაი 85), გალაჰერი (იანსენი 65)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: დუგლასი
მსაჯი: სტაილზი
28 307 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:0 ფულემი**
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, მიხაელ სვენსონი, ჰიგინბოთემი, ლე სო, ტელფერი, დელაპი, ა. სვენსონი, პახარსი, ორმეროდი (ბიტი 75), ფილიპსი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, პირსი, ბოკანეგრა, ჯეტუ, მალბრანკი (პეტა 58), შ. დევისი (ინამოტო 89), კლარკი (ლეგვინსკი 65), ბოა მორტე, მაკბრაიდი
მწვრთნელი: კრის კოულმენი
გაფრთხილება: ფილიპსი, მალბრანკი, ვოლცი
მსაჯი: დურსო
31 820 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 ჩარლტონი**
1:0 ჰასელბაინკი (28პ)
ჩელსი: სალივანი, მელხიოტი, ჰათი, გალასი, ბრიჯი, გ. ჯონსონი, ნიკოლასი, ლამპარდი, გრონკიაერი, მუტუ, ჰასელბაინკი (გუდიონსენი 74)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ჩარლტონი: კილი, კიშიშევი, ფიში, პერი, ჰრეიდარსონი, გ. სტიუარტი (იანგი 41), ჰოლანდი, კ იენსენი, კონჩესკი (ბარტლეტი 75), დი კანიო, ჯ. იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: გრონკიაერი, მუტუ
მსაჯი: ბენეტი
41 255 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:0 ბირმინგემი**
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, დისტინი, ვან ბუიტენი, რ. დანი (ჟიხაი 55), ტარნატი, სიბიერსკი, კ. რეინა (მაკმანამანი 70), ბოსველტი (ჯ. ბარტონი 70), რაიტ-ფილიპსი, ფაულერი, მაკენი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, ტებილი, კანინგემი, პარსი, კენა (კლეპჰემი 70), ბ. ჰიუზი, სევიჯი, დ. ჯონსონი, ლაზარიდისი, ფორსელი (მორისონი 79), ჯონი (დუგარი 46)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ტებილი
მსაჯი: დარკინი
46 967 მაყურებელი



REUTERS
ევერტონი — მანჩესტერ იუნაიტედი. რუუდ ვან ნისტელროის პირველი და „მანჩესტერის“ მეორე გოლი

ბოლო კვირაა ინგლისში გახურდა შვიდგოლა თრილერები — ფეხბურთის ძველი მშვენება. ჯერ იყო და „მანჩესტერ სიტიმ“ 0:3 მოუტრიალა „ტოტენჰემს“ და თასის მერვედფინალში გავიდა, მერე კიდევ, უკვე პრემიერლიგურ ტურში იმავ „ტოტენჰემმა“ 4:3 მოუგო „პორტსმუთს“ გას პოიეტის გვიანი გოლით. ეს იყო თამაში, რომელშიაც პირველი გოლი გაიტანა „ვესტ ჰემიდან“ გადყვანილმა ჯერმენ დეფომ და რომელსაც „ტოტენჰემი“ სამჯერ იგებდა და სამჯერვე ზღვისპირელებმა გაუთანაბრეს.

ეს თამაში თუ გოლი-გოლზე მიდიოდა, სულ სხვა ამბავი დატრიალდა „გუდისონ პარკზე“, სადაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პირველ ტაიმში გააცამტვერა „ევერტონი“, მეორეში კი ლივერპულელმა „ტკბილებმა“ სამივე გოლი ამოიღეს და მხოლოდ ბოლო წუთზე, ბექემისდროინდელი მანჩესტერული კომბინაციით რუუდ ვან ნისტელროიმ მაინც გამოგლიჯა მოგება.

ეს იყო ვან ნისტელროის 101-ე მანჩესტერული გოლი და ეს იყო საოცარი თამაში. ვან ნისტელროიმ თავისი მე-100 პირველ ტაიმში შეაგდო, იმ ორ გოლს შორის, ლუი საჰამ რომ გაიტანა პოლ სქოულზის საუცხოო გადაცემების შემდეგ. საერთოდ, პირველ ტაიმში „მანჩესტერი“ იყო ბრწყინვალე, მეორეში კი „ევერტონმა“ დაადასტურა, რომ ფეხბურთი ძალიან იოლი თამაშია, თუ მას ლაღად და სწორად თამაშობ, თუ თავზე ხელს აიღებ. მეორე ტაიმში, დევიდ მოიესმა მოედანზე შეუშვა ყველა, ვისაც ძალუძს ასეთი თამაში და ამ საქმის თამადა ცხადია, იყო უეინ


REUTERS
„ჩელსის“ ახალწვეულმა სკოტ პარკერმა თავისი ახალი გუნდი შვილსაც ანახა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 24 | 17 | 7 | 0 | 47:16 | 31 | 58 | 11 | 9 | 2 | 0 | 22:8 | 14 | 29 | 13 | 8 | 5 | 0 | 25:8 | 17 | 29 |
| 2 მანჩესტერი | 24 | 18 | 2 | 4 | 47:20 | 27 | 56 | 12 | 9 | 2 | 1 | 27:9 | 18 | 29 | 12 | 9 | 0 | 3 | 20:11 | 9 | 27 |
| 3 ჩელსი | 24 | 16 | 4 | 4 | 44:19 | 25 | 52 | 12 | 8 | 2 | 2 | 21:8 | 13 | 26 | 12 | 8 | 2 | 2 | 23:11 | 12 | 26 |
| 4 ნიუკასლი | 24 | 9 | 10 | 5 | 34:25 | 9 | 37 | 13 | 7 | 3 | 3 | 21:8 | 13 | 24 | 11 | 2 | 7 | 2 | 13:17 | -4 | 13 |
| 5 ჩარლტონი | 24 | 10 | 7 | 7 | 32:26 | 6 | 37 | 11 | 4 | 3 | 4 | 16:16 | 0 | 15 | 13 | 6 | 4 | 3 | 16:10 | 6 | 22 |
| 6 ლივერპული | 24 | 9 | 8 | 7 | 34:26 | 8 | 35 | 11 | 5 | 2 | 4 | 16:12 | 4 | 17 | 13 | 4 | 6 | 3 | 18:14 | 4 | 18 |
| 7 ფულემი | 24 | 10 | 5 | 9 | 36:33 | 3 | 35 | 12 | 7 | 2 | 3 | 20:13 | 7 | 23 | 12 | 3 | 3 | 6 | 16:20 | -4 | 12 |
| 8 ასტონ ვილა | 24 | 9 | 6 | 9 | 28:27 | 1 | 33 | 12 | 7 | 3 | 2 | 17:10 | 7 | 24 | 12 | 2 | 3 | 7 | 11:17 | -6 | 9 |
| 9 ბოლტონი | 24 | 8 | 9 | 7 | 30:36 | -6 | 33 | 12 | 3 | 7 | 2 | 14:11 | 3 | 16 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:25 | -9 | 17 |
| 10 ბირმინგემი | 23 | 8 | 8 | 7 | 20:26 | -6 | 32 | 11 | 4 | 4 | 3 | 11:14 | -3 | 16 | 12 | 4 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 16 |
| 11 საუთჰემპტონი | 24 | 8 | 7 | 9 | 23:21 | 2 | 31 | 13 | 6 | 3 | 4 | 13:8 | 5 | 21 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:13 | -3 | 10 |
| 12 ტოტენჰემი | 24 | 9 | 3 | 12 | 31:36 | -5 | 30 | 13 | 7 | 1 | 5 | 24:19 | 5 | 22 | 11 | 2 | 2 | 7 | 7:17 | -10 | 8 |
| 13 მიდლსბრო | 23 | 7 | 7 | 9 | 23:27 | -4 | 28 | 13 | 3 | 4 | 6 | 11:16 | -5 | 13 | 10 | 4 | 3 | 3 | 12:11 | 1 | 15 |
| 14 ბლექბერნი | 24 | 7 | 5 | 12 | 35:39 | -4 | 26 | 11 | 3 | 1 | 7 | 18:22 | -4 | 10 | 13 | 4 | 4 | 5 | 17:17 | 0 | 16 |
| 15 ევერტონი | 24 | 6 | 7 | 11 | 28:33 | -5 | 25 | 13 | 5 | 4 | 4 | 19:15 | 4 | 19 | 11 | 1 | 3 | 7 | 9:18 | -9 | 6 |
| 16 სიტი | 24 | 5 | 9 | 10 | 32:35 | -3 | 24 | 12 | 2 | 7 | 3 | 17:15 | 2 | 13 | 12 | 3 | 2 | 7 | 15:20 | -5 | 11 |
| 17 პორტსმუთი | 24 | 6 | 5 | 13 | 28:37 | -9 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 22:12 | 10 | 19 | 13 | 0 | 4 | 9 | 6:25 | -19 | 4 |
| 18 ლესტერი | 24 | 4 | 8 | 12 | 32:46 | -14 | 20 | 12 | 2 | 5 | 5 | 13:22 | -9 | 11 | 12 | 2 | 3 | 7 | 19:24 | -5 | 9 |
| 19 ვულვზი | 24 | 4 | 8 | 12 | 21:47 | -26 | 20 | 12 | 4 | 5 | 3 | 15:21 | -6 | 17 | 12 | 0 | 3 | 9 | 6:26 | -20 | 3 |
| 20 ლიდსი | 24 | 4 | 5 | 15 | 19:49 | -30 | 17 | 12 | 2 | 4 | 6 | 9:19 | -10 | 10 | 12 | 2 | 1 | 9 | 10:30 | -20 | 7 |

რუნი, რომელსაც გოლი არ გაუტანია, მაგრამ იფრინა კი. სამი თავური, აქედან ერთი მანჩესტერელი ჯონ ოშისა, რომელიც დაიტანჯა: სამი კუთხური და ფრე. აქედან პირველი გოლი, დევიდ ანსუორთისა განსაკუთრებით ლამაზი იყო.

მაგრამ „მანჩესტერმა“ იცის ის, რაც არ იცის „ევერტონმა“. ბოლო წუთები მისია და რონალდოც მარჯვნიდან ჩავიდა შორეულ ძელთან, საითკენაც ვან ნისტელროი მიფრინავდა.

„პირველი ტაიმი იყო საოცარი ჩვენი მხრიდან. საერთოდ, ჩემი მოთხოვნა ასეთი თამაშია“ — თქვა სერ ალექს ფერგიუსონმა თამაშის შემდეგ — „წლებია, ასე არ გვითამაშია. მაგრამ „ევერტონმა“ ფანტასტიკური თამაში გასწია მეორე ტაიმში. მე კარიერაში არასოდეს დამიკარგავს სამგოლიანი უპირატესობა, ახლა კი რონალდოს ვეუბნები მადლობას დიდებული საგოლე პასისთვის“.

რალაც ამდაგვარი თქვა „ტოტენჰემის“ დროებითმა მენეჯერმა დევიდ პლიტმაც, „პორტსმუთის“ ძლევის შემდეგ: „ფეხბურთი ზღაპრული თამაშია, მაგრამ შეიძლება ჭკუიდან შეგშალოს“.

ამ „ფანტასტიკურ-ზღაპრულის“ ძახილში კი ეგებ სულაც მიგვავიწყდა, რომ პრემიერლიგის ლიდერი კვლავაც „არსენალია“, რომელმაც მეორე ტაიმშილა გასტეხა „ვულვზი“. „მოლინას“ პატრონებმა ყველაფერი გაილეს, ოღონდაც ველარაფრით დააკავეს რობერ პირესი, რომელმაც ტიერი ანრისაც გაატანინა და კოლო ტურესაც.

გვარიანი თამაში იყო ბოლტონშიც, სადაც მასპინძლები ორჯერ უგებდნენ „ლივერპულს“, მერსისაიდელებმა კი სტივენ ჯერარდის წყალობით იშოვნეს ქულა. მწყობრში დაბრუნებული ჯერარდი საუკეთესოა ლივერპულელთა შორის.

კიდევ ერთი სათხრობო ამბავი მოხდა მიდლსბროში, სადაც ბოლო ხანს მადაზე მოსულმა „ბორომ“ აჭრილ „ბლექბერნთან“ წააგო. გრემ სუნესის რისკიანმა ხასიათმა ამ ჯერზე გაამართლა: შეხვედრის ერთადერთი გოლი გუნდში ორიოდე დღის წინ მისულმა 20 წლის ჯონ სტიდმა გაიტანა. ორი კვირის წინ სტიდი მესამე დივიზიონის „ჰადერსფილდში“ ღვრიდა ოფლს, პრემიერლიგაში კი ზღაპრული იღბლით შეაბიჯა.

ამასობაში კი, კიდევ ერთი მწარე ალიყური მოხვდა საბრალო „ლიდსს“, რომელმაც ზედიზედ მეექვსე სალიგო თამაში წააგო და სრულიად უიმედოდ რჩება ბოლო ადგილზე, სამაგიეროდ, აშკარაა „ასტონ ვილას“ გამოლვიძება. დევიდ ოლირის გუნდმა წინა უქმეებზე 5:0 მოიგო ლესტერში, ახლა კი ორი გაიტანა და კარიც კვლავ მშრალად შეინახა.

**ირაკლი გამყრელიძე**

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 17 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნ.) | 17 |
| შირერი (ნიუკასლი) | 16 |
| საჰა (ფულემი/მანჩესტერ იუნ.) | 16 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 12 |

**XXV ტური**

10 თებერვალი

არსენალი — საუთჰემპტონი
ბირმინგემი — ევერტონი
ჩარლტონი — ტოტენჰემი
ლიდსი — ვულვზი
ლესტერი — ბოლტონი
პორტსმუთი — ჩელსი
ბლექბერნი — ნიუკასლი
ფულემი — ასტონ ვილა
ლივერპული — სიტი
მანჩესტერი — მიდლსბრო

## პირველი დივიზიონი

**XXX ტური**

**ბრედფორდი 1:2 ვესტ ჰემი**
1:0 აზერტონი (35), 1:1 ზამორა (65), 1:2 ჰერვუდი (78)

**ბარნლი 1:0 ჯილინგემი**
1:0 ლიტლი (83)

**დერბი ქაუნთი 2:2 კარდიფი**
1:0 ტეილორი (49), 1:1 ერნშოუ (60), 1:2 კავანაფი (62), 2:2 ოსმანი (90)

**იფსვიჩი 1:3 უიგანი**
0:1 რობერტსი (18), 0:2 ელინგტონი (33), 0:3 ტილი (53), 1:3 კუქი (60)

**მილუოლი 1:1 სტოკი**
0:1 კლარკი (4), 1:1 დიჩიო (23)

**ნოტინგემი 0:1 ქოვენთრი**
0:1 სუფო (4)

**პრესტონი 3:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ლუისი (33), 2:0 ჰელი (75), 3:0 ალექსანდერი (87)

**როტერჰემი 5:1 რედინგი**
0:1 გოტერი (20პ), 1:1 პროქტორი (24), 2:1 მონხუზი (36), 3:1 ბატლერი (47), 4:1 პროქტორი (79), 5:1 ბარკერი (90)

**შეფილდ იუნ. 0:3 კრისტალ პალასი**
0:1 ჯონსონი (42), 0:2 პოპოვიჩი (57), 0:3 შიპერლი (87)

**უოლსოლი 1:1 ქრიუ**
1:0 ლეიტაუ (27), 1:1 ფოსტერი (85)

**უოტფორდი 2:2 სანდერლენდი**
1:0 მაჰოუნი (7), 2:0 კოქსი (68), 2:1 სტიუარტი (76), 2:2 ბიფილდი (86)

**უიმბლდონი 0:1 ნორვიჩი**
0:1 ჰაკერბი (16)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 30 | 17 | 8 | 5 | 47:26 | 59 |
| ვესტ ბრომვიჩი | 30 | 15 | 9 | 6 | 42:27 | 54 |
| უიგანი | 30 | 13 | 11 | 6 | 42:31 | 50 |
| შეფილდი | 30 | 14 | 7 | 9 | 45:36 | 49 |
| ვესტ ჰემი | 30 | 12 | 12 | 6 | 43:30 | 48 |
| სანდერლენდი | 29 | 13 | 9 | 7 | 38:26 | 48 |
| იფსვიჩი | 30 | 13 | 8 | 9 | 55:47 | 47 |
| პრესტონი | 29 | 13 | 7 | 9 | 46:35 | 46 |
| რედინგი | 30 | 13 | 6 | 11 | 36:40 | 45 |
| მილუოლი | 30 | 11 | 11 | 8 | 34:29 | 44 |
| კრ. პალასი | 31 | 12 | 8 | 11 | 45:43 | 44 |
| კარდიფი | 30 | 11 | 10 | 9 | 48:39 | 43 |
| სტოკი | 30 | 12 | 7 | 11 | 40:38 | 43 |
| ქოვენთრი | 30 | 9 | 13 | 8 | 38:34 | 40 |
| ქრიუ | 30 | 11 | 7 | 12 | 39:41 | 40 |
| როტერჰემი | 30 | 9 | 10 | 11 | 36:42 | 37 |
| უოლსოლი | 30 | 9 | 9 | 12 | 32:39 | 36 |
| ჯილინგემი | 29 | 10 | 6 | 13 | 33:43 | 36 |
| ბარნლი | 30 | 8 | 10 | 12 | 39:48 | 34 |
| უოტფორდი | 30 | 7 | 10 | 13 | 32:44 | 31 |
| დერბი | 30 | 7 | 10 | 13 | 33:49 | 31 |
| ნოტინგემი | 29 | 7 | 8 | 14 | 34:38 | 29 |
| ბრედფორდი | 31 | 6 | 5 | 20 | 23:45 | 23 |
| უიმბლდონი | 30 | 5 | 3 | 22 | 28:58 | 18 |

## მეორე დივიზიონი

**XXX ტური**

ბარნსლი — ჰარტლპული 2:2; ბრისტოლი — ბრენტფორდი 3:1; ლუტონი — კოლჩესტერი 1:0; პიტერბრო — ჩესტერფილდი 0:2; პლიმუთი — ბორნმუთი 0:0; პორტ ვეილი — შეფილდ უენსდი 3:0; ქუინზ პარკი — ნოტსი 3:2; სუინდონი — რაშდენი 4:2; ტრანმერი — ბლეკპული 1:1; რექსემი — სტოკპორტი 0:0; უიკომბი — ბრაიტონი 1:1; ოლდემი — გრიმსბი 6:0

## მესამე დივიზიონი

**XXX ტური**

კარლაილი — ბერი 2:1; ჰადერსფილდი — დარლინგტონი 0:2; ჰალი — იორკი 2:1; კიდერმინსტერი — იოვილი 0:1; ლეიტონი — ოქსფორდი 1:0; ლინკოლნი — ბოსტონი 1:1; მაკლსფილდი — ჩელტენემი 1:2; ნორთჰემპტონი — როვერსი 2:0; როჩდეილი — მენსფილდი 3:0; სკანთორპი — დონკასტერი 2:2; საუთენდი — კემბრიჯი 1:0; სუონსი — ტორკი 1:2

## კონფერენს ლიგა

**XXX ტური**

ალდერშოტი — ბარნეტი 1:1; აკრინგტონი — დაგენემი 2:3; ჩესტერი — ფარნბორო 3:2; ექსეტერი — გრეივსენდი 0:1; ფორესტ გრიმი — სკარბორო 4:0; ჰერეფორდი — ბარტონი 1:2; მორეკემბი — ნორსვიჩი 3:0; სტივენეიჯი — ტელფორდი 0:1; ტემუორთი — ლეიფი 4:3; მარგეიტი — ჰალიფაქსი 2:0. შრიუსბერი — უოქინგი გადაიდო



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცი — მონაკო. სტუმარი ემანუელ ადებაიორი მასპინძელთა მეკარეს გადააფრინდა

# სეკმა შეძლო და ვერ შეძლო

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXIII ტური**

**მარსელი 2:1 აიაჩო**
1:0 მიდო (11), 1:1 სეკი (73), 2:1 მარლე (90)

**პსჟ 6:1 მონპელიე**
1:0 ლიუბოია (6), 2:0, 3:0 პაულეტა (20, 50), 3:1 დჟოდიჩი (54), 4:1 ლიუბოია (56), 5:1 ბოშკოვიჩი (76), 6:1 რეინალდო (77)

**ლიონი 0:1 გენგამი**
0:1 საველიჩი (90)

**სტრასბური 3:0 ლე მანი**
1:0 ლე პენი (53), 2:0 შაპუი (72), 3:0 ლე პენი (81)

**ნიცა 4:0 ლანსი**
1:0 მესლინი (9), 2:0 პამარო (17), 3:0 ევერსონი (32), 4:0 დიაკიტე (78)

**მეცი 0:2 მონაკო**
0:1 პლასილი (39), 0:2 გივე (52)

**ლილი 2:0 სოშო**
1:0 დერნისი (45), 2:0 მუსილუ (53)

**ბასტია 1:0 ტულუზი**
1:0 ოგბეჩე (30)

**რენი 0:2 ოსერი**
0:1 მექსეში (15), 0:2 კალუ (54)

**ბორდო 2:0 ნანტი**
1:0 ფრანსია (19), 2:0 რიერა (23)

საფრანგეთის ნაკრების წევრის, სტივ მარლეს მიერ „მარსელის“ და „აიაჩოს“ შეხვედრის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა გამარჯვება (2:1) მარსელელებს მოუტანა და ამის წყალობით 23 თამაშიდან 40 ქულით — ოდესღაც მთელს ევროპაში ცნობილმა და მქუხარე გუნდმა, საფრანგეთის პირველობის ცხრილში მეხუთე პოზიციაზე აინაცვლა.

ანგარიში მე-11 წუთზე ეგვიპტელმა აჰმედ ჰოსამ მიდომ გახსნა. მიდომ, რომელიც აფრიკის თასიდან ახალი დაბრუნებული გახლავთ, „მარსელი“ უპრობლემოდ დააწინაურა, რადგან სტეფან ტრევიზანმა დიდიე დროგბას დარტყმულ ჯარიმას ხეირიანი ვერაფერი მოუხერხა და ეგვიპტელს დაუცველ კარშილა დარჩა ბურთი შესაგორებელი.

კორსიკელებმა ანგარიში 73-ე წუთზე გაათანაბრეს. ეს კუთხურის შემდეგ მოხდა, როდესაც ჩაწოდებული ბურთი კარის ხაზიდან მცველებმა თითქოს კი გააგდეს, მაგრამ მამადუ სეკმა ხალხმრავალი ადგილიდან მაინც მოახერხა ძლიერი დარტყმით მიზნის მიღწევა.

თუმცა, ბოლო წუთზე, როდესაც, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მარლემ მაინც გაიტანა „მარსელის“ გამარჯვების გოლი, თავდამსხმელის შეჩერება სწორედ სეკმა ვერ შეძლო.

ხოლო, რაც შეეხება ლიდერ „მონაკოს“, მან სტუმრად 2:0 მოუგო „მეცს“, მაშინ, როდესაც „ლიონი“ შინ „გენგამთან“ დამარცხდა 0:1 და მესამე ადგილზე ჩაცურდა.

ლიდერებს მეცში არ ახლდნენ ლუდოვიკ ჟიული და ედუარდ სისე, გოლები კი იაროსლავ პლასილმა და მცველმა გაელ გივემ გაიტანეს. პირველი გოლი ზედ შესვენების წინ ჟერომ როტენის პასით გავიდა.

მეორე ადგილზე გადავიდა „ოსერი“, რომელმაც „რენს“ აჯობა 2:0, ეს გახლდათ ოსერელთა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება.

ჩემპიონმა კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წააგო და თან მისი ქომაგებისთვის ძალიან გულდასაწყვეტად — „ლიონმა“ გოლი ბოლო წუთზე გაუშვა.

აი, „პარი სენ ჟერმენმა“ ქომაგებს მშობლიურ „პარკ დე პრენსზე“ გოლების ფოიერვერკი მოუწყო — „მონპელიეს“ 6:1 აჯობა. ამ მატჩში ორ-ორი გოლი გაიტანეს პედრუ პაულეტამ და დანიელ ლიუბოიამ. თითო ბურთი ნახევარმცველმა ბრანკო ბოშკოვიჩმა და შეცვლაზე შესულმა რეინალდომ შეაგდეს.

ხოლო „სოშომ“, ოთხშაბათს, ლიგის თასის ფინალში გასვლას ეტყობა დიდძალი ღონე შეალია და „ლილის“ წინაშე კაპიტულაცია (0:2) გამოაცხადა.

მეშვიდე ადგილზე ავიდა „ნიცა“, რომელმაც კაცგაგდებულ „ლანსს“ 4:0 მოუგო. და „ლანსს“, რომელიც, ამ დამარცხების მიუხედავად ისევ მე-10 ადგილზეა, გატანილ-გაშვებულ გოლთა საშინელი ბალანსი აქვს, მინუს 16.

პარასკევს „ბორდომ“ „ნანტს“ 2:0 მოუგო. ეს ლიგის თასის ფინალისტის პირველი მარცხი გახლდათ დეკემბრის დასაწყისის შემდეგ.

**პაპუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 23 | 15 | 6 | 2 | 39:16 | 51 |
| ოსერი | 23 | 14 | 2 | 7 | 41:18 | 44 |
| ლიონი | 23 | 13 | 5 | 5 | 39:18 | 44 |
| პსჟ | 23 | 12 | 7 | 4 | 33:18 | 43 |
| სოშო | 23 | 12 | 5 | 6 | 34:26 | 41 |
| მარსელი | 23 | 13 | 1 | 9 | 32:25 | 40 |
| ნიცა | 23 | 8 | 11 | 4 | 24:18 | 35 |
| ბორდო | 23 | 10 | 5 | 8 | 24:25 | 35 |
| ნანტი | 23 | 10 | 4 | 9 | 24:20 | 34 |
| ლანსი | 23 | 10 | 2 | 11 | 20:36 | 32 |
| რენი | 23 | 7 | 8 | 8 | 26:23 | 29 |
| სტრასბური | 23 | 8 | 5 | 10 | 36:34 | 29 |
| ლილი | 23 | 7 | 7 | 9 | 24:26 | 28 |
| ბასტია | 22 | 6 | 7 | 9 | 24:32 | 25 |
| აიაჩო | 23 | 6 | 5 | 12 | 21:33 | 23 |
| მონპელიე | 23 | 6 | 4 | 13 | 29:44 | 22 |
| მეცი | 23 | 5 | 6 | 12 | 16:25 | 21 |
| გენგამი | 23 | 6 | 3 | 14 | 20:36 | 21 |
| ლე მანი | 23 | 4 | 7 | 12 | 18:36 | 19 |
| ტულუზი | 22 | 4 | 6 | 12 | 16:31 | 18 |

**II დივიზიონი. XXIII ტური**

ამიენი — ნიორი 2:3; ბეზანსონი — ანჟერი 2:0; კაენი — ლავალი 1:2; კლერმონი — გრენობლი 2:0; კრეტეი — ნანსი 1:0; ლორიანი — შატორუ 0:1; რუანი — ისტრი 1:3; სედანი — ლე ავრი 2:0; ვალანსი — გენიონი 3:1. *ტრუა — სენტ ეტიენი წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 24 | 14 | 4 | 6 | 28:12 | 46 |
| სენტ ეტიენი | 23 | 12 | 4 | 7 | 24:19 | 40 |
| ნიორი | 24 | 10 | 9 | 5 | 33:23 | 39 |
| კაენი | 24 | 10 | 9 | 5 | 33:23 | 39 |
| ამიენი | 23 | 11 | 6 | 6 | 25:17 | 39 |
| ლორიანი | 23 | 11 | 5 | 7 | 38:23 | 38 |
| შატორუ | 24 | 10 | 7 | 7 | 32:29 | 37 |
| ლე ავრი | 23 | 10 | 6 | 7 | 27:23 | 36 |
| ტრუა | 23 | 9 | 8 | 6 | 26:25 | 35 |
| სედანი | 24 | 8 | 11 | 5 | 18:17 | 35 |
| ნანსი | 24 | 7 | 11 | 6 | 25:21 | 32 |
| კლერმონი | 24 | 6 | 10 | 8 | 27:38 | 28 |
| კრეტეი | 24 | 5 | 11 | 8 | 26:29 | 26 |
| ვალანსი | 24 | 6 | 8 | 10 | 25:33 | 26 |
| ლავალი | 24 | 5 | 10 | 9 | 29:34 | 25 |
| გრენობლი | 24 | 5 | 9 | 10 | 20:25 | 24 |
| ბეზანსონი | 24 | 5 | 8 | 11 | 20:30 | 23 |
| გენიონი | 24 | 4 | 10 | 10 | 22:32 | 22 |
| ანჟერი | 23 | 4 | 8 | 11 | 19:29 | 20 |
| რუანი | 24 | 3 | 10 | 11 | 17:32 | 19 |

## იტალია

### სერია A. XX ტური

**მილანი 2:1 პერუჯა**

1:0 რუი კოშტა (74), 2:0 პირლო (78პ), 2:1 ფრეზი (84პ)
მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (რუი კოშტა 67), კაკა (სერჯინიო 82), შევჩენკო, ტომასონი (ფ. ინძაგი 67)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პერუჯა: კალაჩი, დი ლორეტო, ფრეზი, ინოფო, ზე მარია (დო პრადო 55), ფუზანი, ობოდო, ჯანდომენიკო (გატი 80), კ. მანფრედინი, უბნერი (ბრიენძა 63), ზალაიეტა
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ობოდო, ზეედორფი, ფრეზი
გაძევება: პანკარო (83)
მსაჯი: ტრეფოლონი
60 000 მაყურებელი

**სამპდორია 2:2 ინტერი**

0:1 ვიერი (30), 1:1 ჩიპრიანი (56), 1:2 ვიერი (78), 2:2 დონი (85პ)
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი (იანაგისავა 83), მ. კონტე, კაროციერი, ბეტარინი, დიანა, ვოლპი, პალომბო, დონი, ბაცანი, ჩიპრიანი (საკეტი 88)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, ფ. კანავარო, ჰელვეგი, ფარინოსი, დ. სტანკოვიჩი (ემრე 73), ხ. ძანეტი, რეკობა (კილი გონსალესი 81), ვიერი, ხ. კრუზი (ადრიანო 58)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ჰელვეგი, კონტე, ძენონი, კონტე
გაძევება: კონტე (90)
მსაჯი: პაპარესტა
38 000 მაყურებელი

**პარმა 0:3 ლაციო**

0:1, 0:2 ლოპესი (39პ, 57), 0:3 კორადი (65)
პარმა: ს. ფრეი, ბენარივო (პოტენცა 63), მ. კასტელინი, პ. კანავარო, სერიჩი, ბარონე, ბრეშიანო, მარკიონი, მორფეო (კამარატა 46), ჯილარდინო, კარბონე (დეგანო 63)
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი, ფიორე, დაბო (ალბერტინი 46), ლივერანი (ჯანიკედა 58), ძაური, კორადი (ს. ინძაგი 71), კ. ლოპესი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: მორფეო, კასტელინი, კანავარო, ძაური, დაბო, სტამი, კანავარო
გაძევება: კანავარო (85)
მსაჯი: დატილო
18 000 მაყურებელი

**უდინეზე 1:3 ბოლონია**

0:1 ლოკატელი (22), 1:1 იანკულოვსკი (45), 1:2 ნაკატა (47), 1:3 კოლუჩი (89)
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, ალბერტო (პიერი 46), პინცი, პაზიენცა (მუნტარი 44), იანკულოვსკი (იანკერი 79), იორგენსენი, ფავა, იაკინტა
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ბოლონია: პალიუკა, გამბერინი, ნატალი, მორეტი, ნერვო (მეგნი 84), ნაკატა, ლ. კოლუჩი, პეკია (ტერცი 75), სუსი, ლოკატელი (ლოვიზო 84), ტარე
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: პინცი, იანკერი, მორეტი, მუნტარი, ლოვიზო, ნერვო
მსაჯი: ფარინა
14 000 მაყურებელი

**კიევო 2:3 ლეჩე**

0:1 ბარძალი (17ს.კ.), 0:2 ჩევანტონი (20), 1:2 ლუსიანო (45), 1:3 კასეტი (57), 2:3 დანა (87პ)
კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, დანა, ბარძალი, ს. ლანა, ლუსიანო (სემიოლი 50), პეროტა, ძანკეტა, სანტანა (პელისიერი 63), ფ. კოსატო, სკული (ამაური 50)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ლეჩე: სიჩინიანო, სივილია, სტოვინი, კ. სილვესტრი, აბრუცეზე (კუიო 90), კასეტი, ბოლანო, ლედესმა, დ. ფრანჩესკინი, ჩევანტონი (კონანი 76), ბოჟიმოვი (ვუჩინიჩი 82)
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ბოლანო, აბრუცეზე, პეროტა
მსაჯი: დონდარინი
10 137 მაყურებელი

**რეჯინა 0:0 ბრეშა**

რეჯინა: ბელარდი, კომოტო, ტორიზი, სოტილი (ნაკამურა 36), ი. ფრანჩესკინი, ბაიოკო, ტედესკო, ფალზინი, კოცა (დალ აკუა 67), დი მიკელე (მესტო 27), ბონაცოლი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ბრეშა: ალიარდი, პეტრუცი, დი ბიაჯო, დაინელი, პ. კასტელინი, ბაკინი (ჟ. მარტინესი 34; სტანკევიჩიუსი 85), ბრიგი, მატუზალემი, მაური, რ. ბაჯო, კარაჩოლო (დელ ნერო 89)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: პეტრუცი, ბაიოკო, პეტრუცი, მესტო, ფრანჩესკინი, ბრიგი
გაძევება: პეტრუცი (32)
მსაჯი: პიერი
19 783 მაყურებელი

**ემპოლი 1:0 სიენა**

1:0 როკი (69)
ემპოლი: ბალი, ბელერი (ტავანო 68), კრიბარი, ვარგასი, კუპი, ფიჩინი, გრელა, ბუშე, ვანუკი, დი ნატალე, როკი (ლანძარო 84)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
სიენა: ჯ. როსი, კუფრე, ჟუარესი, მინანი, ჟუნიორი, ლაზეტიჩი, ვერგასოლა, კუჩარი (არჯილი 79), გიგუ, კიეზა (მენეგაცო 58), ტ. ფლო
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: კუჩარი, ჟუარესი, ფიჩინი, კუფრე, ლაზეტიჩი, როკი, ბალი
მსაჯი: მესინა
7 100 მაყურებელი

**მოდენა 2:1 ანკონა**

0:1 ბუკი (6), 1:1 მილანეტო (16), 2:1 მარაცინა (36)
მოდენა: ძანკოპე, მენსა (კამპედელი 64), გრანდონი, ჩევოლი, დომიცი, ბალესტრი, ვინიაროლი, მილანეტო, ალეგრეტი (მარასკო 14), მაკინვა, მარაცინა (სკოპონი 79)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ანკონა: მარკონი, სარტორი (ლ. ელგერა 25), ბილიკა, ბოლიჩი, მილანეზე, გორეტი (მაინი 85), დ. ბაჯო, დ. ანდერსონი, ბერეტა, პანდევი, ბუკი
მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე
გაფრთხილება: სარტორი, მილანეზე, გრანდონი, ჩევოლი, კამპედელი, ანდერსონი
გაძევება: ბუკი (44)
მსაჯი: როდომონტი
14 000 მაყურებელი

**რომა — იუვენტუსი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# რაი? რუი!



REUTERS მილანიდან

მილანი — პერუჯა. კლარენს ზეედორფმა ზე მარიას ჩაუდრიბლინგა

„მილანისთვის" ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა რომ ჰქონდა ბევრჯერ დავწერეთ კიდეც და არც ზოგადად სჭირდებოდა დიდი ახსნა-განმარტება. ამისთვის კალენდრის ცოდნა სრულიად საკმარისი გახლდათ — მე-20 ტურში, რომში ერთმანეთის პირისპირ ხომ მილანელთა უმთავრესი კონკურენტები, „რომა" და „იუვენტუსი" წარსდგნენ... ერთი სიტყვით, „მილანს" მოგება უნდოდა და მოიგო კიდეც, თუმცა მასთან ბრძოლას დაჩვეული „პერუჯა" წინ გატყორცნილი ახალწვეულებით, მარსელო ზალაიეტათი და დარიო უბნერით, სულაც არ გახლდათ თავიდანვე მარცხს შეგუებული.

„მილანმა", თავიდან, ფილიპო ინძაგის გამოჯანმრთელების მიუხედავად, თავდასხმაში ანდრეი შევჩენკოს და იონ დალ ტომასონის წყვილის თამაში არჩია და იმთავითვე შეუტია კიდეც, მაგრამ „პერუჯას" მეკარე ჟელიკო კალაჩი ამ დღეს იშტაზე გახლდათ — შევჩენკოს დარტყმულიც მოიგერია და კაკასიც. შემდეგ თავად სტუმრებმა შეუქმნეს სახიფათო მდგომარეობა — ჯოვანი ინოფომ თავურით სულ ოდნავ ააცილა მიზანს, მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან, რაც 33-ე წუთზე მოხდა, როდესაც პაოლო მალდინის ფეხი დაუცდა და ბურთი ლუკა ფუზანის ერგო, თუმცა პერუჯელებმა მისი ხაზსმილმა გადაგორება ვერ შეძლეს — მასპინძლები თავგანწირვით ეკვეთნენ.

შესვენების შემდეგ მილანელებმა ახალი ძალით სცადეს ასე საჭირო სამი ქულის სტუმრებისთვის გამოღლეტა და ტომასონის, კაკას და კაფუს საშუალებით სცადეს ანგარიშის გახსნა. შემდეგ ჯუზეპე პანკარომ სცადა ანდრეა პირლოს საჯარიმო დარტყმისთვის ძლიერი თავურის წაშველება, რასაც კაკას თავური და ზემოხსენებული ინოფოს გზად გადალობვა მოჰყვა და ამ ყველაფერმა შედეგი რომ ვერ გამოიღო, კარლო ანჩელოტიმ მოედანზე ინძაგი და რუი კოშტა შეუშვა. როგორც გაირკვა, ცვლილებებმა სულზე მიუსწრო საქმეს: რუი კოშტამ, რომელსაც მთელი სამი წლის მანძილზე „მილანის" მაისურით ერთი გოლიც კი არ ჰქონდა გატანილი, ჯადოსნური ჯარიმით აგერ უკვე სამ თამაშში მეორედ შეაგდო. შემდეგ გამოხდა ხანი და კალაჩმა ინძაგი წააქცია თავის საჯარიმოში — პენალტი პირლომ გაიტანა.

მატჩის დასრულებამდე რვა წუთით ადრე ფუზანის წაქცევისთვის მსაჯმა მოედნიდან პანკარო გააძევა. ეს ბოლო იმედის ჯარიმა გახლდათ, რაც პენალტით დაისაჯა და თერთმეტი მეტრიდან ბურთი ბადეში სალვატორე ფრეზიმ შეაგდო. სულ ბოლოს კი მილანელთა კარის ძელი მსუბუქად დე პრადოს ჯარიმამ შეარხია.

ამ მატჩის პარალელურად გენუაში „სამპდორიამ" და „ინტერმა" 2:2 ითამაშეს, თუმცა ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ მილანელთა მეორე გოლი კრისტიან ვიერიმ თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა და პასიც თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი ადრიანოსგან მიიღო — მაშ ასე, „ინტერის" ქომაგებმა ვიერისა და ადრიანოს ერთი შეხედვით შეუძლებელი დუეტი იხილეს, თუმცა ბოლო 32 წუთით.

გენუელთა კარში ორივე გოლი ვიერიმ გაიტანა. ბარძა[illegible]ტკენი ვარსკვლავის მოედანზე დაბრუნებამ ჩინებულად ჩაიარა, [illegible] კი ყველაზე [illegible] ფრანჩესკო ფლაკო არ ჰყავდათ, ასე რომ, ჯა[illegible] ჩიპრიანიმ [illegible]სთან შექმნა წყვილი.

ანგარიში ვიერიმ ასე გახსნა: ალვარო რეკობამ ჯარიმა დაარტყა, ვიერიმ კი მსუბუქი გაკვრით ბურთს მიმართულება უცვალა. გათანაბრებით ჩიპრიანიმ მეორე ტაიმში გაათანაბრა, რასაც ისევ „ინტერის" გოლი მოჰყვა, ხოლო ბოლოს გენუელებმა ისევ ჩიპრიანის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით ისარგებლეს და კრისტიანო დონიმ ქულა გენუაში დაიტოვა.

მატჩის მიწურულს მეორე ყვითელი ბარათის გამო მსაჯმა მოედანი მასპინძელ კონტეს დაატოვებინა.

„ლაციო" კი პარმაში ჩავიდა და „სტადიო ტარდინიზე" 1999 წლის შემდეგ პირველი თამაში მოიგო, თან 3:0, ხოლო პარმელმა ალბერტო ჯილარდინომ მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 21-წლამდელთა ნაკრების წევრია, სერია A-ში მე-100 მატჩი ითამაშა. მასვე სილვიო პიოლას სახელობის ჯილდო გადასცეს.

**პაპუნა ძიდია**



REUTERS გენუიდან

სამპდორია — ინტერი. კრისტიან ვიერიმ და ადრიანომ ერთად 32 წუთი ითამაშეს

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მილანი | 20 | 16 | 3 | 1 | 39:10 | 29 | 51 | 10 | 8 | 1 | 1 | 22:7 | 15 | 25 | 10 | 8 | 2 | 0 | 17:3 | 14 | 26 |
| 2 რომა | 19 | 13 | 4 | 2 | 37:9 | 28 | 43 | 10 | 8 | 1 | 1 | 23:5 | 18 | 25 | 9 | 5 | 3 | 1 | 14:4 | 10 | 18 |
| 3 იუვენტუსი | 19 | 13 | 4 | 2 | 42:21 | 21 | 43 | 10 | 8 | 1 | 1 | 26:10 | 16 | 25 | 9 | 5 | 3 | 1 | 16:11 | 5 | 18 |
| 4 ინტერი | 20 | 10 | 6 | 4 | 35:15 | 20 | 36 | 10 | 6 | 2 | 2 | 21:6 | 15 | 20 | 10 | 4 | 4 | 2 | 14:9 | 5 | 16 |
| 5 ლაციო | 20 | 11 | 3 | 6 | 30:22 | 8 | 36 | 9 | 6 | 1 | 2 | 17:9 | 8 | 19 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:13 | 0 | 17 |
| 6 პარმა | 20 | 9 | 6 | 5 | 28:24 | 4 | 33 | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 6 | 18 | 10 | 4 | 3 | 3 | 15:17 | -2 | 15 |
| 7 უდინეზე | 20 | 8 | 6 | 6 | 23:22 | 1 | 30 | 11 | 4 | 3 | 4 | 10:10 | 0 | 15 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:12 | 1 | 15 |
| 8 სამპდორია | 20 | 7 | 8 | 5 | 25:23 | 2 | 29 | 10 | 5 | 2 | 3 | 15:12 | 3 | 17 | 10 | 2 | 6 | 2 | 10:11 | -1 | 12 |
| 9 კიევო | 20 | 7 | 4 | 9 | 23:26 | -3 | 25 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:15 | -3 | 11 | 10 | 4 | 2 | 4 | 11:11 | 0 | 14 |
| 10 ბოლონია | 20 | 6 | 6 | 8 | 22:27 | -5 | 24 | 10 | 4 | 2 | 4 | 14:17 | -3 | 14 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:10 | -2 | 10 |
| 11 ბრეშა | 20 | 5 | 8 | 7 | 28:32 | -4 | 23 | 10 | 3 | 4 | 3 | 17:15 | 2 | 13 | 10 | 2 | 4 | 4 | 11:17 | -6 | 10 |
| 12 სიენა | 20 | 5 | 6 | 9 | 27:28 | -1 | 21 | 9 | 5 | 2 | 2 | 16:5 | 11 | 17 | 11 | 0 | 4 | 7 | 11:23 | -12 | 4 |
| 13 მოდენა | 20 | 5 | 6 | 9 | 16:26 | -10 | 21 | 10 | 4 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 15 | 10 | 1 | 3 | 6 | 6:16 | -10 | 6 |
| 14 რეჯინა | 20 | 4 | 9 | 7 | 18:30 | -12 | 21 | 11 | 3 | 6 | 2 | 10:10 | 0 | 15 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:20 | -12 | 6 |
| 15 ლეჩე | 20 | 5 | 3 | 12 | 24:37 | -13 | 18 | 9 | 2 | 2 | 5 | 10:14 | -4 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 14:23 | -9 | 10 |
| 16 ემპოლი | 20 | 4 | 4 | 12 | 15:35 | -20 | 16 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | -3 | 12 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:22 | -17 | 4 |
| 17 პერუჯა | 20 | 0 | 11 | 9 | 23:37 | -14 | 11 | 10 | 0 | 9 | 1 | 16:17 | -1 | 9 | 10 | 0 | 2 | 8 | 7:20 | -13 | 2 |
| 18 ანკონა | 20 | 0 | 5 | 15 | 8:39 | -31 | 5 | 10 | 0 | 4 | 6 | 4:15 | -11 | 4 | 10 | 0 | 1 | 9 | 4:24 | -20 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 16 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 12 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| ბაცანი (სამპდორია) | 11 |
| ვიერი (ინტერი) | 11 |

### XXI ტური

15 თებერვალი

პერუჯა — კიევო
ლაციო — ემპოლი
ლეჩე — მილანი
ბოლონია — მოდენა
სიენა — პარმა
იუვენტუსი — რეჯინა
ანკონა — რომა
ბრეშა — სამპდორია
ინტერი — უდინეზე

## სერია B

### XXVI ტური

**ასკოლი 0:0 სალერნიტანა**

**ატალანტა 0:1 პიაჩენცა**

0:1 ბეგეტო (18)

**კატანია 0:0 კომო**

**ლივორნო 1:1 ჯენოა**

1:0 პროტი (9პ), 1:1 კაჩა (31)

**ნაპოლი 1:0 მესინა**

1:0 ძამბონი (71)

**პალერმო 1:1 აველინო**

1:0 ტონი (42), 1:1 სტროპა (70)

**პესკარა 0:1 კალიარი**

0:1 ესპოზიტო (38)

**ტერნანა 0:0 ალბინოლეფე**

**ტრევიზო 0:2 ვერონა**

0:1 მურტაი (10), 0:2 ადაილტონი (55)

**ტრიესტინა 2:1 ფიორენტინა**

0:1 პიანჯერელი (16), 1:1 რიგონი (42), 2:1 გოდეაში (54პ)

**ვიჩენცა 3:1 ვენეცია**

1:0 მარჯოტა (22), 1:1 პოჯი (35პ), 2:1 მარჯოტა (43), 3:1 შვოხი (75)

**ტორინო — ბარი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატალანტა | 26 | 11 | 13 | 2 | 33:18 | 46 |
| ტერნანა | 26 | 13 | 7 | 6 | 38:25 | 46 |
| პალერმო | 26 | 11 | 11 | 4 | 35:21 | 44 |
| პიაჩენცა | 26 | 12 | 8 | 6 | 27:21 | 44 |
| კალიარი | 26 | 11 | 8 | 7 | 43:29 | 41 |
| მესინა | 26 | 10 | 11 | 5 | 34:26 | 41 |
| ლივორნო | 26 | 9 | 12 | 5 | 32:25 | 39 |
| სალერნიტანა | 26 | 10 | 7 | 9 | 24:24 | 37 |
| ტრიესტინა | 26 | 9 | 9 | 8 | 34:34 | 36 |
| კატანია | 26 | 9 | 8 | 9 | 33:28 | 35 |
| ტორინო | 25 | 8 | 10 | 7 | 33:27 | 34 |
| ასკოლი | 26 | 8 | 10 | 8 | 31:31 | 34 |
| ტრევიზო | 26 | 8 | 10 | 8 | 28:28 | 34 |
| ფიორენტინა | 26 | 7 | 12 | 7 | 29:33 | 33 |
| ალბინოლეფე | 26 | 8 | 8 | 10 | 23:31 | 32 |
| ვერონა | 26 | 7 | 10 | 9 | 33:35 | 31 |
| ნაპოლი | 26 | 5 | 16 | 5 | 20:22 | 31 |
| პესკარა | 26 | 7 | 10 | 9 | 21:29 | 31 |
| ვიჩენცა | 26 | 6 | 11 | 9 | 24:26 | 29 |
| ბარი | 25 | 6 | 8 | 11 | 26:33 | 26 |
| ვენეცია | 26 | 5 | 11 | 10 | 21:30 | 26 |
| კომო | 26 | 5 | 9 | 12 | 19:31 | 24 |
| ჯენოა | 26 | 4 | 12 | 10 | 21:34 | 24 |
| აველინო | 26 | 1 | 11 | 14 | 20:41 | 14 |

## სერია C1/A

### XXI ტური

ჩიტადელა — რეჯანა 4:2; ნოვარა — ვარეზე 1:0; პავია — პრატო 1:0; პიზა — ლუმეცანე 0:1; პისტოიეზე — ჩეზენა 0:2; პრო პატრია — პადოვა 3:1; რიმინი — ს. ტორესი 2:0; სპეცია — არეცო 2:1. *სპალ — ლუკეზე დღეს გაიმართება*

## სერია C1/B

### XXI ტური

კატანძარო — ფოჯა 1:0; ფერმანა — ლანჩანო 2:0; ჯულიანოვა — კიეტი 2:0; აკილა — აკირეალე 3:1; პატერნო — ტერამო 0:0; სამბენედეტეზე — პეზარო 1:0; სორა — მარტინა 2:0; ტარანტო — კროტონე 1:2; ვიტერბეზე — ბენევენტო 0:0

# რონალდო და პატარა რონალდო

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. XXIII ტური

### რეალი 2:1 მალაგა

1:0 რონალდო (23), 2:0 რობერტო კარლოსი (58), 2:1 ლუკე (74)

რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (ნუნიესი 72), ბექემი, ბორხა, ზიდანი, რაული (პორტილიო 71), რონალდო

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში

მალაგა: კალატაიუდი, როხასი (ინსუა 64), ხოსემი, ხუანიტო, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, დუდა (ლუკე 72), მიგელ ანხელი, ედგარი (მანუ 76), სალვა

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: ხერარდო, რონალდო, როხასი, დუდა, პორტილიო, მიგელ ანხელი, სანსი

მსაჯი: ტელიეს სანჩესი

80 000 მაყურებელი

### ვალენსია 3:0 ატლეტიკო

1:0 მისტა (30), 2:0 ვისენტე (66), 3:0 მისტა (71)

ვალენსია: კანისარესი, რ. აიალა (ფ. აურელიო 84), მარჩენა, გარიდო, კარბონი, ალბელდა (დავიდ ნავარო 63), ბარახა, ვისენტე, ანგულო, მისტა, ხისკო (ხუან სანჩესი 74)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ატლეტიკო: არაგონესესი, სანტი, სერხი, ლეკი, გასპარი, მუსამპა (კონტრა 54), ხორხე (გაბი 83), სიმეონე, იბაგასა, ნოვო, ნიკოლაიდისი (პაუნოვიჩი 68)

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

გაფრთხილება: სიმეონე, ალბელდა, სერხი, ლეკი, სერხი, გასპარი, სანტი

გაძევება: სერხი (51)

მსაჯი: ტურიენსო ალვარესი

45 000 მაყურებელი

### ალბასეტე 0:2 დეპორტივო

0:1 სკალონი (60), 0:2 ლუკე (62)

ალბასეტე: ალმუნია, ოსკარი, პაბლო, ბუადესი, პენია, ვიაუდი, პარი, პაბლო გარსია (დავიდ სანჩესი 54), პაჩეკო (მიკელი 77), მუნტიანუ (ფაბიანო 70), არანდა

მწვრთნელი: სეზარ ფერანდო

დეპორტივო: მოლინა, ექტორი, ჟორჟე ანდრადე, სესარი, რომერო, სკალონი, ვალერონი, მაურო სილვა, ფრანი (კაპდევილა 80), ტრისტანი (ვიქტორი 70), ლუკე (მუნიტისი 75)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

გაფრთხილება: ვიაუდი, მიკელი, ტრისტანი, სესარი, ვიქტორი, სკალონი

გაძევება: ექტორი (67)

მსაჯი:კარმონა მენდესი

15 000 მაყურებელი

### ოსასუნა 1:2 ბარსელონა

0:1 სავიოლა (43), 1:1 პუნიალი (66პ), 1:2 რონალდინიო (76)

ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, ანტონიო ლოპესი, კრუჩაგა, ხოსეჩო, ალფრედო, პუნიალი, ვალდო, მუნიოსი (სეგურო 77), ვებო (ბაკაიოკო 46), ალოიზი (ივან როსადო 63)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი, დავიდსი, ხავი, კოკუ, ლუის გარსია (კვარესმა 61), რონალდინიო, სავიოლა (ლუის ენრიკე 73)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ვალდესი, ანტონიო ლოპესი, მარკესი

გაძევება: ალფრედო (90), კვარესმა (90)

მსაჯი: პინო სამორანო

15 406 მაყურებელი



REUTERS

ოსასუნა — ბარსელონა. ხავი ისე გაიქცა, „ბარსელონა" მეოთხე ადგილზე აძვრა

### ბილბაო 2:1 მურსია

1:0 ურსაისი (12), 1:1 ლუის გარსია (14), 2:1 იესტე (44პ)

ბილბაო: ლაფუენტე, ხავი გონსალესი (არიაგა 66), ლუის პრიეტო, ა. კარანკა, დელ ორნო, ორბაისი, გურპეგი, ხ. ეჩებერია, იესტე (იულენ გერერო 86), ესკერო (ლაკრუსი 55), ურსაისი

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

მურსია: ბონანო, ხუანმა, კუადრადო, ურტადო, კლავერო, იენსენი, აკიარი, ლუის გარსია, განსედო (დ. კარანკა 73), რიჩი (პედრო ლარგო 83), ესნაიდერი (მიჩელი 63)

მწვრთნელი: ჟონ ტოშაკი

გაფრთხილება: იესტე, დელ ორნო, ურტადო

გაძევება: იენსენი (43)

მსაჯი: მუნის ფერნანდესი

32 000 მაყურებელი

### სელტა 2:1 ვილიარეალი

1:0, 2:0 მილოშევიჩი (18, 47), 2:1 ანდერსონი (85)

სელტა: კავალიერო, ველასკო, კასერესი (ბერიზო 80), სერხიო, სილვინიო, ლუქსენი, ჯოვანელა, ანხელი, მოსტოვოი, მილოშევიჩი, ილიჩი (ხოსე იგნასიო 74)

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, კოლოჩინი (როხერი 46), არუაბარენა, მარტი, ბატალია, გიარე (ხოსიკო 71), ხოსე მარი, ვიქტორი (ს. ანდერსონი 66)

მწვრთნელი: ბენიტო ფლორო

გაფრთხილება: კოლოჩინი, სილვინიო, კასერესი, ბელეტი, კიკე ალვარესი

მსაჯი: პერეს ლასა

18 000 მაყურებელი

### რასინგი 1:2 ბეტისი

1:0 ბენხამინი (6ს.კ.), 1:1 ბენხამინი (33), 1:2 ხოაკინი (90)

რასინგი: რიკარდო, კ. ალვარესი, პაბლო კასარი, ნერუ, აიოზი, მორანი, მატაბუენა, აფეკი (ხონათანი 69), ბენაიუნი (დიეგო მატეო 86), რეგუერო (ბოდიპო 81), ხავი გერერო

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

ბეტისი: პრატსი, ვარელა, ხუანიტო, ლემბო, მინგო, ხოაკინი, იტო (არზუ 57), ბენხამინი, დენილსონი (ისმაელი 72), ალფონსო, ფერნანდო (კაპი 57)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: ალვარესი, ხონათანი, რეგუერო

მსაჯი: დაუდენ იბანიესი

13 410 მაყურებელი

### სევილია 3:0 მალიორკა

1:0 ბაპტისა (50), 2:0 გალიარდო (55), 3:0 მარტი (85)

სევილია: ესტებანი, ხ. რედონდო, ხავი ნავარო, პაბლო ალფარო, დავიდ კასტედო, გალიარდო (ხესუს ნავასი 70), ბაპტისტა, მარტი, ანტონიო ლოპესი, ანტონიტო (კარლოსი 79), დარიო სილვა (პოდესტა 65)

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

მალიორკა: ლეო ფრანკო, ედუ მოია, ფ. ნინიო (ნადალი 56), ლუსენჰოფი, პოლი, ფინიდი, ნაგორე (კამპანო 52), კოლსა (პერეირა 63), ნენე, ბრუგინკი, დელიბაშიჩი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

გაფრთხილება: ნაგორე, ლუსენჰოფი, მარტი

მსაჯი: გონსალეს ვასკესი

35 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 2:0 ვალიადოლიდი

1:0 ტამუდო (56), 2:0 ფრედსონი (59)

ესპანიოლი: ლემენსი, ლოპო, დომორო, პოჩეტინიო, დავიდ გარსია, მორალესი (ტამუდო 54), ფრედსონი (პაჯი 77), მაქსი, დე ლა პენია, კრუიფი, რადუჩანუ (ალექსი 60)

მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი

ვალიადოლიდი: ბიზარი, ტორეს გომესი, ხონათანი, ჟულიო სეზარი, მარკოსი, ფ. სალესი (კარდეტი 68), რიკეტი, კამინერო (რაფა 88), სოუზა (საპატა 62), ოსკარი, ლოსადა

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

გაფრთხილება: სოუზა, პაჯი, დავიდ გარსია, ხონათანი

მსაჯი: მედინა კანტალეხო

21 200 მაყურებელი

### სარაგოსა — სოსიედადი

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

რონალდოსა და რობერტო კარლოსის გოლებით „რეალმა" შინ „მალაგას" სძლია და ლიდერობა შეინარჩუნა. „ვალენსია", რომელმაც ასევე შინ „ატლეტიკო" გაანადგურა, მეორეზე დარჩა.

გეხსომებათ, რომ „მალაგას" წინა ტურში „ვალენსიამ" გააწნა სილა — 6:1 მოუგო, ამ ტურში კი, თუ ეს შელავათია, მალაგელებმა უფრო მოკრძალებული ანგარიშით წააგეს.

პირველ გოლი, როგორც მოგახსენეთ, რონალდომ გაიტანა. მას საგოლე პასი მიჩელ სალგადომ მიაწოდა. სალგადომ კი ბურთი დევიდ ბექემისგან მიიღო. ბრაზილიელისთვის ეს გოლი საამსეზონო პრიმერადივიზიონში მეცხრამეტე იყო.

რობერტო კარლოსის გოლი, როგორც არაერთხელ მომხდარა, ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გავიდა. სხვათა შორის, რობერტო კარლოსამდე ბექემმა სამჯერ დაარტყა საჯარიმო და სამჯერვე მიზნამდე სულ ცოტა დააკლდა.

მალაგელები ხოსე ხუან ლუკეს ერთ საპასუხოს დასჯერდნენ და მართალია, „რეალმა" ერთბურთიანი სხვაობით მოუგო, სანერვიულო არაფერი ჰქონდა — „მალაგა" თუნდაც ერთი ქულის ამღები არ ჩანდა.

„ატლეტიკოსთვის" ვალენსიური მატჩი უცუდესი იყო ამ სეზონში, რის ერთ-ერთ მთავარ მიზეზადაც გუნდის თილისმის, ფერნანდო ტორესის არყოფნას თვლიან. თუმცა გარჯა არც „ვალენსიას" უნდა დავუკარგოთ — აკი ამ გუნდმა ბოლო ორ მატჩში ცხრა გოლი გაიტანა, ეს კი შემთხვევით არ ხდება.

„ათლეტებს" პირველი გოლი ვისენტეს პასით მისტამ გაუტანა. ამის მერე, ერთ ხანს, თითქოს მადრიდელებს კიდევ ჰქონდათ თამაშის გადარჩენის იმედი, მაგრამ სერხის გაძევებამ და ვისენტეს გოლმა მათ ყოველგვარი იმედი გადაუწურა. იმედის გადაწურვას კი მესამე გოლი მოჰყვა, რომლის ავტორიც ისევ მისტა გახდა.

მესამე ადგილზე კვლავ „დეპორტივოა" — გინდ მოეგო და გინდ წაეგო, მეოთხეადგილოსანთან გალისიელებს იმდენი ქულა აშორებთ, არაფერი ემუქრებათ.

ალბასეტეში „დეპორტივოს" ათი ფეხბურთელით მოუხდა თამაშის დასრულება. ექტორი კარლოს არანდას საჯარიმოში წაქცევისთვის გააძევეს და პენალტიც დანიშნეს. ექტორის თავგანწირვას ამაოდ არ ჩაუვლია — არანდამ თერთმეტმეტრიანი გააფუჭა.

თუმცა იმ დროისთვის „დეპორტივო" უკვე 2:0 იგებდა და ბევრიც არაფერი ემუქრებოდა.

მეოთხე ადგილზე კი როგორც იქნა, „ბარსელონა" აფოფხდა. კატალონიელებმა „ოსასუნა" პამპლონაშივე დაამარცხეს და ამ ამბავს რონალდინიოს გარეშე არ ჩაუვლია, გამარჯვების გოლი პატარა რონალდომ გაიტანა.

**კოტე კეკელია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 რეალი | 23 | 16 | 4 | 3 | 45:24 | 21 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 28:9 | 19 | 33 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:15 | 2 | 19 |
| 2 ვალენსია | 23 | 15 | 5 | 3 | 45:16 | 29 | 50 | 12 | 8 | 2 | 2 | 24:11 | 13 | 26 | 11 | 7 | 3 | 1 | 21:5 | 16 | 24 |
| 3 დეპორტივო | 23 | 14 | 4 | 5 | 39:17 | 22 | 46 | 12 | 9 | 1 | 2 | 23:9 | 14 | 28 | 11 | 5 | 3 | 3 | 16:8 | 8 | 18 |
| 4 ბარსელონა | 23 | 10 | 7 | 6 | 35:27 | 8 | 37 | 12 | 4 | 5 | 3 | 18:10 | 8 | 17 | 11 | 6 | 2 | 3 | 17:17 | 0 | 20 |
| 5 ბილბაო | 23 | 10 | 6 | 7 | 30:27 | 3 | 36 | 11 | 8 | 1 | 2 | 17:7 | 10 | 25 | 12 | 2 | 5 | 5 | 13:20 | -7 | 11 |
| 6 ატლეტიკო | 23 | 10 | 6 | 7 | 30:28 | 2 | 36 | 12 | 8 | 3 | 1 | 20:8 | 12 | 27 | 11 | 2 | 3 | 6 | 10:20 | -10 | 9 |
| 7 ოსასუნა | 23 | 8 | 10 | 5 | 24:19 | 5 | 34 | 12 | 5 | 4 | 3 | 16:13 | 3 | 19 | 11 | 3 | 6 | 2 | 8:6 | 2 | 15 |
| 8 ვილიარეალი | 23 | 9 | 6 | 8 | 29:27 | 2 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 16:11 | 5 | 19 | 12 | 4 | 2 | 6 | 13:16 | -3 | 14 |
| 9 ბეტისი | 23 | 8 | 8 | 7 | 30:25 | 5 | 32 | 12 | 3 | 6 | 3 | 14:13 | 1 | 15 | 11 | 5 | 2 | 4 | 16:12 | 4 | 17 |
| 10 რასინგი | 23 | 8 | 6 | 9 | 29:32 | -3 | 30 | 11 | 4 | 1 | 6 | 14:17 | -3 | 13 | 12 | 4 | 5 | 3 | 15:15 | 0 | 17 |
| 11 სოსიედადი | 22 | 8 | 6 | 8 | 28:32 | -4 | 30 | 12 | 5 | 4 | 3 | 15:14 | 1 | 19 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:18 | -5 | 11 |
| 12 ვალიადოლიდი | 23 | 7 | 8 | 8 | 28:33 | -5 | 29 | 11 | 5 | 4 | 2 | 14:10 | 4 | 19 | 12 | 2 | 4 | 6 | 14:23 | -9 | 10 |
| 13 სევილია | 23 | 7 | 7 | 9 | 31:26 | 5 | 28 | 11 | 6 | 2 | 3 | 18:10 | 8 | 20 | 12 | 1 | 5 | 6 | 13:16 | -3 | 8 |
| 14 მალიორკა | 23 | 8 | 3 | 12 | 28:42 | -14 | 27 | 12 | 4 | 3 | 5 | 17:23 | -6 | 15 | 11 | 4 | 0 | 7 | 11:19 | -8 | 12 |
| 15 მალაგა | 23 | 8 | 2 | 13 | 28:38 | -10 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 19:18 | 1 | 17 | 12 | 3 | 0 | 9 | 9:20 | -11 | 9 |
| 16 სელტა | 23 | 5 | 9 | 9 | 32:41 | -9 | 24 | 11 | 2 | 3 | 6 | 12:25 | -13 | 9 | 12 | 3 | 6 | 3 | 20:16 | 4 | 15 |
| 17 ალბასეტე | 23 | 6 | 4 | 13 | 23:34 | -11 | 22 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:12 | 4 | 17 | 11 | 1 | 2 | 8 | 7:22 | -15 | 5 |
| 18 სარაგოსა | 22 | 5 | 5 | 12 | 20:32 | -12 | 20 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:9 | -1 | 10 | 12 | 3 | 1 | 8 | 12:23 | -11 | 10 |
| 19 ესპანიოლი | 23 | 6 | 2 | 15 | 20:38 | -18 | 20 | 11 | 3 | 1 | 7 | 10:17 | -7 | 10 | 12 | 3 | 1 | 8 | 10:21 | -11 | 10 |
| 20 მურსია | 23 | 2 | 10 | 11 | 21:37 | -16 | 16 | 12 | 2 | 7 | 3 | 14:16 | -2 | 13 | 11 | 0 | 3 | 8 | 7:21 | -14 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 19 |
| მისტა (ვალენსია) | 13 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 12 |
| რაული (რეალი) | 9 |

### XXIV ტური

15 თებერვალი

ბარსელონა — ატლეტიკო
ბეტისი — სარაგოსა
დეპორტივო — ოსასუნა
რეალი — ვალენსია
სოსიედადი — ბილბაო
ვალიადოლიდი — სელტა
მალიორკა — ალბასეტე
ვილიარეალი — რასინგი
მურსია — სევილია
მალაგა — ესპანიოლი

## სეგუნდადივიზიონი

XXIII ტური

### ეიბარი 1:1 უელვა

0:1 იკერ ბეგონია (5), 1:1 ალანა (62)

### ლეგანესი 0:2 ლას პალმასი

0:1 რუბენი (55), 0:2 მომო (62)

### კადისი 0:1 მალაგა B

0:1 გეიხო (29)

### ელჩე 1:0 ლევანტე

1:0 მოიზესი (60)

### სპორტინგი 2:0 ალავესი

1:0 კ. დიასი (17), 2:0 რუბენი (86)

### რაიო ვალეკანო 2:1 ხერესი

1:0 იდიაკესი (27), 1:1 კატალია (58), 2:1 ბოლო (77)

### ტერასა 2:0 პოლი ეხიდო

1:0 დ. გალეგო (27), 2:0 ხუან კარლოსი (79)

### სიუდად მურსია 1:2 კორდობა

0:1 ვილა (13), 0:2 ოლივერა (85), 1:2 ლეანდრო (88)

### ალმერია 0:1 ხეტაფე

0:1 მიჩელი (75)

### ნუმანსია 0:0 სალამანკა

### ტენერიფე 0:0 ალხესირასი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორდობა | 23 | 6 | 10 | 7 | 20:21 | 28 |
| ალმერია | 23 | 6 | 10 | 7 | 25:27 | 28 |
| ლეგანესი | 23 | 6 | 9 | 8 | 22:28 | 27 |
| ლას პალმასი | 23 | 5 | 11 | 7 | 30:33 | 26 |
| სიუდად მურსია | 23 | 5 | 11 | 7 | 30:39 | 26 |
| ხერესი | 23 | 4 | 13 | 6 | 22:28 | 25 |
| რაიო ვალეკანო | 23 | 7 | 4 | 12 | 28:37 | 25 |
| პოლი ეხიდო | 23 | 6 | 6 | 11 | 19:29 | 24 |
| მალაგა B | 23 | 5 | 8 | 10 | 24:31 | 23 |
| ტენერიფე | 23 | 3 | 13 | 7 | 14:21 | 22 |
| ალხესირასი | 23 | 3 | 10 | 10 | 22:27 | 19 |
| სპორტინგი | 23 | 13 | 5 | 5 | 32:17 | 44 |
| ლევანტე | 23 | 11 | 8 | 4 | 25:13 | 41 |
| ნუმანსია | 23 | 10 | 7 | 6 | 30:17 | 37 |
| ეიბარი | 23 | 9 | 9 | 5 | 23:15 | 36 |
| ხეტაფე | 23 | 8 | 12 | 3 | 25:21 | 36 |
| ალავესი | 23 | 9 | 8 | 6 | 20:18 | 35 |
| კადისი | 23 | 10 | 4 | 9 | 28:22 | 34 |
| სალამანკა | 23 | 7 | 11 | 5 | 28:21 | 32 |
| ელჩე | 23 | 8 | 8 | 7 | 29:33 | 32 |
| უელვა | 23 | 6 | 13 | 4 | 24:20 | 31 |
| ტერასა | 23 | 8 | 6 | 9 | 25:27 | 30 |

# აფრიკის ეროვნებათა თასი 2004
## ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

**მეოთხედფინალი**

**მალი 2:1 გვინეა**

0:1 ფეინდუნო (15), 1:1 კანუტი (45), 2:1 დიარა (90)

**მალი:** მ. სიდიბე, დიამუტენე (მ. ტრაორე 90), ფ. დიავარა, ა. კულიბალი, ს. ტრაორე, მ. დიარა, ბ. ტურე (კეიტა 79), ს. კულიბალი, ჯ. სიდიბე, კანუტი, დ. ტრაორე (სისოკო 62)

**გვინეა:** კ. კამარა, სუმაჰი (სორი კონტე 75), ბალდე, სილა, ბაჰი, ფეინდუნო, სალამ სოუ (ბანგურა 90), უ. კამარა, იულა, ტ. კამარა, მანსარე

**მსაჯი:** ესამ აბდელ ფათაჰი (ეგვიპტე)

25 000 მაყურებელი

მალი აფრიკული მასშტაბით დიდი გუნდია, გვინეა კი დიდი არაფერი. მეოთხედფინალში რომ გააღწია, ეგეც ძალიან კარგ შედეგად ჩაუთვალეს. მაგრამ მოხდა ისე, რომ გვინეელთა ნახევარფინალში გასვლა უფრო სამართლიანი იქნებოდა, ვიდრე მალელთა და რაკი ნახევარფინალში სწორედ მალელები გავიდნენ, გვინეელთა მარცხი შეგვიძლია უიღბლობად მოვნათლოთ.

მთელი მატჩი გვინეელები გვარიან უპირატესობას ფლობდნენ და აუარება ნაღდი საგოლე მომენტები შექმნეს — იმდენი, რომ ჩამოთვლას აზრი არ აქვს. თუმცა მომენტების შექმნა ერთია და გამოყენება, მეორე. გვინეელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარის დალაშქვრა. ბორდოელმა ნახევარმცველმა პასკალ ფეინდუნომ ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა.

პირველ ტაიმში გვინეელებმა კიდევ სამი მომენტი შექმნეს, მალელებმა — ორი და წამატებულ დროში ფრედერიკ კანუტმა გათანაბრება შეძლო. ეს მისი მეოთხე გოლი იყო აფრიკის თასზე, რომელიც შუმან ბაჰის შეცდომის წყალობით გაიტანა.

მეორე ტაიმში უპირატესობას ისევ გვინეელები ფლობდნენ, ძირითადი დროის გასვლამდე ათი წუთით ადრე კი მძლავრი შტურმი წამოიწყეს და კიდევ ორი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს. მალელებმა შეტევას გაუძლეს, წამატებულ დროში კი სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა — მაჰამადუ დიარას უხიფათო დარტყმა გვინეელთა მეკარე კემოკო კამარას მკლავებში გაუძვრა და კარში შეგორდა. გვინეელებმა ნახევარფინალში ადგილი ამ ყოვლად სულელური გოლის გამო დაკარგეს.

„შედეგი ალბათ მაინც ლოგიკური იყო, რაკი ჩვენ გავძელით, მეტოქეს კი ნერვებმა უმტყუნეს" — თქვა კანუტმა. გვინეელთა მწვრთნელმა მიშელ დუსუიერმა კი სინანულით თავი გააქნია, ბედი არ გვაქვს, ორივე გოლი წამატებულ დროში გავუშვითო.



REUTERS ტუნისიდან

სენეგალელებმა ისეთი ამბავი ატეხეს, თამაშის ჩაშლაზეც არ იტყოდნენ უარს

# ოკოჩას საფირმო გახსოვს, როჟე, სენეგალი?

**ტუნისი 1:0 სენეგალი**

1:0 მნარი (65)

**ტუნისი:** ბუმნიჟელი, ბადრა, ჰაგუი, ჯაიდი, აიარი, ნაფტი, მნარი (ჩედლი 88), ბუაზიზი, ბენაშური, ჯაზირი (ბრაჰამი 78), დუშ სანტუში (მჰაჯები 90)

**სენეგალი:** ტ. სილვა, ბეიე, ფეიე, პ. მ. დიოპი, ლ. დიატა, ა. სისე, დიაო (ნიანგი 74), პ. ბ. დიოპი, ა. კამარა, საკო (დ. კამარა 85), დიუფი

**მსაჯი:** ალი ბუჯსაიმი (საამიროები)

55 000 მაყურებელი

ჩემპიონატის მასპინძლებმა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალისტები იაოჰარ მნარის კინკილა გოლით დაამარცხეს. ჟიად ჯაზირიმ ექსტრავაგანტული პასით — მაკრატელათი — უმეთვალყურეო მნარი საგოლე პოზიციაზე დატოვა და ამ უკანასკნელმაც თავი არ შეირცხვინა.

ეს მეტისმეტად აგრესიული მატჩი იყო. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მსაჯმა ძირითად დროს ათი წუთიც წაუმატა — ათ წუთს კი რიგითი პაუზების გამო არ უმატებენ. ერთ ეპიზოდში, როცა სენეგალელები არბიტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილონი დარჩნენ, გაწევ-გამოწევის ჩაცხრობას ოთხი წუთი დასჭირდა, ერთიორ წუთიან გარჩევებს კი სათვალავი არ ჰქონდა. მეკარე ტონი სილვამ კარს უკან ჩამჯდარი ფოტორეპორტიორები კინაღამ ჩაწიხლა, აფრიკის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა ელ-ჰაჯი დიუფმა კი ლამის მთელი თამაში კამათს მოანდომა. თუმცა რა იყო საკამათო, ძნელი გასარჩევი გახლდათ — მთელ მოედანზე მაშხალების ბოლი სქლად იყო ჩამოწოლილი.

ნამატჩევს ტუნისელთა მწვრთნელმა როჟე ლემერმა სენეგალელთა მიერ ყოველი სადავო ეპიზოდის გაპროტესტებაზე ირონიულად ილაპარაკა, თუმცა როცა ჰკითხეს, მუნდიალზე სენეგალელებმა თქვენი გაწვრთნილი საფრანგეთი რომ დაამარცხეს, როგორ იყოო, ნაღვლიანად თქვა, მაშინ სენეგალმა მოგება ნაღდად დაიმსახურაო.

სენეგალელები კი მსაჯს ერთხმად აგინებდნენ და ვინძლო მთლად მტყუანებიც არ იყვნენ.

**კამერუნი 1:2 ნიგერია**

1:0 ეტოო (42), 1:1 ოკოჩა (45), 1:2 უტაკა (73)

**კამერუნი:** კამენი, დუმბე, ჩატო (იდრისუ 62), რ. სონგი, მეტომო, ატუბა, მბამი, ჯერემი, ჯემბა-ჯემბა, ეტოო, მბომა (ნდიეფი 78)

**ნიგერია:** ენიეამა, იობო, ოკორონკვო, აბეი, უდეზე, კანუ (ენაკაჰირი 90), ოკოჩა, ლავალი, ოლოფინჯანა, უტაკა, ოდემვინჟი (იკედია 89)

**მსაჯი:** მოჰამედ გუეზაზი (მაროკო)

18 000 მაყურებელი

ამ მატჩის მერე გაირკვა, რომ აფრიკის თასს უეჭველად ახალი მფლობელი ეყოლება — ბოლო ჩემპიონი კამერუნი ბრძოლას გამოეთიშა.

არადა, კამერუნელები იგებდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს ჯერემი ნჯიტაპის წამოწყებული სწრაფი კონტრშეტევა სამუელ ეტოომ ცენტრალური მცველის ისააკ ოკორონკვოს მოტყუებით და გოლის გატანით დაასრულა. ეს გოლი ეტოოსთვის ამ ტურნირზე პირველი და უკანასკნელი გამოდგა.

ნიგერიელებმა საპასუხო გოლი სამ წუთში გაიტანეს, როცა ჯეიჯეი ოკოჩამ საფირმო საჯარიმო დარტყმა შეასრულა და მეორე ტაიმში ყველაფერ თავიდან დასაწყები გახდა.

ნიგერიელთა გამარჯვებისა ჯონ უტაკამ გაიტანა, ვინაც ნვანკვო კანუს პასი შეირგო, კამერუნელთა მეკარეს გამოვარდნა აცალა და შორეულ კუთხეში გაუტანა.

ნიგერიელებმა მეორე გოლი 73-ე წუთზე შეაგდეს, თამაშის დასრულებამდე 17 წუთით ადრე.

წინა დღით, სენეგალელებმა გოლი რომ გაუშვეს და გადაირივნენ, იმ ამბის გათვალისწინებით სავარაუდო იყო, რომ კამერუნელებიც გამალებულ შტურმზე გადაერთვებოდნენ. მაგრამ რა მოხდა — ითქოს არსად ეჩქარებათო, ისე გააგრძელეს თამაში. მართალია, რამდენიმე სახიფათო მომენტი კი შექმნეს, გოლს რომ თითქოს ალარაფერი უკლდა, მაგრამ თამაშის ტემპი იგივე დარჩა და არც შტურმი მოუწყვიათ. ისე ჩანდა, რომ ფეხბურთელებზე მეტად კამერუნელთა გერმანელი მწვრთნელი ვინი შეფერი ნერვიულობდა.

ამგვარად, კამერუნის დამარცხების მერე ნიგერია თასის მოგების უმთავრეს ფავორიტად იქცა. სახვათა შორის, ნიგერიელებმა ოთხი წლის წინ სწორედ ტუნისში მოიგეს ბოლოჯერ აფრიკის თასი და ახლა ნახევარფინალში ტუნისელებს ხვდებიან.

**მაროკო 3:1დ.დ.(1:1) ალჟირი**

0:1 ჩერადი (84), 1:1 ჩამახი (90), 2:1 ჰაჯი (113), 3:1 ზაირი (120)

**მაროკო:** ფუამი, უადა, ნაიბეტი, ელ კარკური (ი. ჰაჯი 86), არეგრაგი, კისი (იაკუბი 69), საფრი, მოხტარი, ხარჯა (ალიუ 90), ზაირი, ჩამახი

**ალჟირი:** გაუაუი, ბელუფა, არიბი, იაია, მანსური, კრაუში, ბელხადი (კ. ზიანი 72), აშიუ, მამუნი (ზაფური 98), ბუტაბუტი (აკრური 78), ჩერადი

**მსაჯი:** აბდულჰაკიმ შელმანი (ლიბია)

20 000 მაყურებელი

გვინეისა არ იყოს, მეოთხედფინალში ალჟირელთა გასვლაც მოულოდნელი ამბავი იყო. ჩრდილოაფრიკელებმა ჯგუფში მეზობელი ეგვიპტე — თასის ოთხგზის მფლობელი — ჩატოვეს და პლეი ოფში მეორე მეზობელს, მაროკოს გადაეყარნენ.

თამაში უგოლო ფრისკენ წავიდა, რაც ალჟირელებს უფრო აძლევდათ ხელს — ფავორიტად მაროკო ითვლებოდა.

ძირითადი დროის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კი პატარა სასწაული მოხდა, ალჟირელმა აბდელმალეკ ჩერადმა გაიტანა და მაროკოელთა საქმეც თითქოს საბოლოოდ წახდა, მაგრამ მაროკომ მოახერხა ის, რაც სენეგალმა და კამერუნმა ვერ შეძლეს — დარჩენილ წუთებში, კერძოდ მეოთხე წამატებულ წუთზე გაათანაბრეს და თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს. იქ კი საქმის ამგვარად შემობრუნებით ფრთაშესხმულმა მაროკოელებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს და ნახევარფინალში გავიდნენ. ისე, მაროკოელთა ბოლო გოლი ტრიბუნებზე მსხდომ ალჟირელ გულშემატკივრებს არ უნახავთ — ამ დროს პოლიციას გაშმაგებით ებრძოდნენ.

**კოტე კეკელია**

**ნახევარფინალი**

**11 თებერვალი**

**ტუნისი — ნიგერია**

**მალი — მაროკო**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მბომა (კამერუნი) | 4 |
| კანუტი (მალი) | 4 |
| დუშ სანტუში (ტუნისი) | 3 |
| პ. ნდლოვუ (ზიმბაბვე) | 3 |
| ტ. კამარა (გვინეა) | 3 |



REUTERS მონასტირიდან

ნიგერიელთა დამარცხებას სამუელ ეტოოს ერთი საგოლე გარღვევა არ ეყო



REUTERS ტუნისიდან

ტუნისელებმა გაიტანეს და გაილაღეს

## ბელგია

### იუპილერლიგა. XXI ტური

**ბრიუგე 4:0 ატვერპენი**

1:0 ვერჰეიენი (37), 2:0 ნ. ჩეჰი (73), 3:0 დე ოლივიერა (86), 4:0 მენდოსა (89)

**ბევერენი 2:3 ანდერლეხტი**

1:0 კაიპერი (25), 2:0 რომარიჩი (54), 2:1 დინდანე (66), 2:2 იაშჩუკი (78), 2:3 ბასეჯიო (83)

**შარლერუა 2:2 ლუვიე**

1:0 კაჩატორე (17), 1:1 მარსი (75), 1:2 ვერვალე (80), 2:2 დეტალი (90)

**ბეერსხოტი 2:1 სერკლ ბრიუგე**

0:1 დე ვულფი (7), 1:1 კამარა (68), 2:1 სნელდერსი (86)

**ჰეუსდენი 1:1 გენტი**

0:1 იარაკოვიჩი (9), 1:1 ეუვრარი (63)

**ლოკერენი 0:0 მონსი**

**სტანდარდი 1:1 ლიერსი**

1:0 ალიუ-დატი (13), 1:1 ტომპსონი (89)

**ვესტერლო 3:0 სენტ ტრუიდენი**

1:0, 2:0 პაესი (16, 63), 3:0 ვოტსი (70ს.კ.)

**მუსკრონი — გენკი**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 21 | 19 | 1 | 1 | 55:17 | 58 |
| სტანდარდი | 21 | 12 | 6 | 3 | 40:19 | 42 |
| გენკი | 20 | 10 | 5 | 5 | 40:26 | 35 |
| მუსკრონი | 20 | 9 | 8 | 3 | 40:26 | 35 |
| ბრიუგე | 20 | 10 | 4 | 6 | 41:23 | 34 |
| ვესტერლო | 21 | 9 | 7 | 5 | 27:25 | 34 |
| ბეერსხოტი | 21 | 7 | 7 | 7 | 20:24 | 28 |
| სენტ ტრუიდენი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:30 | 28 |
| გენტი | 21 | 6 | 9 | 6 | 22:21 | 27 |
| ბევერენი | 21 | 8 | 2 | 11 | 29:34 | 26 |
| ლუვიე | 20 | 5 | 10 | 5 | 27:26 | 25 |
| ლიერსი | 21 | 4 | 11 | 6 | 22:25 | 23 |
| სერკლი | 21 | 5 | 8 | 8 | 19:33 | 23 |
| ლოკერენი | 21 | 4 | 7 | 10 | 22:33 | 19 |
| მონსი | 21 | 3 | 9 | 9 | 20:31 | 18 |
| ჰეუსდენი | 21 | 4 | 6 | 11 | 20:35 | 18 |
| შარლერუა | 21 | 3 | 7 | 11 | 18:28 | 16 |
| ანტვერპენი | 21 | 3 | 4 | 14 | 14:44 | 13 |

### II კლასი. XXIII ტური

დესელი — ვიზეტი 1:3; სპორტინგი — ვიგორი 1:1; ეუპენი — რუზელარე 0:1; ბრიუსელი — გეელი 2:1; დაინცე — ტუბეკე 1:1; პატრო — ვირტონი 0:0; დენდერლეუ — ვარეგემი 0:1; რონსე — აალსტი 0:0; ტინენი — ოსტენდე 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუსელი | 23 | 14 | 5 | 4 | 49:18 | 47 |
| ოსტენდე | 23 | 13 | 6 | 4 | 48:29 | 45 |
| რუზელარე | 23 | 13 | 5 | 5 | 47:27 | 44 |
| ტუბიცე | 23 | 11 | 8 | 4 | 42:18 | 41 |
| ვარეგემი | 23 | 12 | 4 | 7 | 43:28 | 40 |
| დესელი | 23 | 12 | 3 | 8 | 35:28 | 39 |
| გეელი | 23 | 11 | 5 | 7 | 30:26 | 38 |
| ვიგორი | 23 | 9 | 6 | 8 | 31:33 | 33 |
| აალსტი | 23 | 8 | 8 | 7 | 36:37 | 32 |
| ვიზეტი | 23 | 9 | 4 | 10 | 31:37 | 31 |
| პატრო | 23 | 7 | 9 | 7 | 30:32 | 30 |
| ეუპენი | 23 | 7 | 7 | 9 | 24:29 | 28 |
| ვირტონი | 22 | 6 | 8 | 8 | 20:26 | 26 |
| სპორტინგი | 23 | 5 | 9 | 9 | 33:38 | 24 |
| დაინცე | 22 | 6 | 4 | 12 | 22:35 | 22 |
| რონსი | 23 | 3 | 7 | 13 | 13:37 | 16 |
| ტინენი | 23 | 4 | 3 | 16 | 20:49 | 15 |
| დენდერლეუ | 23 | 1 | 9 | 13 | 22:49 | 12 |

## მექსიკა

### კლაუსურა. IV ტური

ტოლუკა — მორელია 2:0; ვერაკრუსი — ატლასი 1:1; კრუზ ასული — სან ლუისი 1:4; ტიგრესი — კერეტარო 1:2; გვადალახარა — პაჩუკა 1:0; ნეკაქსა — ხაგუარესი 0:1; უნამი — სანტოს ლაგუნა 3:2. *ირაპუატო — მონტერეი, პუებლა — ატლანტე და ტეკოსი — ამერიკა წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

## ამხანაგური მატჩები

**იაპონია 4:0 მალაიზია**

1:0 ოგასავარა (11), 2:0 მიამოტო (38), 3:0 იამადა (45), 4:0 ენდო (46)

**ჩინეთი 2:1 ფინეთი**

1:0 იუნინგი (8), 1:1 კოპტეფი (37), 2:1 ენხუა (41)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. XX ტური

**აიაქსი 2:1 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (42), 1:1 სნეიდერი (51), 2:1 მიტია (61)

**ვიტესი 0:0 ფეიენოორდი**

**ტილბურგი 1:0 დენ ჰააგი**

1:0 პადური (50)

**გრონინგენი 2:0 ნაიმეგენი**

1:0 არვიდ სმიტი (59), 2:0 დე ვიტე (90)

**ჰერენვენი 3:4 ბრედა**

1:0 სელაკოვიჩი (15), 1:1 ვოსი (27), 2:1 კნოპერი (39), 3:1 სიბონი (42), 3:2 დიბა (49), 3:3 ჩ. ფეჰერი (68), 3:4 ვოსი (83პ)

**ალკმაარი 3:0 ვოლენდამი**

1:0 ვან გალენი (5), 2:0 ჰიუსგემსი (14), 3:0 ელხატაბი (80)

**ტვენტე 2:0 ზვოლე**

1:0 ნკუფო (63), 2:0 გახოკიძე (85)

**როზენდალი 1:3 ვალვაიკი**

0:1 კორნელისე (4), 0:2 ჰუგენდორპი (25), 1:2 დაელემანსი (26), 1:3 ბუტაჰარი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 19 | 16 | 1 | 2 | 48:18 | 49 |
| პსვ | 20 | 14 | 4 | 2 | 55:16 | 46 |
| ფეიენოორდი | 20 | 11 | 5 | 4 | 38:26 | 38 |
| ალკმაარი | 20 | 11 | 3 | 6 | 38:21 | 36 |
| ტვენტე | 20 | 10 | 2 | 8 | 38:33 | 32 |
| ტილბურგი | 20 | 9 | 5 | 6 | 30:28 | 32 |
| ჰერენვენი | 18 | 9 | 2 | 7 | 24:23 | 29 |
| როდა | 18 | 7 | 6 | 5 | 32:23 | 27 |
| როზენდალი | 19 | 7 | 6 | 6 | 21:21 | 27 |
| უტრეხტი | 19 | 7 | 5 | 7 | 24:23 | 26 |
| ბრედა | 19 | 7 | 4 | 8 | 33:31 | 25 |
| ვალვაიკი | 20 | 6 | 5 | 9 | 28:27 | 23 |
| გრონინგენი | 19 | 6 | 5 | 8 | 24:28 | 23 |
| ნაიმეგენი | 20 | 7 | 1 | 12 | 22:33 | 22 |
| ვოლენდამი | 20 | 4 | 4 | 12 | 20:54 | 16 |
| ვიტესი | 20 | 2 | 9 | 9 | 23:34 | 15 |
| დენ ჰააგი | 19 | 3 | 4 | 12 | 13:40 | 13 |
| ზვოლე | 20 | 1 | 5 | 14 | 11:43 | 8 |

### II დივიზიონი. XXI ტური

მაასტრიხტი — ტელსტარი 1:0; კამბური — ჰელმონდი 2:1; გრააფსხაპი — სპარტა 1:0; ექსელსიორი — ემენი 2:1; დენ ბოსხი — ჰაარლემი 4:2; ეინდჰოვენი — დორდრეხტი 1:1; ოსი — აპელდორნი 1:0; ვეენდამი — სიტარდი 2:2; ჰერაკლესი — ვენლო 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელმონდი | 20 | 13 | 4 | 3 | 43:21 | 43 |
| ექსელსიორი | 21 | 13 | 4 | 4 | 37:20 | 43 |
| დენ ბოსხი | 21 | 13 | 3 | 5 | 50:27 | 42 |
| სპარტა | 21 | 13 | 2 | 6 | 48:23 | 41 |
| ჰერაკლესი | 20 | 10 | 6 | 4 | 41:24 | 36 |
| გრააფსხაპი | 21 | 10 | 6 | 5 | 34:25 | 36 |
| ტელსტარი | 21 | 11 | 3 | 7 | 39:34 | 36 |
| ვენლო | 21 | 11 | 2 | 8 | 41:35 | 35 |
| ემენი | 20 | 9 | 6 | 5 | 32:28 | 33 |
| იგლსი | 20 | 7 | 5 | 8 | 46:39 | 26 |
| ოსი | 21 | 7 | 5 | 9 | 35:38 | 26 |
| ვეენდამი | 21 | 7 | 5 | 9 | 28:44 | 26 |
| აპელდორნი | 21 | 5 | 8 | 8 | 33:30 | 23 |
| ჰაარლემი | 21 | 5 | 4 | 12 | 23:39 | 19 |
| კამბური | 21 | 5 | 4 | 12 | 21:41 | 19 |
| დოორდრეხტი | 21 | 2 | 10 | 9 | 20:32 | 16 |
| სიტარდი | 20 | 3 | 7 | 10 | 26:46 | 16 |
| მაასტრიხტი | 21 | 3 | 6 | 12 | 21:51 | 15 |
| ეინდჰოვენი | 21 | 1 | 8 | 12 | 22:43 | 11 |

## თურქეთი

მე-20 ტური: ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში 1:1; დენიზლი — სამსუნი 1:0; დიარბაქირი — კონია 1:1; მალათია — რიზე 0:1; ელაზიგსფორი — ფენერბაჰჩე 0:1; გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი 2:0; ისთანბული — სებათი 1:3; ტრაბზონი — ადანა 2:1; გალათასარაი — ბურსა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 19 | 14 | 5 | 0 | 44:16 | 47 |
| ფენერბაჰჩე | 20 | 13 | 5 | 2 | 45:23 | 44 |
| დენიზლი | 20 | 11 | 3 | 6 | 35:23 | 36 |
| გალათასარაი | 20 | 9 | 7 | 4 | 30:23 | 34 |
| ტრაბზონი | 20 | 10 | 4 | 6 | 29:27 | 34 |
| გაზიანთეფი | 20 | 10 | 2 | 8 | 28:27 | 32 |
| მალათია | 20 | 8 | 7 | 5 | 31:22 | 31 |
| დიარბაქირი | 20 | 8 | 6 | 6 | 30:26 | 30 |
| გენჩლერი | 20 | 8 | 3 | 9 | 35:27 | 27 |
| სამსუნი | 19 | 7 | 5 | 7 | 28:31 | 26 |
| კონია | 20 | 5 | 10 | 5 | 29:30 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 6 | 5 | 9 | 29:35 | 23 |
| ისთანბული | 20 | 6 | 4 | 10 | 29:30 | 22 |
| სებათი | 20 | 5 | 6 | 9 | 25:32 | 21 |
| რიზე | 20 | 6 | 3 | 11 | 19:33 | 21 |
| ბურსა | 20 | 2 | 8 | 10 | 16:26 | 14 |
| ადანა | 20 | 3 | 3 | 14 | 17:42 | 12 |
| ელაზიგი | 20 | 2 | 6 | 12 | 20:46 | 12 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXI ტური

**პორტუ 2:1 ლეირია**

1:0 მანიშე (18), 2:0 მ. კუნია (34), 2:1 ფრედი სანტუში (77)

**ნასიონალი 3:3 სპორტინგი**

0:1 ზა პინტუ (39), 1:1 გუვეია (42), 2:1 ლუზადა (43), 2:2 ნიკულაე (63), 2:3 ლოურენსუ (74), 3:3 კ. ალვარესი (87)

**ჟილ ვისენტე 1:0 ბრაგა**

1:0 ჟ. ფერეირა (42)

**ბეირა მარი 1:1 რიუ ავე**

1:0 ვიინჰარდი (8), 1:1 აკინო (26)

**მარიტიმუ 2:0 ფერეირა**

1:0 ალან სილვა (43), 2:0 როდრიგაუ (61)

**მორეირენსე 1:0 ამადორა**

1:0 ლომბა (19)

**აკადემიკა 1:1 გიმარაეში**

0:1 რ. დიასი (2), 1:1 ფელიჩიო (53პ)

**ბელენენსეში — ბენფიკა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**ბოავიშტა — ალვერკა**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 21 | 17 | 4 | 0 | 47:13 | 55 |
| სპორტინგი | 21 | 15 | 3 | 3 | 42:22 | 48 |
| ბენფიკა | 20 | 13 | 4 | 3 | 40:19 | 43 |
| ბეირა მარი | 21 | 10 | 5 | 6 | 31:25 | 35 |
| ბრაგა | 21 | 10 | 4 | 7 | 22:26 | 34 |
| მარიტიმუ | 21 | 8 | 9 | 4 | 24:20 | 33 |
| ნასიონალი | 21 | 9 | 4 | 8 | 36:23 | 31 |
| ბოავიშტა | 20 | 8 | 7 | 5 | 19:15 | 31 |
| რიუ ავე | 21 | 7 | 8 | 6 | 24:19 | 29 |
| მორეირენსე | 21 | 7 | 6 | 8 | 18:24 | 27 |
| ჟილ ვისენტე | 21 | 6 | 7 | 8 | 29:26 | 25 |
| ლეირია | 21 | 6 | 5 | 10 | 25:34 | 23 |
| ბელენენსეში | 20 | 4 | 8 | 8 | 25:35 | 20 |
| ალვერკა | 20 | 5 | 4 | 11 | 20:27 | 19 |
| გიმარაეში | 21 | 3 | 8 | 10 | 20:28 | 17 |
| ფერეირა | 21 | 5 | 2 | 14 | 13:33 | 17 |
| აკადემიკა | 21 | 4 | 4 | 13 | 16:28 | 16 |
| ამადორა | 21 | 3 | 2 | 16 | 14:48 | 11 |

### მეორე ლიგა. XXI ტური

სალგეირუში — ნავალი 2:0; ეშტორილი — პორტიმონენსე 0:0; ფელგეირაში — ფეირენსე 0:1; ავეში — პენაფიელი 1:0; მარკუ — მადეირა 2:2; ოვაირენსე — ლეიშოეში 2:2; სანტა კლარა — კოვილია 0:1; მაია — ვარზიმი 1:2; სეტუბალი — შავეში 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეშტორილი | 22 | 13 | 4 | 5 | 37:22 | 43 |
| სეტუბალი | 21 | 10 | 9 | 2 | 42:29 | 39 |
| ვარზიმი | 20 | 12 | 3 | 5 | 29:20 | 39 |
| ნავალი | 21 | 9 | 6 | 6 | 34:25 | 33 |
| პენაფიელი | 21 | 9 | 6 | 6 | 30:23 | 33 |
| სალგეირუში | 20 | 9 | 4 | 7 | 32:27 | 31 |
| ავეში | 21 | 9 | 3 | 9 | 30:34 | 30 |
| ფეირენსე | 21 | 7 | 8 | 6 | 32:28 | 29 |
| მაია | 22 | 8 | 5 | 9 | 35:37 | 29 |
| შავეში | 21 | 7 | 8 | 6 | 24:30 | 29 |
| სანტა კლარა | 21 | 7 | 7 | 7 | 27:26 | 28 |
| ფელგეირაში | 21 | 7 | 5 | 9 | 22:24 | 26 |
| პორტიმონენსე | 21 | 6 | 7 | 8 | 26:27 | 25 |
| ლეიშოეში | 21 | 5 | 10 | 6 | 25:30 | 25 |
| ოვაირენსე | 21 | 5 | 8 | 8 | 29:34 | 23 |
| მარკუ | 20 | 4 | 5 | 11 | 19:33 | 17 |
| მადეირა | 21 | 2 | 10 | 9 | 24:34 | 16 |
| კოვილია | 20 | 4 | 2 | 14 | 17:31 | 14 |

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XX ტური

ოფი — არისი 3:0; აეკ — პანიონიოსი 0:1; აკრატიტოსი — პროდეფტიკი 1:0; ირაკლისი — ეგალეო 2:1; კალითეა — ხალკიდონა 2:3; ოლიმპიაკოსი — ქსანთი 4:1; პაოკ — პანილიაკოსი 3:0; იონიკოსი — პანათინაიკოსი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 20 | 16 | 2 | 2 | 51:13 | 50 |
| პანათინაიკოსი | 20 | 15 | 4 | 1 | 39:13 | 49 |
| პაოკ | 20 | 13 | 4 | 3 | 35:17 | 43 |
| ეგალეო | 20 | 10 | 6 | 4 | 24:15 | 36 |
| აეკ | 20 | 10 | 5 | 5 | 40:20 | 35 |
| ხალკიდონა | 20 | 9 | 5 | 6 | 30:26 | 32 |
| ირაკლისი | 20 | 9 | 5 | 6 | 28:25 | 32 |
| პანიონიოსი | 20 | 7 | 9 | 4 | 26:19 | 30 |
| ოფი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:32 | 23 |
| ქსანთი | 20 | 6 | 4 | 10 | 19:29 | 22 |
| იონიკოსი | 20 | 5 | 4 | 11 | 22:30 | 19 |
| არისი | 20 | 5 | 4 | 11 | 17:29 | 19 |
| პანილიაკოსი | 20 | 3 | 6 | 11 | 24:38 | 15 |
| კალითეა | 20 | 1 | 9 | 10 | 22:33 | 12 |
| აკრატიტოსი | 20 | 2 | 5 | 13 | 18:54 | 11 |
| პროდეფტიკი | 20 | 1 | 7 | 12 | 11:35 | 10 |

# იუვე სავიოლას მოჯავს


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუჩანო მოჯი ხავიერ სავიოლას „იუვენტუსს“ უმზადებს

„**იუვენტუსის**“ შესახებ ახალი ის ითქვა, ზაფხული რომ მოვა, ტურინელები „ბარსელონასგან“ არგენტინელ ხავიერ სავიოლას იყიდიანო. ის, რომ „ბებერ ქალბატონს“ 22 წლის შემტევი ნახევარმცველი დიდი ხანია მოსწონს, ცნობილი ამბავია და ცნობილი გახლდათ ისიც, რომ იტალიელები კატალონიელებთან სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. ამასთან, სავიოლაც მაინცდამაინც ვერ შეეწყო „ბარსას“, უფრო სწორედ კი მის ჰოლანდიელ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს. არგენტინული გაზეთების მიხედვით კატალონიელებს ერთი კი არა, ბევრი ევროპული კლუბი სთავაზობს თავის ვარიანტს.

გავიხსენოთ: დეკემბერში სავიოლას „ინტერსა“ და „მილანს“ უკავშირებდნენ. თუმცა ახლა როგორც ჩანს, საქმეში თვით „იუვენტუსის“ სატრანსფერო საქმეთა დიდოსტატი ლუჩანო მოჯი ჩაერთო. გავიხსენოთ ისიც, რომ „ბარსელონასა“ და „იუვენტუსს“ შორის შედეგიანი თანამშრომლობა უკვე დაწყებულია — „ბებერმა ქალბატონმა“ კატალონიაში ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი იჯარით გაუშვა.

**პაპუნა ძიძია**

## შოტლანდია

### ასოციაციის თასი
### 1/8 ფინალი

**ფოლკირკი 0:2 აბერდინი**

0:1 ზდრილიჩი (60), 0:2 ბუთი (64)

**ჰართსი 0:3 სელტიკი**

0:1, 0:2 ს. პეტროვი (3, 33), 0:3 ლარსონი (90)

**მოზერუელი 3:2 ძუინი**

1:0 ადამსი (33), 2:0, 3:0 ბარნსი (18, 45), 3:1, 3:2 ოკონორი (65, 69)

**პარტიკი 5:1 ჰამილტონი**

1:0 მიტჩელი (40), 2:0, 3:0 ბრიტოლი (54, 62), 4:0 მაკბრაიდი (81), 5:0 ბონსი (84), 5:1 კორკორანი (90)

**სენტ მირენი 0:1 ინვერნესი**

0:1 ტომსონი (78)

**კილმარნოკი 0:2 რეინჯერსი**

0:1 დე ბური (62), 0:2 არველაძე (67პ)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მორის როსი, კ. მური, ბერგი, ბოლი, რიკსენი, არტეტა (ვანოლი 63), ნერლინგერი (ოსტენსტადი 63), ნუნუ კაპუშუ (ნამუში 88), რ. დე ბური, არველაძე

**ზურაბ ხიზანიშვილი**

*სათადარიგო იყო*

მწვრთნელი: ალექს მაკლიში
მსაჯი: მაკდონალდი
10 200 მაყურებელი

**სპარტანსი 0:4 ლივინგსტონი**

0:1 ლილეი (53), 0:2 ფერნანდესი (59), 0:3, 0:4 ლილეი (61, 70)

**კლაიდი — დანფერმლაინი**

*1:2-ზე ჩაიშალა*

### 1/4 ფინალის წილისყრა

აბერდინი — ლივინგსტონი; სელტიკი — რეინჯერსი; პარტიკი — კლაიდი ან დანფერმლაინი; მოზერუელი — ინვერნესი

*მატჩები გაიმართება 6-7 მარტს*

### I დივიზიონი

გადადებული მატჩი: რეითი — როსი 0:0

### II დივიზიონი

გადადებული მატჩები: ალოა — არბროთი 4:0; დამბარტონი — ბერვიკი 4:1; ისტ ფაიფი — ერდრი 0:1; ფორფარი — მორტონი 2:1

### III დივიზიონი

22-ე ტური: ალბიონი — მონტროუზი 3:0; კოუდენბითი — ქუინზ პარკი 5:1; ელგინი — გრეტნა 1:1; სტირლინგი — პიტერჰედი 0:2; სტრანრარი — ისტ სტირლინგი 7:1



REUTERS

ჰართსი — სელტიკი. სტილიან პეტროვმა მასპინძელთა ფილ სტამპს ბურთი არ დაანახა



# დიდები მიდიან

## მიხეილ ქორქიას გული მოედანზე იდო

შაბათს გარდაიცვალა მიხეილ ქორქია, დიდი ქართველი კალათბურთელი, მოუღლელი, ემოციური და ერთგული კაპიტანი. უტეხი და მშრომელი ლიდერი 70-იანი წლების თბილისის „დინამოსი“. ასეთებზე უცხოელები იტყვიან, ეს იყო სპორტსმენი „NEVER SAY DIE“, ანუ მოთამაშე, რომელიც არასოდეს დაჰყაბულდება დამარცხებას, სიკვდილს; ანუ დამარცხება სიკვდილს უდრის.

სიკვდილმა მაინც წაიყვანა მიხეილ ქორქია — ადამიანი, რომელიც განიცდიდა და განცდებს არ მალავდა. კალათბურთელი, რომელიც არ ტყდებოდა და რომლის არა მხოლოდ თამაში, არამედ ხმაც, შეძახილიც გვახსოვს. მისი გული მოედანზე იდო, ამ გულს ბევრი ჭრილობა ჰქონდა.

საქართველოს ჰყავდა ორი ოლიმპიური ჩემპიონი კალათბურთში: ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია. ამ ზამთარს ორივე გამოეთხოვა წუთისოფელს. ათიოდ დღის წინ, მიხეილ ქორქია დარდიანი და მღელვარე იდგა ზურაბ საკანდელიძის დაკრძალვაზე, ახლა ის გარდაიცვალა. ეს სურათი უკვე შემაძრწუნებლად სევდიანია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა დიდი კალათბურთელი,
ოლიმპიური ჩემპიონი და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი
**მიხეილ ქორქია**
და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს



ნიუჯერსელი კენიონ მარტინი ორლანდოელმა ჯუონ ჰოვარდმა და ზაზა ფაჩულიამ შემოსალტეს

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ორლანდოს ლანდი გაშვიდა
## ფაჩულია აღარ ჩერდება

— 6 თებერვალი —

**ნიუ ჯერსი 120:99 ორლანდო**
ნიუ ჯერსი: კიდი (18 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა), კიტლზი (17), ჯეფერსონი (15), მარტინი (18 ქულა, 15 მოხსნა), კოლინზი (6); ა. უილიამსი (17), როჯერსი (10), პლანინიჩი (8), ჰარისი (7), სკალაბრინი (4), არმსტრონგი, დევისი
ორლანდო: ლუ (10), რიგიჩეკი (15), ბოგანსი (4), ჰოვარდი (24), დეკლერკი (4); სტრიკლენდი (15), ფაჩულია (26 წუთი, 11 ქულა, 9 მოხსნა, 1 დაფარება), გუდენი (8), ჰანტერი (4), შ. უილიამსი (2), გეინისი (2)

**გოლდენ სტეიტი 96:87 დენვერი**
გოლდენ სტეიტი: კლაქსტონი (25), რიჩარდსონი (15), კარდინალი (14 ქულა, 11 მოხსნა), რობინსონი (15), დამპიე (14 ქულა, 14 მოხსნა); ჩინი (9), ჯონსონი (4), ფოილი, პიეტრუსი
დენვერი: მილერი (12), ლენარდი (11), ენტონი (24), ნენე (10), კემბი (8 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი, 3 დაფარება); ვაიტი (10), ბერი (8), ბოიკინსი (4), ანდერსენი

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**იუტა 73:87 პორტლენდი**
იუტა: აროიო (10), სტივენსონი (13), რუფინი (2), კირილენკო (14 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), ოსტერტაგი (8); ლოპესი (7), მური (7), ბელი (6), კოლინზი (4), უილიამსი (2), პავლოვიჩი
პორტლენდი: სტუდემაიერი (14), ანდერსონი (11), მაილზი (10), რენდოლფი (19 ქულა, 14 მოხსნა), ვოლესი (16); პერსონი (7), დევისი (4), პატერსონი (4), კუკი (2), გილი, ვუდსი

სტეფანია სათადარიგო იყო

**საკრამენტო 94:102 სან ანტონიო**
საკრამენტო: ბიბი (20), სტოიაკოვიჩი (20), დივაცი (20)
სან ანტონიო: დანკანი (28 ქულა, 14 მოხსნა), პარკერი (20), ჯინობილი (15)

**ფინიქსი 105:107 სიეტლი**
ფინიქსი: მერიონი (27), ჯონსონი (22), ბარბოსა (21)
სიეტლი: რადმანოვიჩი (23 ქულა, 10 მოხსნა), ლუისი (23), ალენი (18)

**ჰიუსტონი 82:80 ჩიკაგო**
ჰიუსტონი: მინგი (22)
ჩიკაგო: კარი (21)

**მემფისი 105:85 მილუოკი**
მემფისი: გასოლი (27 ქულა, 12 მოხსნა, 7 დაფარება), პოუზი (21 ქულა, 11 მოხსნა)
მილუოკი: რედი (20), ტომასი (18)

**მინესოტა 103:92 კლივლენდი**
მინესოტა: გარნეტი (35 ქულა, 12 მოხსნა), სპრიუელი (24)
კლივლენდი: მაკინისი (21), ილგაუსკასი (18), ბუზერი (17)

**ნიუ ორლეანი 92:81 დეტროიტი**
ნიუ ორლეანი: მაშბურნი (22 ქულა, 10 მოხსნა)
დეტროიტი: ვოლესი (14 ქულა, 13 მოხსნა)

**ტორონტო 77:83 ინდიანა**
ტორონტო: მარშალი (24 ქულა, 10 მოხსნა), კარტერი (18)
ინდიანა: არტესტი (27), ონილი (20 ქულა, 14 მოხსნა)

**ბოსტონი 96:100 ატლანტა**
ბოსტონი: პირსი (28)
ატლანტა: ჯეკსონი (23), აბდურ-რაჰიმი (22)

**ვაშინგტონი 112:100 კლიპერსი**
ვაშინგტონი: არენასი (25), სტეკჰაუზი (23), ბრაუნი (22), ჰიუზი (21 ქულა, 12 მოხსნა)
კლიპერსი: რიჩარდსონი (24), მეჯიტი (22)

— 7 თებერვალი —

**მაიამი 64:76 ნიუ იორკი**
მაიამი: ოდომი (18 ქულა, 14 მოხსნა)
ნიუ იორკი: მარბერი (16)

**ატლანტა 77:86 ჰიუსტონი**
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (20), ს. ჯეკსონი (16)
ჰიუსტონი: ფრენსისი (24), ჯ. ჯეკსონი (18)

**მილუოკი 107:97 ნიუ ორლეანი**
მილუოკი: რედი (25), სკინერი (17)
ნიუ ორლეანი: მალუა (20), მაშბურნი (16)

**ფინიქსი 92:96 იუტა**
ფინიქსი: სტუდემაიერი (20 ქულა, 10 დაფარება, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა), იაკობსენი (18)
იუტა: კირილენკო (21 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), აროიო (16)

**დალასი 111:108 დეტროიტი**
დალასი: ნოვიცკი (40), ნეში (29 ქულა, 11 პასი)
დეტროიტი: ბილაფსი (17), ჰამილტონი (16)

**კლივლენდი 88:106 ვაშინგტონი**
კლივლენდი: ბუზერი (19)
ვაშინგტონი: არენასი (26), ბრაუნი (20 ქულა, 10 მოხსნა), სტეკჰაუზი (19 ქულა, 11 პასი)

**ფილადელფია 80:110 ბოსტონი**
ფილადელფია: რობინსონი (19), აივერსონი (15)
ბოსტონი: პირსი (35), დევისი (20), მაკარტი (16 ქულა, 9 მოხსნა, 7 ჩაჭრა, 5 პასი)

„ტორონტოსთან“ 14 ქულით თავგამოჩენილმა ზაზა ფაჩულიამ „ნიუ ჯერსისთანაც“ ორნიშნა რიცხვით გამოსახა თავისი მონაგარი, 26 წუთში 11 ქულა ჩააგდო — ისე, მეტიც შეეძლო — მაგრამ კვლავ ვერ უშველა თავის „ორლანდოს“.

ტრეისი მაკგრეიდის გარეშე უნიჩბოდ და უიალქნოდ ოკეანეში მიტოვებული „ორლანდო“ კაშალოტივით ვეება თან დამშეულ „ნიუ ჯერსის“ გადააწყდა და პირველი მეოთხედის 3 ქულით წაგებაზე მეტი ვერაფერი მოახერხა. ახალ მწვრთნელ ლოურენს ფრენკის ხელში ზედიზედ ვიცე-ჩემპიონი „ნიუ ჯერსი“ საკადრისად ათამაშდა და ზედიზედ მეშვიდედ მოიგო. ამ შვიდიდან ექვსი სწორედ სოფმორ-სტუდენტივით იერის ფრენკზე მოდის. ამ ყმაწვილს კოჭებშივე ეტყობა, მწვრთნელობის საშარო საქმეში მთლად ახაბედას რეპუტაციით რომ არ დამკვიდრდება. მეარქივეებმა მტვერდადებულ ფურცლებს გადახედეს და გვამცნეს — ლოურენს ფრენკი ნბა-ს ისტორიაში პირველი კაცია, ვინაც თავისი პირველი ექვსი თამაში მოიგო მთავარი მწვრთნელის სკამიდან, თან ექვსივე ათი და მეტქულიანი სხვაობით.

თავად ფრენკი, ვისაც ვერაფრით უწოდებ სიტყვაძვირს, ამ ამბავს თავის ყოჩაღ მოთამაშეებს მიაწერს და არც უსაფუძვლოდ. ბაირონ სკოტის ხელში ბოლო დროს ცოტა მოჟანგულმა ჯეისონ კიდმა თავსა და თანაგუნდელებს შეუძახა და ძველი ხალისით აბურთავდა; კენიონ მარტინი სეზონის წინ თოკით რომ დააკავეს „ნიუ ჯერსიში“, საუკეთესო სეზონს ატარებს; ხტუნია რიჩი ჯეფერსონი მხოლოდ თამაშზე ფიქრობს; ხოლო მთელი სიცოცხლის ტრავმებში ან ტრავმების მოლოდინში გამლევი კერი კიტლზი რაღაც მანქანებით ჯერ ჯანზეა.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ყველაფერი რიგზეა და მოდი, ვითამაშოთ, ბიჭებო! დაახლოებით ამგვარი განწყობითაა გაჟღენთილი „ნიუ ჯერსის“ ვარჯიშები და თამაშები.

და „ორლანდო“ გააჩერებდა ასეთ დაქოქილ გუნდს? „ორლანდოს“ საკუთარი თავი ვერ დაუქოქია...

ბოლო ხანს აშკარად ფეხზე მოვიდა ვოვა სტეფანიას „პორტლენდი“, მოგებებს უხშირა, თანაც არა მარტო შინაურ არენაზე. მაგრად დააფრთხო ორეგონელები პლეი ოფში ვერმოხვედრის პერსპექტივამ. „ბლეიზერსი“ ძალიან ბევრი წელია, რეგულარულ ჩემპიონატში არ ჩარჩენილა და რაღა ახლა ჩამოუშვებს ხელებს. ამჟამად დასავლეთში მე-11 ადგილზე მოყურყუტემ უშუალო კონკურენტ „იუტას“ გასვლაზე მოუგო და ერთხელაც დასჭექა — ჯერაც არ გავსულვარ თამაშიდანო.

თუ „პორტლენდი“ მოახერხებს რეგულარული ჩემპიონატის დასავლეთა პირველ რვეულში ჩამთავრებას, ვოვა სტეფანია პირველად დააგემოვნებს პლეი ოფს, თუ, რა თქმა უნდა, სხვა გუნდში არ გადაბარგდა მანამდე. ხუთ სეზონში ვოვას წუთითაც არ უთამაშია საპლეიოფო მატჩში — ოთხჯერ მისი გუნდები ვერ ხვდებოდნენ იქ და ერთხელ 2000 წელს, „სიეტლში“ თამაშისას მუხლის ტრავმამ მოსწყვიტა მოედანს.

მაგრამ სტეფანიას თავის მეოთხე კლუბში შესამჩნევად აეწყო საქმე — „ბლეიზერსის“ თავკაცი მორის ჩიქსი სულ უფრო მეტ სიძუნწეს იჩენს 216-სანტიმეტრიანი და 27 წლის ქართველი ცენტრის მიმართ და ვოვასაც უძლიერდება „ბლეიზერსის“ სკამიდან აღგომის და სადმე სხვაგან წასვლის სურვილი.

„იუტასთან“ სტეფანიას არ უთამაშია.

ასევე სკამზე გაატარა შეხვედრა ნიკა ცქიტიშვილმაც, მისმა „დენვერმა“ ბევრ კარგ თამაშს არცთუ უძლეველ „გოლდენ სტეიტთან“ მარცხი გამოურია და მანამდე მეექვსე ადგილზე მყოფმა წინ გაუშვა ახლო მდევრები „ჰიუსტონი“ და „მემფისი“.

**ბოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 28 | 20 | 58,3 |
| ნიუ იორკი | 24 | 27 | 47,1 |
| ბოსტონი | 23 | 29 | 44,2 |
| მაიამი | 21 | 30 | 41,2 |
| ფილადელფია | 21 | 30 | 41,2 |
| ვაშინგტონი | 16 | 33 | 32,7 |
| ორლანდო | 13 | 40 | 24,5 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 37 | 14 | 72,5 |
| დეტროიტი | 23 | 19 | 63,5 |
| მილუოკი | 27 | 23 | 54,0 |
| ნიუ ორლეანი | 27 | 24 | 52,9 |
| ტორონტო | 23 | 25 | 47,9 |
| კლივლენდი | 19 | 32 | 37,3 |
| ატლანტა | 17 | 35 | 32,7 |
| ჩიკაგო | 14 | 37 | 27,5 |

NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 35 | 14 | 71,4 |
| სან ანტონიო | 34 | 18 | 65,4 |
| დალასი | 32 | 18 | 64,0 |
| ჰიუსტონი | 29 | 21 | 58,0 |
| მემფისი | 28 | 21 | 57,1 |
| დენვერი | 29 | 22 | 56,9 |
| იუტა | 25 | 26 | 49,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 34 | 13 | 72,3 |
| ლეიკერსი | 30 | 18 | 62,5 |
| სიეტლი | 24 | 25 | 49,0 |
| პორტლენდი | 23 | 25 | 47,9 |
| კლიპერსი | 22 | 26 | 45,8 |
| გოლდენ სტეიტი | 21 | 27 | 43,8 |
| ფინიქსი | 18 | 35 | 34,0 |







ზურაბ სამხარაძე კიდევ ბევრ მართველს დააფრთიანებს

კარგი საჩუქარი გაუკეთა კალათბურთის ფედერაციამ პატარებს – 5 თებერვლიდან ვერის ბაღში 1990-წლიანების ტურნირი მიმდინარეობდა, რომელიც გუშინ დასრულდა. ფედერაციამ ტურნირი ამერიკული კომპანია „სნიკერსის" მხარდაჭერით მოაწყო და თასიც ამ ნუგბარეულის სახელს ატარებდა

# მართვემ სნიკერსი წაიღო

**ტურნირში** 8 გუნდი მონაწილეობდა, რომელთაგან საუკეთესოებმა გუშინ ითამაშეს გადამწყვეტი მატჩები. მესამე ადგილისთვის „მართვესა" და „აკადემიის" გუნდები შეხვდნენ — პირველს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი წვრთნის, მეორეს — გია კაზანჯიანი.

სანამ პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობდეთ, გეტყვით, რომ ასეთი ტურნირები ადრეც ეწყობოდა, მაგრამ აქამდე მასში სამონაწილეო თანხის გადახდა იყო საჭირო. გუნდები ნაწილ-ნაწილ აგროვებდნენ მსაჯების, დარბაზის, ექიმისა და მატჩის მომსახურე სხვა საჭირო პერსონალის ფულს. „სნიკერსის" თასზე კი ყველა ხარჯი ამერიკულმა კომპანიამ იკისრა და მისი ხელგაშლილობის გამო იყო, რომ პატარების მატჩებს ეროვნული ჩემპიონატის მსაჯები უძღვებოდნენ.

მესამე ადგილისთვის ბრძოლა თავიდან იყო საინტერესო, როცა თანაბარი თამაში მიდიოდა, თუმც მეორე მეოთხედიდან ჩერქეზიშვილის შეგირდებმა უპირატესობა მოიპოვეს და დიდ შესვენებაზე საიმედო უპირატესობით გავიდნენ. განსაკუთრებით გამოირჩა გიორგი გალდავა, რომელმაც საბოლოოდ 29 ქულა მიითვალა და „მართვეს" გამარჯვებაში არწივის წილი დაიდო.

„მართვე" დღეს ალბათ ყველაზე მძლავრ სკოლად ჩაითვლება, რაკი მას ფინალშიც ჰყავდა წარმომადგენელი — „მართვე 2", რომელმაც მოიგო კიდეც ეს ტურნირი.

„მართვე 2-ს" ზურაბ სამხარაძე წვრთნის, ზაზა ფაჩულიას, მანუჩარ მარკოიშვილის და კიდევ არაერთი ყოჩაღი ბიჭის გამზრდელი სპეციალისტი. სამხარაძის გუნდის მეტოქე ფინალში რუსთაველები იყვნენ, რომლებსაც ყოფილი აზოტელი ბადრი კიკვიძე მოძღვრავს.

სათასო მატჩი გაცილებით დაძაბული გამოდგა. თამაში წინაზე ხარისხიანი და სწრაფი იყო. ბოლო მეოთხედამდე არავინ იცოდა, „სნიკერსის თასი" ვის შეხვდებოდა, ხან მართველები დაწინაურდებოდნენ და ხან რუსთაველები. ყველაფერი ბოლო 5-წუთეულში გადაწყდა, რომელშიც ზურაბ სამხარაძის ბიჭებმა სწრაფი კონტრშეტევებით 10 ქულით ჩამოიტოვეს ქვემოქართლელები და თამაშის ბედი სათავისოდ გადაწყვიტეს.

„მართვე 2"-მა „სნიკერსის" თასი ალმართა. საუკეთესოებიც გამოარჩიეს და, რა თქმა უნდა, ბლომად „სნიკერსებით" დაასაჩუქრეს.

**ირაკლი პერტაია**

## სნიკერსის თასი 5-8 თებერვალი. ვერის ბაღი

### ფინალი

**მართვე 2 57:47 რუსთავი**

15:18 14:8 11:10 17:11

მართვე 2: ჯავახიშვილი (7), გერმაზაშვილი (4), კობაიძე (15), თავართქილაძე (6), ვაშაყმაძე (13), ლობჟანიძე (3); მესტვირიშვილი (2), კალატოზიშვილი (2), ჩქარეული (5), ხუციშვილი

რუსთავი: მაჭავარიანი (21), ბერუაშვილი (2), ჭითავა (5), გოგუჩაშვილი 6), უჩავა (7); ხმელიძე (6), ჩაჩუა

### მე-3 ადგილისთვის

**მართვე 77:56 აკადემია**

25:13 12:19 26:11 14:13

მართვე: ილაშვილი (2), ბერუაშვილი (15), შენგელია (9), ივლევი (2), ნანიტაშვილი (18); ბუაჩიძე (2), გალდავა (29), კალანდაძე, მიქელაძე, გორგიძე, მაისურაძე

აკადემია: ბახტურიძე (4), ბოდოკია (7), მელაშვილი (23), ბაქრაძე (4), ვასაძე (4); ფანჩულიძე (3), დევიძე (2), მახარაძე (5), მეზვრიშვილი (4), ჯებაშვილი, გურასპაული



*16 წლის დავით მურჯიკნელს ბევრი არ იცნობს საქართველოში, თუმც მას უკვე მოუვლია საბერძნეთი, მოწონებაც დაუმსახურებია და დღეს მოსკოვის „დინამოში" მიდის. თითქმის მიღწეულია შეთანხმება, რომ მურჯიკნელი რუსული სუპერლიგის „დინამოში" ითამაშებს, სადაც მისი თანაგუნდელი იქნება „ბასკოში" ნათამაშები ანტონ არხიპოვი. დიდ რუსეთში გაფრენამდე მურჯიკნელს „სარბიელის" რედაქციაში გავესაუბრეთ...*

# მოსკოვის დინამო მურჯიკნელს ელის

**— მოსკოვის „დინამოსთან" ვინ დაგაკავშირა? გადაწყვეტილია, რომ ამ გუნდში ითამაშებ?**

— მოსკოვამდე საბერძნეთში, ათენის აეკ-ში ვიყავი. ათენელებს მოვეწონე და გუნდში დარჩენა შემომთავაზეს. ცხადია, მეც დავთანხმდი, მაგრამ ერთი სერიოზული პრობლემა იყო, ვერ ვითამაშებდი, არასრულწლოვან ევროკავშირელებს საბერძნეთის ჩემპიონატში თამაშის უფლება არ აქვთ.

**— ოლიმპიაკოსელი გიორგი მამაცაშვილიც ხომ არასრულწლოვანია...**

— ჰოდა, იმიტომაც ვერ თამაშობს, მხოლოდ კონტრაქტი აქვს და კლუბის წევრად ითვლება.

**— შენც ხომ ითვლები აეკ-ის წევრად?**

— ჰო, მაგრამ რადგან ვერ ვითამაშებდი, მოსკოვის „დინამოშიც" ამიტომ მივდივარ. 2 წელი, სანამ სრულწლოვანი გავხდები, ალბათ, მოსკოვში ვითამაშებ, რა თქმა უნდა, თუ დამტოვეს დინამოელებმა.

**— რაღა მოსკოვის „დინამო" შეარჩიე, ევროპაში წასულიყავი...**

— რატომ, მოსკოვის „დინამო" სუსტი გუნდია? რუსეთის სუპერლიგაში შარშან გადავიდა, ცსკასთან და „ურალ გრეიტთან" თამაშობს. თუ დამიტოვებენ, ადრე „ბასკოში" მოთამაშე ანტონ არხიპოვის თანაგუნდელი ვიქნები. სხვა ვარიანტებიც მქონდა, მაგალითად, იტალიაში, მაგრამ ძალიან სუსტი ლიგა იყო და არ წავედი.

**— შენ მხოლოდ 16 წლის ხარ და „დინამოს" ძირითად გუნდში ითამაშებ?**

— მოსკოვის „დინამოს" დუბლები არ ჰყავს, ორივე გუნდი სუპერლიგაში თამაშობს. არის სხვა „დინამოც", რომელსაც ლეგიონერები და უცხოელი მწვრთნელი ჰყავს, ჩემს „დინამოში" კი სულ რუსები არიან.

**— როდის მიდიხარ?**

— დღეს წავალ, ყველაფერი მზად მაქვს, მოსკოვში უკვე მელიან.

**— მოსკოვში რომ ვერ მოეწყო, სტუ-ში დაბრუნდები?**

— ჰო, ალბათ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რუსების უარის შემთხვევაში რას ვიზამ. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „დინამოში" დავრჩები, მაგრამ წინასწარ გადაჭრით ლაპარაკი არ მინდა.

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს ჩემპიონატი

# რუსთაველებს ხმალი შერჩათ, ფარი არა

8 თებერვალი. რუსთავი

**რუსთავი 81:91 ბასკო**

14:26 22:16 18:21 27:28

რუსთავი: არწივიძე (5), ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (12), დანელიანი (2), ბერუაშვილი (19); ტყეშელაშვილი (16), ლიპარტელიანი (15), გაბისონია (10), გოგილაშვილი (2)

ბასკო: ბ. ბერიშვილი (2), ბოისა (2), კეშელავა (24), ტუჯანი (9), ბერძენიშვილი (25); იმნაძე (13), ი. ბერიშვილი (9), კვიმსაძე (2), როდუმტა (2), მაისურაძე (2), დ. ბერიშვილი (1), ჩხატარაშვილი

მსაჯები: ლიკა ქაჯაია, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

ზამთრის ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ" რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზში, მასპინძელთა ძლევით ლიდერობა განიმტკიცა.

ამ ბოლო დროს შესამჩნევად შესუსტებულ ქვემოქარლელებს საქართველოს სამგზის ჩემპიონთა დამარცხებისთვის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება არ შერჩათ და მთელი ორმოცი წუთის განმავლობაში დაწინაურების შანსი ერთხელაც არ მისცემიათ, მაგრამ ღირსეულად დამარცხების სამყოფი შემართება აქვთ და მხოლოდ ათიოდ ქულით წააგეს. ცენტრ ირაკლი ჯაფარიძის გარეშე დარჩენილი რუსთაველები ფარზე პირწმინდად დაიჩაგრნენ, თუმც სამქულიანების წყალობით თამაშს დაძაბულობა ბოლო წუთებამდე შეუნარჩუნეს.

ისედაც მეტოქეზე დაბალი მასპინძლები პირველსავე მეოთხედში მეფარე იური დანელიანის გარეშე დარჩნენ. ქალბატონმა მსაჯებმა ლიკა ქაჯაიამ და მაკა კუპატაძემ იგი არასპორტული საქციელის გამო დასაჯეს. ეს იყო და, ორივე ფარზე ბათუმელთა ცენტრები ბერძენიშვილი და იმნაძე გაბატონდნენ — ხსნიდნენ და ქულებსაც ბლომად აგდებდნენ. ხოლო ლაშა კეშელავამ რუსთავის კალათი ზუსტი სამიანებით ამოავსო.

ქვემოქართლელთაგან კი მიხეილ ბერუაშვილი და გეგი ლიპარტელიანი გამოირჩეოდნენ. მათი წყალობით ბოლო მეოთხედის დასაწყისში ბათუმელთა ცხრაქულიანი უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა, მაგრამ მალე ბერუაშვილმა მეხუთე ჯარიმა მიიღო, როცა ანგარიშში სხვაობა სამიოდ ქულა იყო. აქ რესთაველებმა ორი შეტევა გააცუდეს, რასაც სტუმარი დავით ბერძენიშვილის ხუთი ქულა მოჰყვა და თამაშის ბედიც გადაწყდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

DAVIS CUP BNP PARIBAS

## დევისის თასი. მერვედფინალი 6 - 8 თებერვალი

# სკადი არა, ფილიფუუსისი...



REUTERS

ენდი როდიკმა მოწოდებაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, შტეფან კუბეკს ბურთი 241,4 კმ/სთ სიჩქარით დაახალა

— 6-8 თებერვალი —

**ავსტრალია 1:4 შვედეთი**
**აშშ 5:0 ავსტრია**
**მაროკო 0:5 არგენტინა**
**რუმინეთი 2:3 შვეიცარია**
**ბელარუსი 3:2 რუსეთი**
**ჰოლანდია 4:1 კანადა**
**საფრანგეთი 4:1 ხორვატია**
**ჩეხეთი 2:3 ესპანეთი**

ის ამბავი, რომ ამერიკელებმა და არგენტინელებმა თავ-თავიანთი შეხლები უკვე შაბათსვე მოამთავრეს, არავის გაჰკვირვებია — პირველები შინ ავსტრიელებს ხვდებოდნენ და აბა რა უნდა ექნათ, მეორენი კი თუმც მაროკოს სტუმრობდნენ, მაგრამ რაიმე უცნაურობას ვინმე არც მათგან ელოდა. მაგრამ აი იმან, რაც ამ დღეებში ადელაიდაში მოხდა, დასტურ დიდი რეზონანსი გამოიწვია.

სარეზონანსო ეს ამბავი მართლაც არის. თავად განსაჯეთ — ოზთა შარშანდელი ჩემპიონი გუნდი შინ იმ გუნდისგან იძლია, ვინაც შარშან სტუმრად 5:0 დაახოგნა.

ადელაიდური მარცხის უდავო გმირი, ან უფრო სწორად — ანტიგმირი, ოყრაყი ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისია. სკადად წოდებულ ამ ზორბად მოგლაჯუნე ბიჭს მთელი ოზეთი შარშანდელ ფინალში მოგებული გადამწყვეტი მატჩისთვის ჩოგნის გულზე დაატარებდა და რას წარმოიდგენდა, ორიოდ თვის შემდეგ მისი ლანძვა თუ მოუხდებოდა.

სალანძღავი კი ფილიპუსისი უთუოდ იყო, რაკილა მშობლიურ მაგარსაფარზე ორივე მატჩი რანგით ქვემდგომ მეჩოგნეებს — ტომას ენკვისტსა და იონას ბიორკმანს სეტისმოუგებლად და სრულიად ბითურად ჩააბარა. ეგებ მისი გაფუჭებულის გამოსწორება ლეიტონ ჰიუიტს მაინც დასცლოდა, მაგრამ სკადს ჩოგანი მეწყვილეთა შორის მსოფლიოს ტიტულრეკორდოსანმა ტოდ ვუდბრიჯმა და უეინ ართურსმაც აუბეს.

ლეიტონმა მხოლოდ ის შეძლო, პარასკევს თავისი 24-ე საერთეულო დევისმატჩი მოეგო და ამით ადრიან კვისტის ეროვნული რეკორდი გაემეორებინა. მაგრამ ამ რეკორდის გაუმჯობესება უკვე წაგებულ შეხლაში მან აღარ ისურვა და მის ნაცვლად გასულმა ართურსმა ენკვისტთან ბოლო შეხვედრაც დათმო.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, 28-გზის დევისთასოსანი ავსტრალია 1972 წლის ანუ მსოფლიო ჯგუფის შექმნის შემდეგ მეშვიდე ნაკრები გახდა, ჩემპიონობის მომდევნო სეზონში თასის პირველსავე წრეში რომ დამარცხდა.

ახლა ოზთა დევისრაზმს სექტემბრამდე ლოდინი მოუწევს, ხოლო სექტემბერში — პლეიოფებში ჩხირჩოგნაობა. შვედები კი მეოთხედფინალში ამერიკელებს შეეხლებიან.

ამერიკელთაგან პარასკევს რობი ჯინეპრი და ენდი როდიკი გაირჯნენ — პირველმა იურგენ მელცერს ორი სეტი ამოუღო და ხუთსეტიან განდაგანაში აჯობა, ამქრის აქამომდელი პირველოსანი კი შტეფან კუბეკს შეხვდა და სამი სეტის შედეგად გაუსწორდა. რაც მთავარია, ენდიბოიმ ამ მატჩში საათში 150-მილიანი, რაც იგივე, 241,4-კილომეტრიანი მოწოდება გაუშვა და ამქრის აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა. შაბათს კი საქმეში მსოფლიოს უპირველესი წყვილი, 25 წლის ტყუპები მაიკ და ბობ ბრაიანები ჩაერთვნენ და ყველაფერი ციმციმ მოთავდა.

მაროკოში ჩასულ არგენტინელებს ყველაზე მეტად ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალისტის, ჰიშამ არაზისა უნდა ჰშინებოდათ, მაგრამ ეს პრობლემა მათ თავად არაზიმ მოუხსნა. დავიდ ნალბანდიანთან ბუქნაობისას ის დაშავდა და მატჩი მაშინ შეწყვიტა, როცა სეტებით 1:2 აგებდა. მანამდე გილერმო კორიამ ვინმე მუნირ ელ აარეჯი დაამარცხა, ხოლო შაბათს აგუსტინ კალერისა და ლუკას არნოლდის ნაცადმა ჯუფთმა აარეჯისა და მეჰდი ტაჰირის წყვილი დაადუღა.

მეოთხედფინალში გაუჩოები სავარაუდოდ რუსებს დაეჯახებიან, რომელთაც ალბათ არავითარი შანსი არ ექნებოდათ, ბელარუს ვლადიმირ ვოლჩკოვს ახალბედა იგორ ანდრეევთან შეხლაში კოჭი რომ არ ამოეტრილებინა და მატჩი არ შეეწყვიტა. თორემ რუსთა ჯილა საფინმა მასპინძელთა ახმახ ყოჩ მაქს მირნისთან ხუთსეტიანი დედამ-შვილი-არ-აიყვანა-ხელში წააგო და ვოლჩკოვი რომ საღად დარჩენილიყო, ეგებ მირნისთან ერთად შაბათს საფინისა და ლუჟნის წყვილისთვისაც ეძლიათ. მის არყოფნაში კი მირნის ვინმე ალექსანდრ შვეცი შეუწყვილდა და რუსთა გამოცდილ ჯუფთს მოგება აღარ გასჭირვებია.

სხვაფრივ — ყველას ის აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა ავსტრალიის ღია პირველობაზე გალაღებული როჯერ ფედერერი ბუქარესტულ თიხნარზე ისევე მსუბუქად და ჰაეროვნად წაბურთავებას, როგორც რომ მელბურნულ მაგარსაფარზე შეძლო. თუკი მის სპარასკევშაბათო გარჯის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ ბიჭისთვის ახლა მართლაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სად და რა დროს იჩოგნავებს. საერთოდ მან ვიქტორ ჰანესკუს აჯობა 7:6 (7:4), 6:3, 6:1, მერე კი ივ ალეგროს შეეჯუფთა და ანდრეი პაველისა და გაბრიელ ტრიფუს წყვილს ხუთ სეტში მოუგო 6:4, 1:6, 6:3, 3:6, 10:8.

**ლევან ძლაურაძე**

### PAN PACIFIC OPEN

ტოკიო. ჰარდი

საპრიზო 1,3 მილიონი $

**ნახევარფინალი**

**ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ელენა დოკიჩი (7, სერბეთი) 6:1, 6:0; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — ჩანდა რუბინი (5, აშშ) რუბინს არ უთამაშია**

**ფინალი**

**დევენპორტი — მალეევა 6:4, 6:1**

თავისი მეოთხე ტოკიობისა და ჯამში 39-ე საკარიერო ტიტულის მისათვლელად 27 წლის ლინდსი დევენპორტმა გამოცდილი ბულგარელი მაგდალენა მალეევა გუშინ სულ რაღაც 58 წუთში გაამტვერა.



REUTERS



WRC

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში II ეტაპი შვედეთი



REUTERS

შვედეთის ახალი გმირი სებასტიენ ლოები

# შეცდომების (ზ)რალი

**შვედეთის** რალი 16-ეტაპიან ჩემპიონატში ყველაზე რთულ რბოლად ითვლება. მრთალია, ეკიპაჟებს მონაკოშიც სანახევროდ დათოვლილ გზებზე უწევთ ჯირითი, მაგრამ სკანდინავიური პირობები უფრო მკაცრია სიცივის გამო.

მოყინულ გზაზე მონაწილეებს 2000-კილომეტრიანი დისტანცია უნდა გაევლოთ, აქედან 395 კმ — ჩქაროსნულ მონაკვეთებზე. სრიალა ტრასაზე თითქმის ყველა მანქანა დაზარალდა. მსოფლიოს ჩემპიონ პეტერ სოლბერგს უკვე დასაწყისშივე მოუცურდა „სუბარუ", გასწორებაზე საკმაო დრო დაკარგა და მეშვიდე პოზიციამდე ჩამოქვეითდა, თუმც შემდეგ იყოჩაღა და პირველი დღე სამეულში დაასრულა.

თავიდან ექსჩემპიონი მარკუს გრონჰოლმი დაწინაურდა, მაგრამ უგრძეს, 52-კილომეტრიანი უბნის დაძლევისას მცირე ავარია შეემთხვა, თანაც თითქმის 20 კმ საჭის გაფუჭებული გამძლიერებლით იარა და ახლა მისი „პეჟო 307" გადავარდა მეშვიდე ადგილზე 54-წამიანი მინუსით. მშვენივრად ირბოლა ესტონელმა მარკო მარტინმა და უახლოესი მდევრები, წლეულს პირველი ეტაპის მომგები სებასტიენ ლოები და პეტერ სოლბერგი, რომლის ბედაურს ტურბოძრავის პრობლემებიც აწუხებდა, თითქმის ნახევარწუთიანი სხვაობით ჩამოიტოვა.

შაბათს სოლბერგი მეორედ შეცდა, ისევ მოუსრიალდა მანქანა და კვლავ ჩასათვლელი რვიანის ბოლოში აღმოჩნდა. სამაგიეროდ, გრონჰოლმის გარემონტებულმა „პეჟომ" გარეკა და რამდენიმე ჩქაროსნული უბნის მოგებით მეორე პოზიციამდე აღზევდა. ხიფათს ვერც მარტინი გადაურჩა და დღის ბოლოს „ფორდის" უკანა მხარე ისე მიალეწა გზისპირა ქვას, რომ გაჭედილი ბორბლით ძლივს მიბობღდა საკონტროლო პუნქტთან. მართალია, მექანიკოსებმა დაზიანებას უშველეს და ესტონელმა რბოლა განაგრძო, მაგრამ ექვსწუთიანი მინუსით და პოდიუმის ყოველგვარი იმედიც გადაეწურა.

მეორე სუბარუელს, ფინელ მიკო ჰირვონენს მანქანა თოვლის ზვინში შეუვარდა. გრონჰოლმივით მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, 41 წლის კარლოს საინსმა, რომ არ შეჯახებოდა, საჭე მკვეთრად მარცხნივ აილო და თავადაც საშველი გახდა. ორივენი რბოლაში კი დარჩნენ, მაგრამ დიდი დანაკარგებით. ფინელ კრისტიან სოლბერგს, რომელსაც ნორვეგიელ ძმებთან ნათესაობა არ აკავშირებს, უზარმაზარ სიჩქარეზე „მიცუბისი" რამდენჯერმე კი ამოუყირავდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ეკიპაჟი უვნებლად გადარჩა.

მარტინის მარცხის მერე ლოების „სიტროენი" გალიდერდა კომფორტული, 40-წამიანი უპირატესობით და მოგებულიც პრაქტიკულად გაირკვა. მართლაც, გუშინ სებს და მის თანამძღოლ დანიელ ელენას ზედმეტად არ გაურისკავთ, დარჩენილი ასი კილომეტრი უფათერაკოდ დაძლიეს და შვედეთის რალის 53-წლიან ისტორიაში პირველი არასკანდინავიელი გამარჯვებულები შეიქნენ. პეტერ სოლბერგი მესამე ადგილით, ცხადია, კმაყოფილი იყო, მეექვსეზე კი მისი უფროსი ძმა ჰენინგი გავიდა.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ; 26.17,7 |
| 2 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | ჩამორჩა 46,4 |
| 3 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 1.21,5 |
| 4 | იანე ტუოინო (ფინეთი, ფორდი) | 1.42,1 |
| 5 | კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) | 2.27,0 |
| 6 | ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, პეჟო) | 4.17,6 |
| 7 | მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | 5.38,3 |
| 8 | დანიელ კარლსონი (შვედეთი, პეჟო) | 5.50,4 |

**საერთო ჩათვლა**

1. სებასტიენ ლოები 20 ქულა; 2. მარკუს გრონჰოლმი 13; 3. მარკო მარტინი 10; 4. პეტერ სოლბერგი 8; 5. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) 6; 6. იანე ტუოინო 5; 7. ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო) 4; 8. კარლოს საინსი 4; 9. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, მიცუბისი) 3; 10. ჰენინგ სოლბერგი 3

**კონსტრუქტორთა თასი**

სიტროენი 24 ქულა, ფორდი 22, პეჟო 17, სუბარუ 10, მიცუბისი 3

*ამ უქმეებზე პარიზში გამართული ძიუდოს საერთაშორისო ტურნირი ქართველთათვის უოქროო, თუმც მაინც საკმაოდ ბარაქიანი გამოდგა. ხაბარელის გუნდმა 3 ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიგო და სალიცენზიო ქულათა მარაგიც გვარიანად გაამდიდრა. პირველ დღეს ხალიჩაზე ოთხი წონა გავიდა, მეორე დღეს დარჩენილი სამი. ჩვენც, დაბლიდან ავყვეთ*

# ხერგიანი ხერგილიდან ამოვიდა

## უპრიზო პარიზიდან ქართველ ძიუდოისტებს ოთხი მედალი მოაქვთ

**60 კგ**

მოლდოველი ვიტალი მიხაილოვისა და ჩეხი ლიბორ შვეცის დამარცხების შემდეგ ნესტორ ხერგიანმა მერვედფინალში იაპონელ ტადაჰირო ნომურასთან ველარაფერი გააწყო და დამამშვიდებელ ბრძოლებზე გადაერთო. იქაც ორი ბარიერი გადალახა, ბერძენ ციდირიდისთან კი ბრინჯაოს შანსიც დაკარგა. მოგვიანებით ჩემპიონობა ნესტორის მძლეველმა იაპონელმა იზეიმა.

**66 კგ**

დავით მარგოშვილმა პარიზული ტურნირით ფაქტობრივად გაინაღდა ათენის ლიცენზია. ფინალამდე ბრაზილიელის, თურქისა და ორი მასპინძლის დამმარცხებელს ოქრო იაპონელმა ტომო ტორიმ წაართვა.

**73 კგ**

ყველაზე გასახარი ალბათ მაინც დავით ქევხიშვილის წარმატებული დაბრუნებაა. მძიმე ტრავმის გამო შარშანდელი სეზონის გამომტოვებელმა თავად შოთა ხაბარელსაც სასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა. ერთმანეთის მიყოლებით სძლია ებრაელ იოელ რაზვოზოვს, მოლდოველ სულდბაიარ დამდინს, უკრაინელ გენადი ბელოდიდსა და ფრანგ გიეს ბონომეს. ფინალში კი ხერგიანისა და მარგოშვილის მსგავსად ისიც იაპონელთან დამარცხდა. ამ ვერცხლით ქევხიშვილმა 50 ქულა ჩაიწერა. დარჩენილ ექვს ტურნირში საათენოდ ალბათ ერთი ამდენიც ეყოფა. ასე რომ, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ სუსტ წერტილად მიჩნეულ 73 კილოგრამში ოლიმპიური საგზური გამოჩნდა.

ქევხიშვილის გარდა ამავე წონაში ერთი ქართველიც გამოვიდა, თუმც ახალბედა ხვიჩა ხუციშვილისთვის სადებიუტო ტურნირი წარუმატებელი გამოდგა.

**81 კგ**

ეს წონა ხაბარელის გუნდის აქილევსის ქუსლია. ამიტომაც მწვრთნელმა პარიზში ორი მოჭიდავე იახლა, მაგრამ არც ამით უხეირია. მოსკოვის ტურნირში სარეიტინგო ქულების ამღებმა გრიგოლ შინჯიკაშვილმა და გამოუცდელმა საბა გავაშელიშვილმა ფრანგული გამოსვლა ისე დაასრულეს, ერთი შეხვედრაც არ მოუგიათ.

ბრინჯაო მოიგო საქართველოდან წასულმა ჯარჯი ზვიადაურმა. ილიას ილიადისით ცნობილი ფალავნის მედლით საბერძნეთმა იხეირა.

**90 კგ**

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურის უმედლოდ დარჩენა ალბათ ერთ-ერთი უმთავრესი იმედგაცრუებაა. ჩვენი ნაკრების ლიდერმა ბრაზილიელი კარლოს ონორატოს ძლევის შემდეგ, ჯერ მასპინძელ ფრედერიკ დემონფოკონთან წააგო, ხოლო შემდეგ დამამშვიდებელში ბრიტანელ ვინსტონ გორდონთან.

**100 კგ**

მარგოშვილისა და ქევხიშვილის შემდეგ ოქროს შანსი ივერი ჯიქურაულსაც მიეცა, თუმც თანაგუნდელთა შედეგების გაუმჯობესება ვერც მან შეძლო. ფინალში შარშანდელი თბილისის ტურნირის მომგები ებრაელი არიელ ზეევი შეხვდა. მანამდე ჯიქურაულმა ოთხი ბრძოლა მოიგო, მათ შორის გამოსარჩევი ფრანგი ჯონათან ლენინგერისა და უკრაინელი ვიტალი ბუბონის ძლევაა.

**+100 კგ**

მძიმე წონაში პარიზულ ტურნირზე საქართველოს სახელით ორი მოჭიდავე გამოვიდა და რომ არა ბოლო ნაბიჯზე წაფორხილება, შეიძლება ფინალიც ქართული გამოსულიყო. ზვიად ხანჯალიაშვილმა და ლაშა გუჯეჯიანმა ნახევარფინალები წააგეს. ლაშას იტალიელმა პაოლო ბიანჩესმა აჯობა, ხოლო ზვიადს ირანელმა მაჰმუდ მირანფაშანდმა. ოქრო ირანელს დარჩა. ქართველთაგან ბრინჯაო გუჯეჯიანმა მოიგო ტუნისელ ენის შედლისთან ბრძოლაში. ხანჯალიაშვილმა კი მეოთხედფინალში ლაშასგან ძლეულ უზბეკ აბდულო ტანგრიევს ვერაფერი მოუხერხა და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ივერი ჯიქურაულმა (მუქ კიმონოში) ფინალი ებრაელ არიელ ზეევთან წააგო



# კობრა ზამთარშიც იკბინება

## კობა გოგოლაძემ საბჭოს ექსჩემპიონი დასცა



კობა გოგოლაძე ხალხში გაერია, შუგარ რეი ლეონარდთან და სხვა ლეგენდებთან დაიჭირა საქმე

**პროფესიულ კრივში** მესამე ქართული ქამრის მოგება სამომავლოდ გადაიდო. გუშინ ატლანტიკ სიტის კაზინო ბალისში დიდი ჩხუბები კი გაჩაღდა, მაგრამ რამდენიმე ჩაიშალა. ერთ-ერთი ინტერკონტინენტალის საჩემპიონო იყო. რამაზ ფალიანი თავისი პირველი ტიტულისთვის 33 წლის ლასვეგასელ ჯეიმს ქრეიტონს უნდა შეხვედროდა, თუმც დიდთოვლობის გამო ავიარეისები შეიცვალა და მოწინააღმდეგემ დანიშნულ ადგილზე დროზე ვერ ჩააღწია.

დარბაზში თავშეყრილ 40-მდე ქართველს მაინც არ მოუწყენია. აქამდე ორი ქამრის მომპოვებელმა კობა გოგოლაძემ ამჯერად სარეიტინგო ბრძოლაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, პუერტორიკოელ ხუან პაბლო პერესს სძლია. „კობრამ" 8 რაუნდში დიდი უპირატესობით იმარჯვა.

გადადებული შეხვედრა სავარაუდოდ თვის ბოლოს ისევ ატლანტიკ სიტიში, ან ვაშინგტონში გაიმართება. რამაზის გარდა, მასზე თავის პირველ სარეიტინგო ბრძოლას ქუთაისელი ავთო ხურციძეც ჩაატარებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ALL-STAR GAME

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS სურ. ...

მონრეალელ შელდონ სურეის დარტყმის ძალაში ბადალი არ ჰყავდა

# ახალგაზრდობამ თავისი გაიტანა

## ახალი ვარსკვლავი კარგად ანათებს

**ნჰლ-ის** არსთგამრიგე გარი ბეტმენს და მის ქვეშევრდომებს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მოთამაშეთა ასოციაციასთან მოლაპარაკება ვერ მოხერხდა და ლიგის რეიტინგი სულ უფრო და უფრო ეცემა. ეს უსამართლობააო ვერ ვიტყვით, მაგრამ არც ბეტმენის დამსხურების დავიწყება ეგების. თუნდაც „ახალგაზრდების ოლ სტარის" შემოღება რად ღირს, სადაც ყველაფერი ზუსტად არის გათვლილი. ჯერ ერთი, ეს ახალბედების შოუ კი არ არის, ახალგაზრდებისაა. ამიტომ მასში მონაწილეობა შეუძლიათ მათაც, რომლებმაც მესამე ან მეოთხე სეზონში გამოანათეს.

ჩინებულად არის შერჩეული თამაშის ფორმატიც — სამი ათწუთიანი პერიოდი ყოველგვარი პაუზების გარეშე, რომლის წყალობითაც მაყურებელი წამითაც ვერ მოსწყვეტს თვალს სანახაობას. მთავარი კი ისაა, რომ თავად ახალგაზრდელი არიან ძალიან მოწიდინებულნი. ბუნებრივია, მათ გულით და სულით სწადიათ, ამ შოუში რაც შეიძლება სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, აჩვენონ მაღალი ოსტატობა ნჰლ-ის მესვეურთ, სახელიან ვარსკვლავებს, ბოლოს და ბოლოს თავი დაამახსოვრონ მაყურებლებს.

ახლა ახალგაზრდების შეხვედრა დასავლეთელების დამაჯერებელი გამარჯვებიც დასრულდა — 7:3. ანაჰაიმელმა ჯოფრი ლუპულმა ჰეთ თრიქი შეასრულა, ხოლო მატჩის უძვირფასესი მოთამაშე დასავლეთის მეკარე ფილიპ სოვი გახდა.

დასავლელთა რიგებში ერთი გოლი ადგილობრივმა ფორვარდმა პერიმარკ ბუშარმა გაიტანა. ყველაზე მეტად მაყურებელი დასავლეთში მოასპარეზე კოლუმბუსელმა, ნიკოლაი ჟერდევმა გააოცა. რუსმა რამდენიმე უმაღლესი დონის ილეთი აჩვენა, ძალიან ეფექტური გოლი გაიტანა და ამას ორი პასიც დაამატა. თამაშის ერთ-ერთმა მიმომხილველმა, ცნობილმა სპეციალისტმა ბარი მელროუზმაც კი ვერ მოითმინა და წამოიძახა, რა დასანანი იქნება, თუ „ზარდევს" (აშშ-ში რუსის გვარს ასე წარმოთქვამენ) ლიგაში თამაშს აუკრძალავენო. შეგახსენებთ, რომ რუსეთიდან გაქცეული ჟერდევის საქმეს 23 თებერვალს საარბიტრაჟო სასამართლო გადაწყვეტს.

არანაკლებ ლამაზი ილეთი აჩვენა რაფი ტორესმა. მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ფორვარდმა ფეხით ისეთი ცრუმოძრაობა გააკეთა, რომ აღმოსავლეთის მეკარე ენდრიუ რეიკროფტი დააბნია, თავად კი ლამაზი მოძრაობით შაიბა ბადეში შეასრიალა.

შაბათსვე, ახალგაზრდების თამაშის შემდეგ, გაიმართა უფროსების კონკურსი სხვადასხვა ნომინაციაში.

კოლუმბუსელმა თინეიჯერმა რიკ ნეშმა ოტაველ დანიელ ალფრედსონს აჯობა და 1992 წლის შემდეგ გახდა პირველი 20-წლამდელი ჰოკეისტი, რომელიც დიდების ოლ სტარში მოხვდა.

კონკურსებში აღმოსავლელებმა იძალეს. განსაკუთრებით ფილადელფიელი ჯერემი რენიკი გამოირჩა. დარტყმის სიზუსტეში შეჯიბრებაში მან აბსოლუტური შედეგი აჩვენა — ოთხი დარტყმით კარში დაყენებული ოთხივე სამიზნე გატეხა, შემდეგ კი ახალ კონკურსში — IN THE ZONE-ში გამოირჩა. ამჯერად ფორვარდები სამი ერთზე გადიოდნენ და მეკარეების ოსტატობას ცდიდნენ.

„როგორც იქნა, დღეს ისე გამოვიყურებოდი, 400 გოლის გამტანს რომ შეჰფერის" — თქვა კონკურსიების შემდეგ რენიკმა.

დარტყმის სიძლიერეში შეჯიბრებაში ერთბაშად სამმა აღმოსავლელმა აჩვენა საათში 100 მილზე მაღალი შედეგი, ამათში საუკეთესო მონრეალელი შელდონ სურეი გახდა. აღმოსავლეთის წარმომადგენელმა, „ნიუ ჯერსის" მცველმა სკოტ ნიდერმაიერმა კი ყველა ფორვარდი დაჯაბნა სისწრაფეში.

**სამველ ღარიბიანი**

# მოყვარულის პირობაზე

ჰალსტუხით გოლფის თამაში ძალიან იშვიათი რამ არის, მაგრამ მოყვარულს ეპატიება, თანაც ისეთს, როგორც კევინ კოსტნერია. „სფაი გლას გოლფ ქორსი“ დიდი პროფესიული შეჯიბრის სახალისო ნაწილია და კალიფორნიაში, პიბლ ბიჩზე იმართება ხოლმე.



REUTERS




REUTERS რეი სტაბლევიდან

# კვლავ ის

მერიონ ჯონსი დაბრუნდა და 60 მეტრზე სპრინტიც მოიგო. მძლეოსნობის ლეგენდა მელროუზის თამაშებში ჩაება მედისონ სკვერ გარდენში და ეს სამოცი მეტრი 7,21 წამში გაიქროლა. ფარცხნილობა კი, ტრადიციულად, რთული აქვს.

# იფრინე, ვითარცა ეუსებიომ

ახალი პორტუგალიური თვითმფრინავი, რომელსაც ნაცნობი სახელი დაანათლეს: ეუსებიო. აერობუსი 319 ეუსებიო ისეა გაფორმებული, რომ მოახლოებული ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის სარეკლამო ამბავი გასწოის. რა თქმა უნდა, თავად ეუსებიოც იქაა.




REUTERS

# პირიქით

ასეც მოხდება ხოლმე: კაცი კი არ შეათამაშებს ქალს, არამედ პირიქით. ბუდაპეშტში მიმდინარე ფიგურული სრიალის ევროპის ჩემპიონატზე იტალიელებმა ბარბარა ფაიელამ და მასიმო სკალიმ სწორედ ასეთი დასასრული მოუგონეს თავიანთ თავისუფალი ცეკვის პროგრამას.



REUTERS

# მნაგადმოგდებული

ბიჭმა იცურა და გაიმარჯვა. გერმანელმა კრისტიან კელერმა 400 მეტრზე შეჯიბრი მოიგო და აღიარა, ენა გადმოვაგდეო. ცურვის მსოფლიო თასი კი რიო დე ჟანეიროში მიმდინარეობს.



REUTERS



REUTERS

# გამარჯვების ჰაკა

ჰაკა ყველგან ჰაკაა და ახალზელანდიელები მას ყოველ საჭირო თუ გასახარ შემთხვევაში გამოიყენებენ ხოლმე. კრაისტჩერჩში გასრულებულა მსოფლიოს ჩემპიონატი კაცთა სოფტბოლში და იმის ფინალში კი მასპინძელ ახალზელანდიელებს კანადელები დაუმარცხებიათ, რითაც ზედიზედ მესამედ შექნილან ჩემპიონები. ჰოდა, გამარჯვების ჰაკა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge